საერთო გაზეთი

№32 (344) • 21 ოქტომბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რედაქტორის რუბრიკა

თქვე ვირეშმაკა ნაცებო, თქვენს მიერ ადამიანის შემზარავი წამების და გაუპატიურების ამსახველი კადრები სოციალურ ქსელში თქვენ თვითონ გაავრცელეთ?!

— ჩვენ როგორ გავაკეთებდით ამას? საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენ თვითონ დავდებდით ამ უმძიმესი დანაშაულის დამადასტურებელ კომპრომატს? რა სისულელეა! — იუარებენ ალბათ ნაცები.

სისულელე კი არა, შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ეს გამაოგნებელი კადრები თქვენ თვითონ ატვირთეთ, თქვენ თვითონ გაავრცელეთ და ახლავე აგიხსნით, რატომ გააკეთეთ ეს.

პირველ ყოვლისა, გააკეთეთ იმიტომ, რომ როგორმე გადაგეფარათ უმნიშვნელოვანესი მოვლენა — თბილისის აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმი, რომლითაც თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში ახალი ერა, ახალი ეტაპი დაიწყო.

განა შემთხვევითია, რომ ეს კადრები ფორუმის დამთავრებიდან მეორე დღესვე გავრცელდა და საქართველოს მთელი მოსახლეობა, რომელსაც, წესით და რიგით, ამ ისტორიულ ფაქტზე უნდა ემსჯელა და ელაპარაკა, ფორუმის მნიშვნელობაზე კი არა, იმაზე შფოთავდა და ლაპარაკობდა, ჯალათები იმ უბედურ გლეხის ბიჭს როგორ უჩხიკინებდნენ „ნაბელლავის" ბოთლს უკანალში.

სულით ხორცამდე ავადმყოფო ნაცებო, თქვენ საქართველო ისევ უკანალში გინდათ შერეკოთ, ისევ იქ გინდათ შეაბრუნოთ და ქვეყნის მთელი ყურადღება ამ „ორიენტირისკენ" მიმართოთ.

უნდა ვაღიაროთ, თქვენს მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეთ — ორშაბათის ქართულ პრესაში თითქმის არაფერია ნათქვამი „თბილისის აბრეშუმის გზის" ფორმუმზე, სამაგიეროდ, მთელი ქართული პრესა იმ სკანდალურ კადრებზე ლაპარაკობს.

მეორე სავარაუდო მიზეზი, რომლის გამოც თქვენ ის კადრები სოციალურ ქსელში შეაცურეთ, ქართველი ხალხისთვის უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმის მიყენება და მისი წონასწორობიდან გამოყვანაა, რომ ეს ჭკუიდან გადასული ხალხი მოგივარდეთ და თავყბა გაგიერთიანოთ, რაც თქვენ მორალურ, გნებავთ, სამართლებრივ მოტივაციას გაგიჩენთ, „თავდაცვის" მიზნით „მოძალადეებს" ადექვატური პასუხი გასცეთ.

სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება, ქაოსი და არეულობა — აი, ის სანუკვარი მიზანი, რისკენაც თქვენ მიისწრაფვით, ნაცებო და რის განსახორციელებლად არაფერს არ მოერიდებით.

დიდი პროვოკაციის და დიდი დესტაბილიზაციისთვის ემზადებით თქვენ, ნაცებო და თითქოს ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გათვლილი გაქვთ, გარდა ერთისა — თქვენ გათვლილი და გაზომილი არ გაქვთ მასშტაბები ქართველი ხალხის მრისხანებისა და სიძულვილისა, რომელიც წაგლეკავთ და დაგმარხავთ, თუ გონს არ მოეგებით და არ გაჩერდებით.

ვახტანგ ხარჩილავა

თბილისის „აბრეშუმის გზის" ფორუმი

პაატა სალია:

ჩვენ ვთვლით, რომ ქიბარ ხალვაშის შემდეგ, „რუსთავი-2"-ში ერთი „მოწილე" იყო და ეს „მოწილე" მიხეილ სააკაშვილია!

ქეთევან ზარნაძე:

შემაძრწუნებელი ამბავი, რომელიც ციხეში ყოფნისას ნაცების მიერ გაუპატიურებული ბიჭის დედამ მიამბო

საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ДИДИ АБРЕШУМИС ГЗИС ДИДИ ИСТОРИА: КАСПОБРИОБИС УДИДЕСИ МИЦЕВА

ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ძველი ყაზახური სტეპებისა და ქალაქების გავლით ტრანსკონტინენტური მაგისტრალი გაიკვალა და იგი მრავალი ასწლეულის განმავლობაში კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგს უზრუნველყოფდა.

დიდი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განვითარებული განშტოება ჩინეთისა და ინდოეთის გავლით შუა აზიისკენ მიემართებოდა, შემდეგ კი მდინარე უზბაისა და კასპიის ზღვით აზერბაიჯანსა და საქართველოს, შემდეგ კი შავი ზღვის რეგიონსა და მცირე აზიას უკავშირდებოდა. არსებობდა აგრეთვე სტეპური განშტოება — მდინარე ვოლგის, რუსეთის სამხრეთ სტეპების გავლით ყირიმისა და აღმოსავლეთ ევროპისკენ. III-VII საუკუნეებში ყველაზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო კავკასიაზე გამავალ გზაზე, რომელიც დასავლეთის ქვეყნებსა და ბიზანტიას უკავშირდებოდა.

აბრეშუმის გზაზე სავაჭრო ქარავნებმა კიდევ უფრო მას შემდეგ იმატა, რაც XII საუკუნეში სპარსეთის ყურესა და ჩინეთს შორის საზღვაო მარშრუტი მოიშალა — მთელი აღმოსავლური საქონელი ხორეზმის გავლით აღწევდა ევროპას და ეს სახელმწიფო თითქმის 50 წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოსა და ჩინეთს აკავშირებდა. ხორეზმში ჩადიოდნენ ვოლგისპირეთის, ინდოეთის, ირანის ვაჭრები, აქედან მიედინებოდნენ სავაჭრო ქარავნები ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ თურქესტანსა და ჩინეთში. ურგენჩიდან — ხორეზმის დედაქალაქიდან გზები გაიკვალა მონღოლეთისკენ, რუსული სათავადოებისა და ევროპისკენ.

გაჩნდა მრავალკილომეტრიანი საქარავნო გზები — შესაბამისი ინფრასტრუქტურით — ოაზისებით, ქარავანსარაებით, შეიარაღებული დაცვის სისტემით, შიკრიკების სამსახურით. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ისეთი უნივერსალური საქონლის წყალობით, როგორიცაა აბრეშუმი — მსუბუქია, კომპაქტური, გამძლე, ანუ შორეულ მანძილზე გადასატანად იდეალური სავაჭრო საქონელია.

დიდი აბრეშუმის გზის, როგორც ტრანსკონტინენტური მაგისტრალის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ძველჩინელმა მოხელემ ჩან ციანმა, რომელიც სახიფათო დიპლომატიური მისიით გაემგზავრა მომთაბარე ტომებთან მოსალაპარაკებლად, რათა ისინი



მიემხრო და ჩინეთის მოკავშირეებად გაეხადა. ჩან ციანი პირველი ჩინელია, რომელიც ჩავიდა შუა აზიაში — სოგდიანსა და ბაქტრინში (ახლანდელი უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ავღანეთი). სწორედ იქ გაიგო, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა ჩინურ პროდუქციაზე და პირველად ნახა ბევრი ისეთი რამ, რომლებზედაც ჩინელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ჩინეთში დაბრუნებულმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენება ჩინეთსა და შუა აზიის სახელმწიფოებს შორის პირდაპირი ვაჭრობის სარგებლიანობის შესახებ. დიპლომატიური მისიის მიზანი, მიემხრო მომთაბარე ტომები, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, მაგრამ მისი მოპოვებული ცნობები ფასდაუდებელი იყო. მეორე ათასწლეულის 123-119 წლებში ჩინეთის არმიამ დამოუკიდებლად დაამარცხა ურჩი მომთაბარეები, რითაც უსაფრთხო გახადა ჩინეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი გზა.

სწორედ ამ დროიდან შეიძლება ვილაპარაკოთ დიდი აბრეშუმის გზის ამოქმედებაზე, გზისა, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა ძველი სამყაროს ორი ცივილიზაცია — ჩინეთი, ინდოეთი, ახლო აღმოსავლეთი და ევროპა. ამ უზარმაზარმა საქარავნო სისტემამ, რომლის სიგრძე 7 ათას კილომეტრზე მეტია, ათას ხუთას წელზე მეტ ხანს იარსება, უფრო დიდხანს, ვიდრე სახმელეთო სავაჭრო გზამ (მაგალითად, „ვარიაგებიდან ბერძნებამდე“).

თბილისის „აბრეშუმის გზის“ ფორუმი

აბრეშუმის გზა — კეთილდღეობის ისტორიული დერეფანი

15-16 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა „აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელსაც 32 ქვეყნის 1000-მდე სტუმარი ეწვია, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, აზიის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის სახელმწიფოებიდან, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ბიზნესმენები. ფორუმის ორგანიზატორობის მისია იტვირთა მასპინძელმა ქვეყანამ, თანაორგანიზატორისა კი — ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობამ. ამ ფორუმის გამართვას მხარს უჭერდა აზიის განვითარების ბანკი.

ფორუმის მუშაობის დროს მონაწილეებმა განიხილეს დიდი აბრეშუმის გზის თანამედროვე შესაძლებლობები სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და ახლანდელი გამოწვევები, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის საკითხებს. რასაკვირველია, ფორუმზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების პერსპექტივებს. გაიმართა ფორუმში მონაწილე ქვეყნების ბიზნესმენთა შეხვედრები. ორდღიანი მუშაობის შედეგად გაფორმდა თანამშრომლობის დეკლარაცია.

დღე პირველი — 15 ოქტომბერი

„აბრეშუმის გზის ფორუმის“ გახსნამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ღონისძიების მაღალი რანგის სტუმრებმა ერთობლივი სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

ფორუმი გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც საყოველთაო კეთილდღეობისა და თანამშრომლობის დერეფანი უწოდა დიდი აბრეშუმის გზის აღორძინებას, რასაც თავის ქართულ ოცნებად მიაჩნია.

„ეს ფორუმი არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიზნისკენ. ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა აღვადგინოთ აბრეშუმის გზა, აღმოვფხვრათ აქტიური ინტეგრაციის წინაშე არსებული დაბრკოლებები და წვლილი შევიტანოთ საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც ფორუმის მასპინძელი ქვეყანა, საქართველო ასრულებს გაცვლისა და ურთიერთობების რეგიონალური ცენტრის როლს, რაც იყო კიდეც მისი მისია ათასწლეულების განმავლობაში. როგორც ევროპის აღმოსავლეთით მდებარე უკიდურესი საზღვაო და სახმელეთო კარიბჭე, საქართველო უზრუნველყოფს აზიისკენ მიმავალ ბუნებრივ მარშრუტს. ხშირად ვამბობ, რომ ჩვენ ვართ აბრეშუმის გზის უმოკლესი მარშრუტის ნაწილი.

ის, რომ ამ ფორუმს ესწრება ასობით ბიზნესმენი, ცხადყოფს აბრეშუმის გზის დიდ პოტენციალს. დარწმუნებული ვარ, რომ ვაჭრობა და კომერცია ხელს შეუწყობს მშვიდობიან თანამშრომლობას. თავს უფლებას მივცემ, დღეს აქ წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს სახელით განვაცხადო, რომ ჩვენი ბიზნესლიდერები ჩვენი ქვეყნების შესანიშნავი ელჩები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს საერთო კეთილდღეობას. არც ახალი აბრეშუმის გზის პოტენციალი და არც ამ ფორუმის მასშტაბი არ არის მოკრძალებული. ჩვენ განვიხილავთ რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებს სხვადასხვა სექტორში: ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სასტუმრო ბიზნესი/ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა. ჩვენთვის სასარგებლო იქნება გამოცდილი მოდერატორებისა და სადისკუსიო ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები“.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ აბრეშუმის გზის გაყოლებაზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობა ჩინეთიდან ევროპაში სწრაფად და იაფად გადაზიდვების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ფორუმის მონაწილეები ბიზნესებს შორის დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაშიც ჩაერთვებიან, რაც თანამშრომლობის განმტკიცების წინაპირობაა.

„საქართველოს აქვს მტკიცე კავშირები ევროკავშირთან, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ჩათვლით, რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული აქტიური ურთიერთობები და მზარდი თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში ჩინეთთან, ინდოეთთან, იაპონიასა და შუა აღმოსავლეთისა და აზიის სხვა ქვეყნებთან, რის გამოც ჩვენი ქვეყანა იდეალური პლატფორმაა დღევანდელი დისკუსიისთვის“.

მისი თქმით, საქართველოთი დაინტერესება მსოფლიოში დღითი დღე იზრდება, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყ-

→

საქართველო — ისტორიული გზაჯვარედინი და გლობალური ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოთა“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ნის სტრატეგიული მდებარეობითა და ხელსაყრელი ბიზნესგარემოთი.

„სულ რამდენიმე კვირის წინ ვეწვიე ჩინეთს, სადაც ძალიან თბილად მიმიღეს. ჩემი ენთუზიაზმი გააათმაგა საქართველოთი დაინტერესებული ბიზნესების მოზღვავებამ. ამ ვიზიტის ფარგლებში გაცხადდა ჩვენს ქვეყანაში ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებაც.

ეს მოვლენები ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონალურ სავაჭრო კარიბჭედ, რომელიც აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთს. საქართველოს წყალობით, კერძო პირებსა თუ კომპანიებს მარტივად მიუწვდებათ ხელი მილიარდობით მომხმარებელზე აზიასა და ევროპაში, ხოლო აზიის პროდუქცია და ენერგორესურსები საქართველოს გავლით ბევრად უფრო სწრაფად მიეწოდება ევროპას“.

პრემიერ-მინისტრი ფიქრობს, რომ „თბილისის აბრეუმის გზის ფორუმის“ დანიშნულება არის არა მხოლოდ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის, მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, არამედ პეკინიდან ბრიუსელამდე ყველასთვის საერთო სარგებლის მოტანა. ფორუმის მონაწილეებმა ერთად უნდა შეიმუშაონ აბრეშუმის გზის გასწვრივ ინტეგრაციის გაღრმავების სამუშაო გეგმა:

„ფორუმზე მაღალი რანგის წარმომადგენლობა ხაზს უსვამს იმას, რომ ბევრი მივიდა ერთსა და იმავე დასკვნამდე — ბოლო 25 წლის განმავლობაში განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინვესტიციებს დღეს შედეგი მოაქვს, ხოლო ჩვენი ისტორიული გზაჯვარედინი მზად არის დაიკავოს კუთვნილი ადგილი როგორც გლობალური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთმა მთავარმა მამოძრავებელმა ძალამ“.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს სტუმრობდნენ:

ჩინეთის სინძიან-უიღურეთის ავტონომიური რეგიონის გუბერნატორი შუქრათ ზაქირი; აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი აბიდ შარიფოვი; ყირგიზეთის ვიცე-პრემიერი ვალერი დილი; აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ბრიუს ენდრიუსი; გაერთიანებული საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების მინისტრი, შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანი; აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ვენჩაი ჟანგი; ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ლასო ბარანია. ფორუმის მოდერატორი, „ეკონომისტის“ წარმომადგენელი ერნანდო დე სოტო და მსოფლიოს საინვესტიციო კომპანიების პირველი პირები.

* * *

პრემიერ-მინისტრმა შეხვედრები გამართა ფორუმზე ჩამოსული უცხოური დელეგაციების წარმომადგენლებთან.

შეხვედრა არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხთან

საპატიო სტუმარს — არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხს, მის აღმატებულება ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანის საქართველოს მთავრობის მეთურმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

პირისპირ შეხვედრაზე იმსჯელეს ორმხრივი ურთიერთობების საკითხებზე და ახალი აბრეშუმის გზის პოტენციალზე. დაისახა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

საუბარი გაფართოებული ფორმატის შეხვედრაზე გაგრძელდა, სადაც საქართველოს საინვესტიციო გარემო და ტურისტული შესაძლებლობები განიხილეს. საუბარი შეეხო „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მნიშვნელობას და საქართველოს წინაშე მდგარ ახალ შესაძლებლობებს.

„ეს ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ახალი აბრეშუმის გზის კონცეფცია მთლიანად გარდაქმნის რეგიონს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ წინსვლას. აბრეშუმის გზა შექმნის ბევრ შესაძლებლობას და საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აქცევს. საქართველოს აქვს კარგი მდებარეობა, რაც ხელს შეუწყობს შეასრულოს ეს როლი“, — აღნიშნა შეიხმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მანვე ნაყოფიერი უწოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრას და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანი არაბეთის საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივი განვითარების მინისტრი, აბუ-დაბის გაერთიანებული ეროვნული ბანკის თავმჯდომარე და ალ აინის უნივერსიტეტის რექტორია. შეიხი მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემიისა და ჯილდოს მფლობელია, ის თავმჯდომარეობს და პატრონაჟს უწევს ასზე მეტ ყოველწლიურ კონფერენციასა და სიმპოზიუმს, რომლებიც არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში აქტუალურ საკითხებს ეძღვნება.

პრემიერ-მინისტრმა ბრიუს ენდრიუსს უმასპინძლა

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში, საქართველოში აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ბრიუს ენდრიუსი ეწვია. მაღალი რანგის სტუმარს, აშშ-ის დელეგაციასთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მხარეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის მნიშვნელობა, რომელიც საუკეთესო პლატფორმაა არა მხოლოდ ბიზნესებს შორის კონტაქტების დასამყარებლად, არამედ რეგიონალური თანამშრომლობის ისეთი საკითხების განსახილველად, როგორებიცაა ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სასტუმრო ბიზნესი/ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა.

„განვიხილეთ არაერთი საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვანია აშშ-ისა და საქართველოსთვის. ვისაუბრეთ ახალ აბრეშუმის გზაზე და მისი წარმატების მნიშვნელობაზე. განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის ასპექტები, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტმა ამერიკულმა კომპანიამ აღმოაჩინოს საქართველო. ვისაუბრეთ რეგიონული მნიშვნელობის თემებზე, რომლებიც ასევე ეხება საქართველოსა და აშშ-ს. ძალიან პოზიტიური და სასარგებლო შეხვედრა იყო“, — განაცხადა ბრიუს ენდრიუსმა შეხვედრის შემდეგ.

პრემიერმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ფორუმის თანასპონსორობისთვის, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრის შემდეგ საუბარი არაოფიციალურ გარემოში, მთავრობის ადმინისტრაციის ვერანდაზე გაგრძელდა. სტუმრებმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად, თბილისის ხედები დაათვალიერეს.

შეხვედრა ყირგიზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერთან

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ მნიშვნელოვან ღონისძიებად შეაფასა ყირგიზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ვალერი დილმა. მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე. ხაზი გაესვა საქართველოში ყირგიზი ვიზიტორების რაოდენობის მნიშვნელოვან დინამიკას.

თბილისის ფორუმის მნიშვნელობაზე ყირგიზეთის ვიცე-პრემიერმა განაცხადა:

„იმედი მაქვს „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ იქნება ყოველწლიური და საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბებიან ბიზნესმენები, სახელმწიფო მოღვაწეები, რათა იმსჯელონ ახალი აბრეშუმის გზის პროექტზე. ვფიქრობ, დღევანდელმა ფორუმმა ნამდვილად მისცა ბიძგი ახალ პროექტებს, რაც ქვეყნების კეთილდღეობას, პირველ რიგში კი საქართველოს ინტერესებს მოემსახურება“.

პრემიერმა აბრეშუმის გზის ფორუმის მაღალი რანგის სტუმრებს უმასპინძლა

„დღეს, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ აბრეშუმის გზა გახდება ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის მონაწილეებს, რომლებსაც ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა ღონისძიების გამართვაში შეტანილი წვლილისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ჩინეთის მთავრობას, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და აზიის განვითარების ბანკს, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, მთავრობის ადმინისტრაციას.

„დღეს ჩვენ მოვუსმინეთ აბრეშუმის გზის გაყოლებაზე მდებარე სახელმწიფოთა ლიდერებს, რომლებმაც აღწერეს ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობაში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი. ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავია ეს გამოსვლები. ვიმედოვნებ, თქვენზეც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავს მთელს მსოფლიოში. იმედი მაქვს, თქვენც დარწმუნდით, რომ საქართველოში ბევრი მეგობარი გყავთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და განსაკუთრებით მიესალმა 30-ზე მეტი ქვეყნის — ავღანეთის, სომხეთის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბულგარეთის, კანადის, ჩინეთის, კვიპროსის, ჩეხეთის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის, ინდოეთის, ირანის, ყაზახეთის, კორეის, ქუვეითის, ყირგიზეთის, ლატვიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ყატარის, რუმინეთის, სლოვენიის, შვეიცარიის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, აშშ-ის, თურქეთის, თურქმენეთის, უკრაინის, უზბეკეთის — ლიდერებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ წარმომადგენლებს

პრემიერის თქმით, საოცარია, რომ თვითმყოფადი, მაგრამ ხშირად ურთიერთდაკავშირებული ისტორიული წარსულის მქონე ამდენი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც განმსჭვალული არიან მშვიდობის, კეთილდღეობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, დღეს ერთად უსხედან ქართულ სუფრას.

პრემიერ-მინისტრმა და მაღალი რანგის სტუმრებმა ერთად შესვეს აბრეშუმის გზის — კეთილდღეობის ისტორიული დერეფნის აღორძინების სადღეგრძელო.

„ამ ფორუმის დანიშნულება არის არა მხოლოდ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის, მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, არამედ პეკინიდან ბრიუსელამდე ყველასთვის საერთო სარგებლის მოტანა“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

დღე მეორე — 16 ოქტომბერი

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვა აბრეშუმის გზის საინვესტიციო ფორუმის მონაწილეებისადმი

„ჩემი მთავრობის მიზანია საქართველოს გადაქცევა აყვავებულ ქვეყნად, რომელიც გონივრულად იყენებს თავის მდებარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის აბრეშუმის გზის საინვესტიციო ფორუმის მონაწილეებს.

„როგორც ევროპის აღმოსავლეთით მდებარე უკიდურესი საზღვაო და სახმელეთო კარიბჭე, საქართველო იდეალურად უზრუნველყოფს აზიისკენ მიმავალ მარშრუტს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აბრეშუმის გზის გაყოლებაზე არსებულ თანამშრომლობისა და ვაჭრობის პოტენციალზე ისაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სწორედ ბიზნესი იქნება აბრეშუმის გზის ხელახლა დაბადების ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფორუმის მონაწილე ბიზნესმენებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ღონისძიებაში ჩინეთის ორასი ბიზნესმენის მონაწილეობა ცხადყოფს, რამდენად სერიოზულად ეკიდება ჩინეთი აბრეშუმის გზის განვითარებას და რამდენის შეთავაზება შეუძლია საქართველოს.

პრემიერ-მინისტრმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე:

- **ჩვენ ვართ პატარა, ოთხმილიონიანი, მაგრამ სტრატეგიულად განლაგებული ქვეყანა უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალით.**
- **ჩვენ გვაქვს თავისუფალი, ღია და გამჭვირვალე ბიზნესგარემოს რწმენა.**
- **მსოფლიო ბანკის თანახმად, ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით.**
- **გადასახადების სიმსუბუქის მხრივ კი მსოფლიოში მეოთხე ადგილზე ვართ.**
- **ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა, სადაც აღმოფხვრილია კორუფცია.**
- **ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მოვიზიდეთ მილიარდობით დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. დღეს შეიმჩნევა უცხოური ინვესტიციების ნაკადის უპრეცედენტო ზრდა.**
- **2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1,75 მილიარდი დოლარი იყო, რაც არა მხოლოდ 87 პროცენტით აღემატება 2013 წლის მონაცემებს, არამედ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო შვიდი წლის განმავლობაში.**

4 gv.

თბილისის „აბრეშუმის გზის“ ფორუმი

3 gv.

● ბაზარზე ახალი შემომსვლელებისთვის მაქსიმალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ორი მრავალმილიარდიანი საინვესტიციო ფონდი: საპარტნიორო ფონდი და საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.

● საპარტნიორო ფონდი უზრუნველყოფს შერჩეულ პროექტებს საჯარო სახსრებით. ფონდი ღიაა საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრატეგიული ფორმების განსახილველად.

● საქართველოს თანაინვესტირების ფონდი იზიდავს სახსრებს კერძო საინვესტიციო წყაროებიდან და მოიცავს საერთაშორისო მეწილეებს.

● ჩვენ გვაქვს საყოველთაო ჯანდაცვა და ძლიერი განათლების სისტემა, რაც ჯანმრთელი და განათლებული კადრების გარანტიაა.

● კრედიტუნარიანობის წამყვანი სარეიტინგო სააგენტოები აფასებენ ჩვენს ქვეყანას როგორც სტაბილურს და პოზიტიურს.

● კანონის უზენაესობა საქართველოში მტკიცეა და დღითი დღე ძლიერდება: ბიზნესთან დაკავშირებული დავები წყდება ხელისუფლების ჩარევის გარეშე.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშზე მმართველობასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა:

● 13 პუნქტით რეგულაციების ხარისხის კატეგორიაში;

● 16 პუნქტით გამოხატვისა და ანგარიშვალდებულების კატეგორიაში;

● 19 პუნქტით კანონის უზენაესობის კატეგორიაში;

● 22 პუნქტით პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობის კატეგორიაში;

● 23 პუნქტით კორუფციის კონტროლის კატეგორიაში.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მდებარეობს უზარმაზარი თავისუფალი სავაჭრო ქსელის გულში:

● ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, თურქეთსა და რუსეთთან, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან.

● ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-სა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ.

● სულ ახლახან დავბრუნდი ჩინეთიდან, და მალე ჩვენ შეიძლება გავხდეთ პირველი ევროპული ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ჩინეთთან.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს საქართველოს მდებარეობას ევროპისა და აზიის ვაჭრობის გულში.

„საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო ქსელებით შესაძლებელია ტვირთის ჩატანა ჩინეთიდან ევროპაში საზღვაო მარშრუტზე ბევრად უფრო სწრაფად. თავისუფალი სავაჭრო კავშირები კი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, იყოს ერთ-ერთი მთავარი უტარიფო რეგიონალური დისტრიბუციის ცენტრი. მარტივად რომ ვთქვათ, თქვენთვის ინვესტირება საქართველოში ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან თქვენი ხარჯები და გადასახადები უფრო დაბალი იქნება, შეგხვდებათ ნაკლები მარეგულირებელი დაბრკოლება, ხოლო ამონაგები ბევრად დიდი იქნება“, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა საინვესტიციო ფორუმის მონაწილეებს.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე და მაგალითად დაასახელა „ჰუალინგ ჯგუფი“, რომლის ინვესტიციების ჯამური ოდენობა 500 მილიონ დოლარს აღემატება.

● „ტატა ჯგუფმა“ (ინდოეთი), **Clean Energy Invest**-მა (ნორვეგია) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ სულ ახლახან განახორციელეს 400 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია აჭარისწყლის პროექტში.

● კორეის წყლის რესურსების კორპორაცია და საქართველოს საპარტნიორო ფონდი განახორციელებენ ერთმილიარდიან ინვესტიციას ნენსკრაჰესის მშენებლობაში.

● საქართველოში ფუნქციონირებს ტოიოტას (იაპონია) კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისი და დისტრიბუციის ცენტრი.

● კომპანიები **Dhabi Group da RAKIA** (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს სასტუმროების, უძრავი ქონებისა და სხვა პროექტებში.

პრემიერი ქვეყნის მზარდ ტურისტულ პოტენციალსაც შეეხო. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ბოლო 11 წლის განმავლობაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 18-ჯერ გაიზარდა, 310 ათასიდან 2003 წელს 5,5 მილიონამდე 2014 წელს.

„შარშან და შარშანწინ უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ გადააჭარბა საქართველოს მოსახლეობას. გამოვთქვამ იმედს, რომ, ჩამოთვლილი ინიციატივების მსგავსად, დღევანდელი ღონისძიებაც გაუხსნის გზას ჩვენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და გააღრმავებს თქვენს დაინტერესებას საქართველოთი. პირადად მე გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობა გაგიწევთ თქვენ, თქვენს პარტნიორებსა და ყველა უცხოელ ინვესტორს სრულ მხარდაჭერას საქართველოში ბიზნესის დაარსებისა და ამოქმედების საქმეში. ბედნიერი ვარ, რომ აქ იმყოფებით. საქართველო არის სტაბილური, ძლიერი და ღია სახელმწიფო. ჩვენი თანამშრომლობა შედეგად მოიტანს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას“, - მიმართა პრემიერმა ფორუმის მონაწილე ბიზნესმენებს.

ხელმოწერის ცერემონია

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა“ და უდიდეს ჩინურ კორპორაცია Dongfang Electric-ს შორის რამდენიმე შეთანხმება გაფორმდა. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

პროექტი, რომელსაც „საქართველოს ინდუტრიული ჯგუფი“ Dongfang Electric-ის დაფინანსებით განახორციელებს, ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობას. მისი დადგმული სიმძლავრე 150 მგვტ, წლიური გამომუშავება 1 მილიარდი კვტ/ს შეადგენს. პროექტის ჯამური ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარია.

შეთანხმებების ხელმოწერას წინ უძღოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი კორპორაცია Dongfang Electric-ის პრეზიდენტს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის საკითხები და კონკრეტული პროექტები.

* * *

დიმიტრი ქუმსიშვილი:

ეკონომიკის მინისტრი

„უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმების წყალობით, აბრეშუმის გზის ქვეყნების ეკონომიკები მყარი და მზარდია. ამასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა წარმატებას შეგვიძლია მივაღწიოთ ინდივიდუალურად, ვერასოდეს მივაღწევთ საკუთარი პოტენციალის სრულ გამოყენებას რეგიონალური თანამშრომლობის გარეშე. ერთად მუშაობის შედეგად შევძლებთ გავუზიაროთ ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობები და ეფექტიანად გავუმკლავდეთ გამოწვევებს“.

შოხრატ ზაკირი:

ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი:

„აბრეშუმის გზა არის ეკონომიკური ინიციატივა და ძალიან ბევრ ახალ შესაძლებლობას უქმნის იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზის გასწვრივ მდებარეობენ. რაც შეეხება ჩვენს ოლქს, სინძიანის ოლქი ძალიან ახლოს მდებარეობს ევრაზიის კონტინენტთან. ეს ჩინეთის ყველაზე დიდი პროვინციაა, ტერიტორიის მიხედვით, რომელიც ესაზღვრება მთელ რიგ ქვეყნებს. ეს არის პროვინცია, რომელიც გეოგრაფიულად ყველაზე ახლოსაა საქართველოსთან — ოთხი საათია პეკინიდან თბილისამდე...

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებულ თანამშრომლობას გავაფართოვებთ. ჩინეთი ძირითადი მამოძრავებელია აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებაში და ჩვენი ოლქისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია. სინძიანს ძალიან ბევრი რესურსი აქვს — ქვანახშირი, ნავთობი, გაზი... აბრეშუმის გზა გახდება მეცნიერების, ვაჭრობის კერა“.

გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი:

„აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ არსებული პოტენციალის სრული ათვისებით საქართველომ მიიღოს მნიშვნელოვანი ბენეფიტები ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველო იმ დინამიზმს, რომელიც დღეს აზიის ქვეყნებში არსებობს, სათავისოდ გამოიყენებს და ეს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე ადეკვატურად აისახება. საქართველოში არსებობს ღია სივრცეები, სადაც შესაძლებელია ინვესტიციების შემოტანა. ეს არის უპირველეს ყოვლისა ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფერო, სადაც რამდენიმე მილიარდი დოლარის ინვესტიციის ათვისება თავისუფლად შეიძლება; ასევე, ეს არის სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი წარმოების სფერო; ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის სფერო; ენერგეტიკის სფერო და ძალიან დიდი ინტერესია ასევე ფინანსური სექტორის მიმართაც. ამ ორი დღის განმავლობაში ძირითადად ამ სფეროებზე იყო გამოხატული ძლიერი ინტერესი. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ არა მხოლოდ პოლიტიკურ დედაქალაქებში, არამედ იმ ცენტრებში, სადაც ფინანსები იყრის თავს, მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ და კონკრეტული ქმედებებით დავაგვირგვინოთ ეს. საამისოდ ქვეყანას ყველა ინსტრუმენტი აქვს“.

ვაჟა ბერიძე:

საქართველოს ჩართვა „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტში ამ ქვეყანაში სიმშვიდის და სტაბილურობის გარანტიაა

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

— ბატონო ვაჟა, დღეს უკვე აბრეშუმის გზის ფორუმს ვუმასპინძლეთ. გამოდის, რომ საქართველო მნიშვნელოვანია როგორც ევროპისთვის, ისე აზიისთვის. როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის როლი ამ გზის აღორძინებაში, რა პერსპექტივებია ამ მიმართულებით?

— აბრეშუმის გზის ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, სადაც სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალური დელეგაციები ჩამოვიდნენ, სამომავლო პერსპექტივებზე საგნობრივი მსჯელობა გაიმართა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ საქართველო გარესამყაროსთვის საჭიროა. გამომდინარე აქედან, ის ქვეყნები რომლებიც ამ იდეის, პროექტის რეალიზაციით დაინტერესებულნი არიან, ყველაფერს გააკეთებენ, რათა იმ მონაკვეთზე რომელიც საქართველოს შემადგენლობაშია სიმშვიდე, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება იყოს და ეს რეგიონი მსოფლიო პროცესებში ორგანულად ჩაერთოს, რათა მსოფლიო მასშტაბის დიდმა მოთამაშეებმა, როგორებიცაა ჩინეთი, აშშ, ევროკავშირი თავიანთი ზრახვები განახორციელონ. ეს ის ზრახვებია, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის სასიკეთოა. ბუნებრივია, მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, ხშირად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფიც. მაგალითად, ჯორჯ ბუში უმცროსი, თავის დროზე, საარჩევნო კამპანიის დროს ამბობდა: ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფადგანვითარებადი ეკონომიკები ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენსო. ჩინელები და ინდოელები დემოგრაფიული ბუმის პირობებში მცხოვრები ერები და ხალხები იყვნენ, რომლებსაც სოციალური პრობლემები მოგვარებული არ ჰქონდათ და ამის გამო, საერთაშორისო სტაბილურობისა და მშვიდობისათვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. აი, ასეთი რემარკა ჰქონდათ მათ აშშ-ს, იმ ხანად პრეზიდენტობის კანდიდატისგან, მომავალში პრეზიდენტისგან. მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც „ბრიქსის“ ფარგლებში გაერთიანებული დიდი და განვიათარებადი ეკონომიკები — აზიის გიგანტები, გარკვეულწილად, შესაძლოა დასავლეთის და შემდეგ აშშ-ს, ევროკავშირის საპირწონე იყოს, რეალურად, მაინც ვფიქრობ, რომ მათი წინააღმდეგობების გადალახვა შეიძლება და ეს მსოფლიოსთვის პროცესების სასიკეთო კალაპოტში მიმართვა იქნება. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია პროექტი დიდი აბრეშუმის გზა, რომელშიც ღვთის მადლით ჩვენი ქვეყანაცაა ჩართული, რაც არაჩვეულებრივია. რა თქმა უნდა, ამის ფესვები საუკუნეების წიაღიდან მოდის. ბუნებრივია, საქართველოდან დასავლეთისკენ სავაჭრო ქარავნების მიმოსვლას დიდი ისტორია აქვს იქამდე, ვიდრე თურქები კონსტანტინეპოლს აიღებდნენ და, გარკვეული თვალსაზრისით, ევროპისკენ მიმავალი გზა ჩაიკეტებოდა. დღეს, ამ იდეამ ახალ დროში გაიუღერა, წინა პლანზეა წამოწეული, რაც ფორუმმა დაადასტურა, სადაც ჩინეთიდან, აშშ-დან სხვა ქვეყნებზე და არაბული სამყაროს წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვა, ძალიან სერიოზული წარმომადგენლობები იმყოფებოდნენ. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, ჩინეთის მზარდი ეკონომიკა, რომელსაც ბოლო პერიოდში გარკვეული სიძნელეები შეექმნა, მაინც მყარად დგას ფეხზე და თავისი აბსოლუტური პარამეტრებითა და მაჩვენებლებით თითქმის უტოლდება აშშ-ს ეკონომიკას. თუმცა, რა თქმა უნდა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობით ჩინეთი აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების კეთილდღეობისაგან და მაჩვენებლებისაგან შორსაა, მაგრამ მაინც მყარად დგას. ამ თვალსაზრისით, ჩინეთთან ურთიერთობას როგორც აბრეშუმის გზის ძალიან მნიშვნელოვან და საკვანძო ქვეყანას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოსთვის ეს მრავალმხრივ სასარგებლო, მისაღები და სამურია.

— აბრეშუმის გზის ფორუმი ქვეყნისთვის მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, უცებ აზიის კონტინენტთან ურთიერთობებისკენ გადავინაცვლეთ. ეს რამდენად თავსებადია?

— მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ევროატლანტიკური კურსი არ არის რაღაც ჩარჩო რომლის იქეთაც გახედვის უფლება არ გვაქვს. ის მისწრაფება, რომ ცივილიზაციის მოწინავე რეგიონთან იდეურად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად თანხვედრაში ვიყოთ, არ ნიშნავს, რომ ყოფილ მეტროპოლიასთან რუსეთთან ზღუდე აღვმართოდ და წარმოვიდგინოთ, რომ კავკასიონის გადაღმა არის ზღვა და ტბა, როგორც ამას ბატონი ბენდუქიძე ამბობდა. „აციონალები“ აღნიშნავდნენ, რუსულ ფულს სუნი არ აქვსო და ამ დროს, საქართველოში უზარმაზარი რუსული კაპიტალი შემოუშვეს, რუსული კომპანიების უთვალავი რაოდენობა, აქ, დღესაც ოპერირებს. ამ პროცესში მიუღებლად მიმაჩნია, ცრუმაგიერი პირებისა და კომპანიების არსებობა, „აციონალების“ ჩართულობა ბიზნესწილებში, მათი მეშვეობით ბიზნესების ფლობა და საკუთარი ბიზნესინტერესების დაკმაყოფილება, მთელი რიგი კომპანიების ოპერირება ოფშორულ ზონებში. აი, ესაა ნეგატიური და სახიფათო და არა ის, უნდა ვიურთიერთობოთ თუ არა რუსეთთან. ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობები მეტ-ნაკლებად, პოლიტიკური შინაარსითაა დატვირთული. ეს ასეა დასავლეთშიც, აღმოსავლეთშიც. ბუნებრივია, რუსულ კომპანიებთან ურთიერთობას აქვს ეს საფრთხე, ხშირად, სერიოზული. მაგრამ ამის გამო ამ ურთიერთობებზე და სიკეთეზე უარის თქმა, ელემენტარულად, სიბრიყვედ მიმაჩნია. ეს პროცესი „ნაცმოძრაობამ“ წააქეზა, მაგრამ ასე მოიქცევა სხვა ხელისუფლებაც, ვინაიდან ჩვენ სტრატეგიული პარტნიორებისგან — ამერიკელი და ევროპელი მეგობრებისგან განებივრებული არ ვართ. მეტიც, მათგან ბოლო 25 წელი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სერიოზული ინვესტიცია არც კი განხორციელებულა. თუ არ ჩავთვლით თელასის შემოსვლას, რომელმაც მერე, თავისი აქტივები საქართველოში რუსულ კომპანიას მიჰყიდა. თავისთავად ცხადია, რომ ეს დასავლეთის მხრიდან გარკვეული დამოკიდებულება, სტრატეგიული ინტერესია, ზოგჯერაც თავშეკავება რუსეთის გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად და ზოგჯერ, სიფრთხილე დასავლური ბიზნესისადმი ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა უნდა გვქოდნეს რუსეთთანაც, აზიასთანაც რომელიც იღვიძებს, ვითარდება და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა იყოს მოზომილი, ფრთხილი, გააზრებული, რადგან ყოველი კაპიტალის შემოსვლას ხშირად მოჰყვება ნეგატივი — ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელი მომენტები. ჩვენ სუვერენიტეტი გვინდა იმისთვის, რომ ასეთი საფრთხეები დავარეგულიროთ, დავაბალანსოთ, გავანეიტრალოთ.

— თუ ჩავთვლით, რომ ეს ურთიერთობები ხელს არავის უშლის, მაშინ გაუგებარია რაღატომ ვიბრძვით ასე ნატოში შესასვლელად, ან რატომ ვეძახით რუსს ოკუპანტს? მაშინ შევკეროთ ერთი დიდი საბანი და ვიყოთ ყველა — რუსი, ამერიკელი, ევროპელი ერთად და ვიცხოვროთ ბედნიერად.

— ბუნებრივია, ისინი ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენს თანამშრომლობას რუსეთთან ყველა სფეროში, ყველა დონეზე. აქ კი მოგვიხდება დავარწმუნოთ ისინი, რომ ქართველი ხალხის არჩევანი მყარი და მტკიცეა. თუმცა, ეს იოლი არ იქნება იმდენად რამდენადაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის დღევანდელი განწყობა ამერიკელებისა და ევროპელებისთვის, გარკვეული თვალსაზრისით, გაუგებარია. როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მათ ჩვენს დასახმარებლად დიდი კაპიტალი ჩადეს, უზარმაზარი ფინანსური და ადამიანური რესურსი დახარჯეს. მარტო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 5 მილიარდიანი დახმარება საკამარისი გასახსენებლად. მაშინ, ოპერატიული დახმარება გაგვიწიეს, რათა ჩვენი საბანკო სისტემა, ეკონომიკა და საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ინსტიტუტები არ ჩამოშლილიყო. რა თქმა უნდა, მათ დღევანდელი სიტუაცია აღელვებთ, რადგან ამჟამინდელ ხელისუფლებას ბოლომდე არ ენდობიან. მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის მმართველი ძალა, ცალსახად, პრო-დასავლური არაა. ქართველი ხალხის, აბსოლუტურად, პრაგმატულ მისწრაფებას, რომ დავალაგოთ ურთიერთობები ყოფილ მეტროპოლიასთან, ასევე, სხვა მეზობლებთან — თურქეთთან, ირანთან, დასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან ზოგჯერ სათანადო გაგება ახლავს. მათ, ხშირად, ეიოლებათ ნაცად პარტნიორებთან ურთიერთობა თუნდაც ისინი სერიოზული შეცდომების დამშვები, კრიმინალები იყვნენ, დასავლეთი მაინც მათ გამართლებას ცდილობს, რადგან ამერიკას და ევროპას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, რომელთა მოგვარებას ვერ ახერხებს. ამიტომ, ისინი ბევრ რამეზე თვალს ხუჭავენ და აშკარად უჭერენ მხარს ოდიოზურ ფიგურებს, არადემოკრატიულ, ავტორიტარულ, ტოტალიტარულ, დიქტატორულ რეჟიმებსაც კი. მერე რა, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ბოლო აღწერით 4 მილიონამდე ვმერყეობთ, მაგრამ ვართ ხალხი, რომელსაც საკმაოდ საინტერესო ისტორია, წარსული აქვს. ამ დროს, ასეთ ხალხს ეუნები, რომ ვიღაცის სამართლებრივი დევნა თურმე, პოლიტიკური მოტივებითაა განპი-

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„ნაცმოძრაობა“ – პოლიტიკური პარტია თუ მკვლელების ბანდა?

ამ დღეებში ინტერნეტქსელით გავრცელდა კადრები სამეგრელოში, სპეციალურად მოწყობილ მიწისქვეშა ბუნკერებში მომხდარი საშინელების შესახებ. ნაციონალები დღემდე ვირთხულად სდუმან, მათი ნაწილი სოროებიდან კნავის: ეს კადრები „ქართულმა ოცნებამ“ იმიტომ გამოაქვეყნა, რომ ამ პარტიას ძალიან გაუჭირდაო.

რაც უნდა გაუჭირდეს, გინდა „ქართულ ოცნებას“ და გინდა სხვა რომელიმე მთავრობას, რომელიც მოვა საქართველოს ხელისუფლებაში ოდესმე, იმ უდიდეს ცოდვას და დანაშაულს, რაც ნაციონალურ რეჟიმს აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ვერ წაშლის და ვერ გაამართლებს.

წარმოუდგენელია, მხოლოდ ქართული სინამდვილის საშინელ კოშმარად ჩავთვალოთ „ნაცმოძრაობის“ მიერ განხორციელებული აპოკალიფსური საშინელებანი. ეს არის ადამიანის მიმართ ჩადენილი გენოციდური ქმედება, რომელიც მსოფლიომ უნდა დაგმოს... მაგრამ სანამ „დემოკრატიულ“ და „კაცთმოყვარე“ მსოფლიოს, კერძოდ კი, ევროპა-ამერიკას დაველოდებით, რომელმაც არაერთხელ „გაუპრავა“ ნაცმოძრაობის შუქურებს ქართველ ხალხზე განხორციელებული უამრავი საზიზღრობა, მანამდე საზოგადოებამ უნდა გამოვუტანოთ განაჩენი სექტას, რომელიც თავის თავს პარტიას ეძახის.

თუ ვინმეს დაავიწყდა, ახლა თანმიმდევრულად მოგიყვებით მათ მიერ საქართველოში 9 წლის განმავლობაში ჩადენილი კოშმარების შესახებ და კიდევ ვინ დარჩება „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი, ისიც უნდა დაისაჯოს სამაგალითოდ, როგორც ზნეობრივად და გონებრივად გახრწნილი და ფსიქიკურად ავადმყოფი.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე **მიხეილ სააკაშვილი** აცხადებს: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ და იწყება „გმირობათა“ კასკადი, რომელიც სააკაშვილის და მის მომხრეთა გადაგვარებული ზრახვების განხორციელება იყო.

2004 წლის 12 მარტს პირველი დიდი „გმირობა“ ჩაიდინა სახელმწიფო გადატრიალების შემოქმედმა ხელისუფლებამ. **გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი** და **ზურაბ ადეიშვილი** წინ წარუძღვა სპეცრაზმის სამ-

ხიდიან სატვირთოებს, შელეწეს გლდანის მართლმადიდებლური ტაძრის კარი და მღვდელი და მრევლი იქიდან გამოათრიეს. ნიღბიანი სპეცრაზმელები გულის წასვლამდე სცემდნენ დილის ლოცვაზე მისულ ქალებს, სისხლის და მოთქმა-გოდების ფონზე ბარამიძემ მშვიდი სახით მისცა კომენტარი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“ – „რუსთავი-2“, რომელიც შემდეგ სისხლიანი რეჟიმის ყველაზე დიდი პროპაგანდისტი და აგიტატორი გახდა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მწერლებს დაერივნენ. მწერალთა სახლიდფან კინწისკვრით გამოყარეს მწერლები და სამათხოვროდ გასწირეს ერის მოაზროვნე ნაწილი.

სულ ცოტა ხანში ნავთლულში, სამგორის მეტროს ახლო ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის სპეციალურმა რაზმმა, 16-და 18 წლის სამ აჭარელ ახალგაზრდას დაჩოქილებს, მიბჯენით, ცხელი ტყვიით გაუხვრიტა გულმკერდი, ვითომ ციხის ბუნტის მოწყობის ორგანიზატორობის ეჭვით. შემდეგ ინტერვიუში ამ ყმაწვილების უბედურმა დედებმა მითხრეს, 10 დღის განმავლობაში არ ვიცოდით, სად იყვნენ ბავშვები, უკვალოდ იყვნენ გამქარალიო. დედებმა ინტერვიუში მაშინ ისიც თქვეს: ბიჭებს მუცლის ღრუ ცარიელი ჰქონდათ, თავის ქალიდან ტვინიც კი იყო ამოჭრილიო...

შემდეგ რევოლუციურმა მთავრობამ ბათუმის მთავრობა იავარჰყო, ასლან აბაშიძე ქვეყნიდან გააძევა. აბაშიძის კუთვნილი და აჭარის ა/ო-ს ქონება თვითონ და მისი ბანდის წევრებმა გადაინაწილეს.

იმ ხანებში აღმოცენებულ ოპოზიციურ პარტია „სამართლიანობას“ ერთ მშვენიერ დღეს თავს დაეცა პროკურატურა, კონფისკაცია გაუკეთა პარტიის ქონებას და რუსეთის აგენტობის და სახელმწიფო გადატრიალების (!) ბრალდებით 14 პირი ციხეში გამოკეტა. ამ ჯგუფში იყო მაშინ ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტ-კრიმინალისტი, ადვოკატი **მაია ნიკოლეიშვილი**. იგი შვილების წამებით სიკვდილის მუქარით ისე შეაშინეს, რომ ოპოზიციონერობაზე ფიქრი კი არა, ეს ნიჭიერი ქალბატონი საერთოდ ჩამოაცილეს საზოგადოებას და სრულ ასკეტიზმსა და იზოლაციაში ამყოფეს კარგა ხანს...

7 ნოემბერს ახალგაზრდა მმართველებს ნერვებმა უმტყუნეს. სპეცრაზმი, რომელიც ვანო მერაბიშვილის, მაშინდელი შს მინისტრის დაქვემდებარებაში იყო, რეზინის ტყვიებით, ხელკეტებით, მომწამვლელი გაზებით და წყლის ნაკადით შეიარაღებული დაერია საპროტესტოდ ქუჩაში გამოსულ საკუთარ მოქალაქეებს. სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, დაჩეხილ-დალეწილი სხეულებით იყო მოფენილი რუსთაველის გამზირი...

ეს იყო საარაკო ამბავი... იმ დღეს დაშავებულები დღესაც დაინვალიდებულნი არიან...

8 აგვისტოს ცხინვალში შეჭრილმა ქართულმა ჯარმა სასტიკი მარცხი განიცადა. უამრავი ქართველი შეეწირა ამ უაზრო ომს, დახოცილთა ცხედრებს სანამ ბუზი და მატლი არ დაეხვია, მანამდე სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ვერ „მოახერხა“ მიცვალებულების დასაფლავება, რადგან მთელ საქართველოში მაღალს და ბნელს მსტოვრები ჰყავდა გაგზავნილი: ყველას შთააგონეთ, ცხინვალში ომი ქართველებმა მოიგესო. ისმოდა სიმღერები და ტრამპაცუმპა.

მღეროდა **მერაბ სეფაშვილი** და **ლელა წურწუმია**...

ეს იყო სატანური რიტუალი – დაჩეხილ გვამებზე ცეკვა...

ამასობაში „ვიღაცის“ უჩინარმა ხელმა „ვარდების გადატრიალების“ ერთ-ერთი შემოქმედი – **ზურაბ ჟვანია რაულ უსუპოვთან** ერთად საიქიოს გაისტუმრა.

რასაც სულ მალე **ლევან სამხარაულის** და მისი მეგობრისა და კლასელის მკვლელობები მოჰყვა. სამივე **ზურაბ ჟვანიას,** ასე ვთქვათ, წააკლეს.

მკვლელობათა სერია დროდადრო ახალი ძალით და ინტერპრეტაციით, თუმცა ერთი და იგივე ხელწერით იფეთქებდა ხოლმე. ხელწერის მიხედვით, ყველა გარდაცვლილი სასტიკი გულგრილობითაა მოკლული...

საზოგადოება შეძრა ოქროყანის სასაფლაოზე შიშველ-ტიტველი 29 წლის **სანდრო გირგვლიანის** ნაწამები გვამის ხილვამ. მის მკვლელობაში ხელისუფლების მაღალჩინოსნები მთავარი მონაწილეები იყვნენ...

არ ვიცი, ხელისუფლებას რომ ვამბობ, სწორი ტერმინოლოგიით თუ ვაფასებ, შესაძლოა, უნდა ვთქვა მკვლელთა ბანდები, რომლებმაც შემდეგ თბილისის ცენტრში დღისითმზისით პოლიციის სპეცრაზმისგან საცერივით დაცხრილული 28 წლის **ზურაბ ვაზაგაშვილის** სისხლში მცურავი სხეული დააგდეს კორტებთან, მზე დაუბნელეს **ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს**... ჯერ ზუსტად დაუდგენელი მიზეზების გამო თბილისის ცენტრში ტყვიით თავი გაუხვრიტეს აკადემიკოს **გურამ შარაძეს,** რომელიც ხელისუფლების კურსის მძაფრი კრიტიკით გამოირჩეოდა.

ამას მოჰყვა: **გია კრიალაშვილი,** რომელიც მოკლეს თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას.

როინ შავაძე – ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად იყო ნაწამები.

პირდაპირ უკავშირდება სააკაშვილის სახელს ბიზნესმენ **ბადრი პატარკაციშვილის** გარდაცვალება. ისიც სიცოცხლის ბოლო ხანებში ხელისუფლებას აკრიტიკებდა.

ვითომდა გულის შეტევით გარდაცვლილი პატარკაციშვილის საფლავთან არც ერთი ნაციონალი არ მისულა.

მურმან კალნდია

სოსო ქიმერიძე

სანდრო გირგვლიანი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლადო სადღობელაშვილი:

კაცების გამაუპატიურებელი პარტიის ადგილი საქართველოში არ არის!

გვესაუბრება ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის" ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი.

— ლადო, ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა კადრებმა მოსახლეობაში, რბილად რომ ვთქვათ, აღშფოთება გამოიწვია. თქვენი ორგანიზაცია ორი დღე აწყობდა საპროტესტო აქციებს „ნაცმოძრაობის" ოფისებთან...

— მოდით, ამ საკითხს ადამიანური თვალსაზრისით მივუდგეთ. ვერ წარმომიდგენია, ამ კადრების შემდეგ ხალხი მშვიდად მჯდარიყო სახლში და პროტესტი არ გამოეხატა. როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი, რომელიც საღად აზროვნებს, სახლში მშვიდად დაჯდეს და თავისი ადამიანური პროტესტი არ გამოხატოს, არაფერი მოიმოქმედოს. ამას გეუბნებით არა როგორც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, არამედ ერთ-ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა. ხალხი კი, თავის გულში, გონებაში გმობს ძალადობას, მაგრამ არ გამოხატავს, წყნარად არის, ვერ წარმომიდგენია. მით უფრო, ხალხმა ვიცოდით მსგავსი კადრების არსებობის შესახებ. მართალია, მითად დადიოდა ხმები, არის ასეთი ჩანაწერებიო, მაგრამ გასაჯაროებისგან თავს იკავებდნენ. ღმერთმა ნუ ქნას ამის გასაჯაროება, თორემ ეს გამოიწვევს უარყოფით რეაქციასო, ამბობდნენ. იცით, რა არის, სიმართლე გითხრათ, გული ცოტა აცრუებულიც კი მაქვს. შეიძლება მოსახლეობის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით უფროს თაობას, ინტერნეტზე ხელი ნაკლებად მიუწვდება, მაგრამ ხომ არსებობს ინფორმაციის მიღების სხვა საშუალება. დარწმუნებული ვარ, ეს კადრები საქართველოს სოფლებში არავის უნახავს. გავრცელდა თბილისში და სამეგრელოში. თქვენ წარმოიდგინეთ, ქუთაისში საერთოდ არავის უნახავს, თითქოს ეს ქალაქი ჩაკვდაო, არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ იქაურებს. არც კახეთში ყოფილა რაიმე რეაქცია. გიმეორებთ, ერთადერთი თბილისის და აღარის გარდა სამეგრელოში ჰქონდა ამ კადრებს სერიოზული გამოხმაურება. აქ, თბილისში ახალგაზრდები ვცდილობდით როგორმე მიგვეტანა ხალხამდე ამ კადრების არსებობა და გვეჩვენებინა. ეს არსებები, „ნაციონალების" სახით ცდილობენ ქვეყნის სათავეში მობრუნებას. ჩემი აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" რაც უნდა რებრენდინგი განიცადოს, ჩანერგონ თავიანთ რიგებში ახალი სახეები, გაუგებარი და მიუღებელი იქნება, რადგან მათ ისეთი დამღა ადევთ, რომელსაც მოძალადეების სახელი ჰქვია. განა ბაჩო და დათა ახალაიების ხალხი, ისინი სამეგრელოს არ კურირებდნენ? გამოდიან დღეს „ნაცმოძრაობის" წევრები და ურცხვად აცხადებენ, ბაჩო ახალაია პოლიტიკური პატიმარიაო. რის პოლიტიკური პატიმარი, ადამიანს, რომელსაც მარტო ერთ რეგიონში სამასი ჩანაწერი ჰქონდა გაკეთებული. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რამდენის განადგურება მოასწრეს, რამდენი კომპრომატის სახით კერძოდ აქვთ შენახული. წარმოიდგინეთ, საერთოდ, ქვეყანაში რა ხდებოდა. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა იმ ხალხს მოვუწოდო, ვისაც არ უნახავს ეს კადრები. დაინტერესდით, ეს კადრები ყველამ უნდა ნახოს. ზეპირად იმაზე საუბარი, რაც იქ არის ასახული, ნამდვილად ძნელია.

რაც შეეხება ჩვენს აქციებს, საზოგადოებაში ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება შექმნეს. დაგვაბრალეს, თითქოს რომელიღაც ჟურნალისტი ვცემეთ. თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ იგი არანაირი ჟურნალისტი არ ყოფილა. კობა ხაბაზმა, „თავისუფალი ზონის" ლიდერმა განაცხადა, რომ იგი ჩვენი გამგეობის წევრიაო. გამოდის, რომ იგი არანაირი ჟურნალისტი არ ყოფილა, რადგან, როდესაც ადამიანი ხარ, პოლიტიზებული ორგანიზაციის გამგეობის წევრი, გამოდის, ჟურნალისტი კი არა ხარ, არამედ „ნაცმოძრაობის" იდეის გამტარებელი. მოვიდა აქციაზე ის ადამიანი, აგვირია ვითარება, გვაგინა.

— კადრების გავრცელებას არაერთგვარი გამოხმაურება მოყვა პოლიტიკოსებს შორის. რატომ?

— დიახ, კადრების გავრცელების შემდეგ დაისვა კითხვა, ვინ გაავრცელაო. ჩვენ მოვისმინეთ კიდეც რამდენიმე პოლიტიკოსის განცხადება. იცით, რა არის პირადად ჩემთვის მიუღებელი? კითხვა — ვინ გაავრცელა. მიუღებელია, რადგან იმას კი არ უნდა ვკითხულობდეთ, ვინ გაავრცელა, არამედ, ვინ გააკეთა და რატომ არ არის დასჯილი. რატომ აფარებს ხელს თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტია", კაპიტანი გიგაური და რიგი სხვა ორგანიზაციები. გამოდის, საია-ს ახალი ხელმძღვანელი და უსირცხვილოდ აცხადებსა, რომ არის ნიშნები, ხელისუფლებამ გაავრცელა ეს კადრებიო. ხელისუფლებამ კი არ გაავრცელა, ეს კადრები ხალხშია გაჟონილი. საერთოდაც, უკრაინაშია ატვირთული. დარწმუნებული ვარ, ვიღაც უკრაინელმა გაავრცელა ეს კადრები. დღეს ამ კადრების გავრცელება ხელისუფლებასაც არ აწყობდა. მითხარით, რაში სჭირდებოდა? ეს რომ გავრცელებული იყო, არჩევნებამდე ერთი-ორი თვით ადრე კიდევ რაღაც ეჭვი შემეპარებოდა, დღეს ხელისუფლებას სრულიად არ აინტერესებს მსგავსი კადრების გავრცელება. დღეს საქართველოში არ არის ისეთი პანიკური ვითარება ხელისუფლებისთვის, რომ ყველაფერს ცდილობდეს. ეს იყო სააკაშვილისთვის სარმის გამოკვრა უკრაინელების მიერ.

ჩვენმა ორგანიზაციამ ვთხოვეთ რამდენიმე ტელევიზიას, აჩვენონ მოსახლეობას. ხომ შეიძლება, წინასწარ დააანონსონ და მოსახლეობა გააფრთხილონ, ბავშვებმა არ უყურონ ამ საშინელებას. ხალხმა კი უნდა იცოდეს, რას აკეთებდა დამნაშავე რეჟიმი წლების მანძილზე. გული მტკივა, რომ ასეთი რეჟიმის პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება. სიმართლე გითხრათ, მადლობელი ვარ იმ ადამიანის, ვინც მოგვაცილა ეს ხროვა. თუმცა აქვე სათქმელია, რომ დაუსჯელობის სინდრომი აქვთ „ნაცმოძრაობის" წევრებს, კარგი იქნება, თუ ამ დამნაშავე პარტიას საერთოდ ჩააკმენდინებენ ხმას და აღმოფხვრიან. ყველა პოლიტპარტიას მოვუწოდებთ, რომ არანაირად არ ითანამშრომლონ „ნაცმოძრაობასთან".

— ხალხს ახსოვს 2007 წელს ნიკა გვარამიას გადაღებული ფილმი. ზოგიერთი იმ ფილმში მყოფი პოლიტიკოსი დღეს „რუსთავი-2"-ის და „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერებად გვევლინებიან.

— იმთავითვე ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდნენ, არც ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ, ვიდრე იარსებებდა სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა", იქნებოდა შალვა ნათელაშვილი და მისი პარტია. ასეც მოხდა, წავიდა სააკაშვილი და დაინგრა „ლეიბორისტული პარტია". ასევე „რესპუბლიკელები" იყვნენ დაახლოებულნი „ნაცებთან", ამის დამადასტურებელი კადრები არსებობს. ასევე „ნაცების" ერთ-ერთ ფრთად განვიხილავთ ჩვენს ორგანიზაციაში „თავისუფალ დემოკრატებს".

— როგორც ვხედავთ, გამოსაძიებელ-გამოსარკვევი საქმეები საქართველოში ბევრი დაგვიგროვდა.

— ვუბრუნდები გავრცელებულ კადრებს და კვლავ ვიმეორებ: უნდა გამოვიძიოთ, ვინ უკვეთავდა მსგავს სიბინძურეებს, ვინ აკეთებდა. მოკლედ, დაწვრილებით უნდა იქნეს გამოძიებული, ვინ დანერგა საერთოდ მსგავსი სისტემა. ჩვენ ერთი რეგიონის დანაშაული ვნახეთ, ახლა ხალხს ვეუბნები, აბა, წარმოიდგინეთ, სხვაგან რამდენი მსგავსი ფაქტი იქნებოდა. 20-30 ლარს უხდიდნენ იმ ვიღაც გადაგვარებულს, კაცზე რომ ეძალადა. წარმოიდგინეთ, რა დონის ავადმყოფი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც უკვეთავს კაცის გაუპატიურებას და მეორე ავადმყოფი ამას აკეთებს ფულის გულისთვის! ამ ნაძირალა „ნაცებს" კიდევ ჰყოფნით თავხედობა და აქციებს აანონსებენ! მსგავსი მსოფლიოში არ მომხდარა. ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ ეს კადრები აჩვენონ რომელიმე ტელევიზიის ეთერში. ჩვენ ერთი ვნახეთ, მაგრამ ასეთი იყო უამრავი!

გია ბურდული
551 71 27 07

5 gv.

რობებული და ეჭვქვეშ აყენებ ამ ხელისუფლების მისწრაფებების კანონიერებას. საბოლოო ჯამში, ეჭვქვეშ აყენებ ხალხის ნდობას, რომელიც სხვაგვარად ფიქრობს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა.

— ბატონო ვაჟა, ფორუმს წინ უძღოდა „გაზპრომთან“ დაკავშირებული საკითხი. როგორ ფიქრობთ, რა პროცესი მიდის ამ ჩანაცვლებით?

— ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ცალსახაა, რომ ისეთ რუსულ გიგანტთან — სახელმწიფო კომპანიასთან ურთიერთობა როგორიც „გაზპრომია“, ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის ნამდვილად საფრთხილოა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასთან მოლაპარაკებები არ უნდა ვაწარმოოთ და ის თემები არ განვიხილოთ, რაც ორმხრივი ინტერესის საგანია. ოღონდ, ჩვენი ხელისუფლების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მთავრობის ვიცე-პრემიერის და „გაზპრომის“ შეხვედრის თაობაზე რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან არ უნდა ვიგებდეთ. ამის თაობაზე ქართული საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს და ყველა ნიუანსი ცნობილი გახდეს. რაც შეეხება „გაზპრომის“ გააქტიურებას, ბუნებრივია, მას რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება თავისი პოლიტიკური ზრახვების მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენერგორესურსების გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბევრი რამ დღევანდელ მსოფლიოში იმის გამო ხდება, რომ ენერგოწიაღისეულის და ბაზრების გაკონტროლება მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე, სირიის მოვლენებთან დაკავშირებით, არაბული სამყაროდან ევროპისთვის სირიის გავლით გაზის მიწოდების აუცილებლობიდან გამომდინარე, ზოგიერთი უცხოელი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ბაშარ ასადის რეჟიმი, ბუნებრივია, მათ ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებაში და იმ მიზნის მიღწევაში, რომ დივერსიფიცირებული იქნას გაზის მიწოდების ეს წყარო იგივე ევროპისთვის, გარდა რუსული გაზისა, მას ჰქონდეს სხვა წყაროებიდან აირის მიღების საშუალება და შესაძლოა ეს მოვლენები რაც განვითარდა, გარკვეულწილად, ამ ფაქტორიდანაც გამომდინარეობდეს, ხელს უშლის. ეს ერთი, მეორეც, ახლა, არენაზე გამოდის ირანი, რომელსაც სანქციები მოეხსნა. კიდევ ერთი ფაქტორი რასაც ბოლო პერიოდში ყურადღება არავინ მიაქცია: რუსეთმა, ახალი კონტრაქტის საფუძველზე, აზერბაიჯანისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობით გაზის მიწოდება დაიწყო, რომელიც თავის მხრივ, ჩვენ გვაწვდის ძალიან კარგ ფასად ბუნებრივ აირს. მართალია, მისი ბუნებრივი აირი კალორიულობის თვალსაზრისით, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საკმაოდ უხარისხოა, ვიდრე სხვა მომწოდებლების, მაგრამ ეს კარგი ფასია. თუმცა, ჩემთვის, ჯერ კიდევ ინფორმაციის ნაკლებად ხელმისაწვდომობის გამო, გაუგებარია რა პასიანსი თამაშდება რუსეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა დაიწყო აზერბაიჯანისთვის გაზის მიწოდება, რომელიც ძალიან დიდი ოდენობით გაზს ექსპორტზე უშვებს და ამავე დროს, ჩვენ გვაწვდის შეღავათიან ფასად. ესეც ძალიან საინტერესო იქნება „გაზპრომის“ როლისა და ფაქტორის შესწავლის პარალელურად. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე, სახელმწიფო სტატუსი, მის მიმართ, ნეგატიურად არ უნდა განგვაწყობდეს. თუ ჩვენი ეროვნული ინტერესების შელახვას არ ექნება ადგილი, რატომაც არა, უნდა ვიქონიოთ ურთიერთობა „გაზპრომთანაც“.

— თქვენ ახსენეთ, გაუგებარია რა პასიანსი თამაშდება, ამ კუთხით, რუსეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორისო. კიდევ რა საფრთხეებს უნდა მოველოდეთ?

— საფრთხე, როგორც აღვნიშნე, ყველა მიმართულებით არსებობს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკა პოლიტიზებულია. რეალურად, ჩვენ ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. საზოგადოებამ, ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით, გარდა კომერციული დეტალებისა, ყველა მომენტი და ფაქტი უნდა იცოდეს, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ ასპექტს, იგი უნდა იყოს დაფუძნებული მომგებიანობაზე, მაინცდამაინც ღრმად არ უნდა შევდიოდეთ იმ საკითხებში, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა თემას თავად უნდა ვწყვეტდეთ. რატომღაც მივეჩვიეთ, რომ სულ ვიღაც გვკარნახობდა რა უნდა გაგვეკეთებინა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რომ ვიყავით, იგი გვკარნახობდა როგორ გვეცხოვრა, მხოლოდ მაშინ უნდა გაგვეყვანა თბილისიდან ფოთამდე რკინიგზა, როდესაც რუსეთი ამას თავისი ინტერესებისათვის საჭიროდ ჩათვლიდა. ბოლო პერიოდში დამოუკიდებლობის დროს ყველა მტავრობა სამოქმედო დირექტივებს, მათ შორის, ეკონომიკასთან მიმართებაში, პრაქტიკულად, აშშ-ს საელჩოსგან იღებდა. არც ესაა დასამალი. ჩვენ, ყურადღებით ვეკიდებოდით მათ მითითებებს, რადგან სტრატეგიული პარტნიორიობა გვაკავშირებს. მაგრამ ამ მომლოდინეობამ შეიძლება ხელისუფლების ქმედუუნარობა, ოპერატიული რეაგირების მივიწყება წარმოშვას, რაც მისაღები არაა. ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ ყველა მიმართულებით ოპერატიული ნაბიჯები უნდა გადადგას, მათ შორის, ენერგორესურსების დივერსიფიცირების თვალსაზრისითაც.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველოს ჩართვა „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტში ამ ქვეყანაში სიმშვიდის და სტაბილურობის გარანტიაა

„ნაცმოძრაობა“ — პოლიტიკური პარტია თუ მკვლელების ბანდა?

7 ნოემბერი, 2007 წ.

6 gv.

სამაგიეროდ, მისი ქონება ჭილყვავებივით დაიტაცეს...

მაგრამ რაც მოხდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულ და ნალოლიავებ ტელეკომპანია „იმედში“, ეს არის კლასიკური მაგალითი ბარბაროსობის და ტირანიის. ტელეკომპანიის აპარატურა დალეწეს და დაამსხვრიეს, რეზინის ხელკეტებით სცემეს ჟურნალისტებს, შენობაში გაუშვეს მომწამლავი გაზი...

თუმცა ნაცხელისუფლების ქმედებების „გვირგვინად“ მაინც **აფრასიძეების** ოჯახის ამოწყვეტა ითვლება, რომლის ორგანიზატორი თვით **გიორგი ბარამიძე** იყო. თვითმფრინავებით უშენდნენ ჭურვებს აფრასიძეების სახლს, პატარა ბავშვების თვალწინ დახვრიტეს უდანაშაულო ადამიანები. ერთ-ერთმა „მოლაშქრემ“ უკვე მიცვალებულ **ომეხ აფრასიძეს** ბეჭედი რომ ვერ მოაძრო, თითი მოაჭრა თურმე... ამ ამბავზე მერე სააკაშვილმა თქვა: დიახ, მე გავეცი აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის ბრძანებაო...

26 მაისი, 2011 წ.

ამასობაში ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ადგილას სააკაშვილმა ახალი პარლამენტის შენობის აგების ბრძანება გასცა. ძეგლი, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეებმა თავის დროზე „ქართული ფილოსოფიური ტრაქტატი“ უწოდეს, ერთ დღეში დაანგრიეს. ამ ნგრევას დედა და მისი 10 წლის გოგონა ემსხვერპლა...

დღემდე დაუდგენელია 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო მიტინგზე ხელისუფლების მიერ დახოცილთა რაოდენობა. დაშავებულები და დაინვალიდებულები მრავლად არიან. ოფიციალურად გაცხადებული მიცვალებულების — **კვინტრაძის** და **ასათიანის** გვამები ხელბორკილებით იპოვეს მაღაზიის თავზე (!) ხორხ და ენაამოგლეჯილები, ნაწამები და დასახიჩრებულნი.

ხაშურში პოლიციის შენობაში კიბიდან გადმოვარდაო, გარდაიცვალა **სოსო ქიმერიძე**, რომელიც ნაცემი და ნაწამები იყო.

იმ ხანებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ქართული მიწის ზედა შრის გაყიდვის ბიზნესშიც ყოფილა ჩართული „ნაცმოძრაობა“. სპეციალისტები აცხადებენ, მიწის ამ დონეზე ჩამოყალიბებას ასეული წლები სჭირდებაო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი ყველა წელიწადს, ზოგჯერ წელიწადში ორჯერ მშვიდობიან, ცივილიზებულ საპროტესტო მანიფესტაციებს აწყობდა ისე, რომ „ერთი ფოთოლიც“ არავის შეურხევია, და როგორ იქცეოდა ამ დროს ხელისუფლება? ძალადობა, უსამართლობა, დაჭერები, ციხე და სატანჯველი მათი „დემოკრატიული იარაღი“ იყო განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ ამის ჩამდენი ხელისუფლების მისამართით ზოგიერთები ამბობენ, რომ გზები გაკეთდა, იყო შედარებით იაფი ელექტროენერგიის გადასახადი, იგებოდა შადრევნები, გაკეთდა ფასადები მარჯანიშვილის მოედანზე, „გამშვენდა“ სიღნაღი და ა.შ. სანამ ღმერთი აწონის ცოდვა-მადლს, ჩვენ დავფიქრდეთ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო და არის — გზები, ატრაქციონები და ყინულის მოედნები თუ ადამიანების სიცოცხლე, რომელიც ერთხელ ეძლევა და იმასაც ვიღაც ზნედაცემული ღორად დაბადებული ზონდერ-ნაციონალი წაგართმევს?

ქართველმა ხალხმა იმდენი უნდა მოახერხოს, რომ „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში საერთოდ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. პარტია უნდა გაუქმდეს და აიკრძალოს. ეს ადამიანები საზოგადოებისგან იზოლირებულნი უნდა იყვნენ, როგორც მოკვეთილები, ბოროტების მსახურები, ჯოჯოხეთის მოციქულნი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გაუპატიურების კადრი სამეგრელოს ტეების სამალავიდან

შემაწრწუნებელი ამბავი, რომელიც ციხეში ყოფნისას ნაცების მიერ გაუპატიურებული ბიჭის დედამ მიამბო

2011 წელს რუსთავის ქალთა მეხუთე დაწესებულების სამედიცინო ნაწილში ვიმყოფებოდი. სამედიცინო ნაწილში. აღნიშნულ კორპუსში სასჯელს იხდიდა „სკოჩით დაბმული“ ახალგაზრდის დედა მ.ჯ. იმ საკანში ვმეგობრობდი ორ ქალბატონთან და მათ ხშირად ვსტუმრობდი. მ.ჯ–.მ 2011 წელს მოჰყვა, როგორ დააკავეს:

– ძალიან გაჭირვებულები ვიყავით, ლტოლვილები ვართ, სამეგრელოში სოფელში ვცხოვრობდით, ვაჭრობაც ვცადე, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ერთხელ ნაცნობმა მითხრა: საზღვართან ჩანთას მოგიტანენ, წამომიღე და 100 ლარს მოგცემო, ვკითხე: ნარკოტიკი ხომ არ იქნება-მეთქი, არაო, შვილები დაიფიცა. ჩემი უფროსი ვაჟი გაიყოლა, ორივე დაიჭირეს, ჩანთაში „ცეზიუმი“ აღმოჩნდა. ჩემს შვილს თითქოს ტერაქტის განხორციელება უნდოდა. ბრალდება ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დანაშაული რომ პროვოცირებლი იყო და „საზიზღარი“ რუსეთის დისკრედიტაციისაკენ იყო მიმართული, ფაქტია. მ.ჯ-მ ნორმალურად წერა-კითხვაც არ იცოდა. – მეგრული მე არ ვიცოდი და ქართულად ყურადღების დაძაბვა მჭირდებოდა, კარგად გამეგო მისი მონათხრობი. ცეზიუმის შეფუთვაც ამიღწერა, ვინც გადმოსცა. ის პიროვნებაც რუსს ჰგავდა, მაგრამ მეგრული იცოდაო. 2011 წელს დილით მ.ჯ-მ გამაღვიძა. იცოდა, დილით გლდანში „ერბეზე“ (ციხის საავადმყოფო-ქ.ზ.)მივდიოდი, ძალიან შეწუხებული იყო, გაჭირვებით მომიყვა, რომ ნათესავს, რომელსაც ტელეფონზე ელაპარაკა, უთქვამს: შენი მეორე ბიჭიც დაიჭირეს, რაღაცის აფეთქებას გეგმავდა, ნაცემი, ნაწამები ყოფილა და გლდანში გადმოუყვანიათ „ერბეზე“, იქნებ ამბავი გამიგოო. გაოცება ვერ დავმალე, თუ სამეგრელოში დაიჭირეს, რადგან იქ ტერაქტს გეგმავდა, თბილისში ციხის საავადმყოფოში რატომ უნდა გადმოეყვანათ, ვერ მივხვდი. გლდანში იმ დღეს ვერაფერი გავიგე, მაგრამ მეორე დღეს სარწმუნო წყაროებით ინფორმაცია დადასტურდა. ისეთი ნაწამები და არაპროგნოზირებადი იყო, სხვა საავადმყოფოში მისი მიყვანა ნაცგარეწრებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა. არ ვიცი, მაშინ უბრალოდ არ დავინტერესებულვარ, საიდან , მაგრამ დედა შვილის შესახებ ახალ ინფორმაციებს, ტყუილს თუ მართალს, იგებდა, წყარო, ვფიქრობ, ადმინისტრაცია იყო. რომელმაც მოულოდნელად „ტუბის“ მსუბუქი ფორმა აღმოუჩინა გამწარებულ ქალს. რაღა თქმა უნდა, როგორც პატიმრების უმრავლესობას, მასაც მოტყუებით დააწყებინეს მკურნალობა, თან გვაფრთხილებდნენ ტექნიკურად: არ გადაგედოთ, მოერიდეთო... რამდენიმე დღის შემდეგ მ.ჯ-მ მითხრა: ჩემს შვილს აქ მოიყვანენ და შემახვედრებენ. – არ არსებობს, ის მიუსჯელია, თან ასეთი „კეთილი გულის ბიჭები“ გგონია დაზვერვის თუ სუსის თანამშრომლები, ნაცემი და ნაწამები შვილი აქ მოგიყვანონ-მეთქი?–გული მიგრძნობს, მოიყვანენ. –ვნახოთ, – ვუპასუხე და დარწმუნებული, რომ ატყუებდნენ, გავეცალე. მეორე დღეს მართლაც დაუძახეს ადმინისტრაციაში. შვილიც მოუყვანეს, ის მოსიარულე გვამს ჰგავდა, ისედაც ავადმყოფი ტანჯვას და წამებას გაენადგურებინა. გამაოცა ფაქტმა, რომ მხოლოდ ერთი დაბალი, ულვაშიანი არასიმპათიური კაცი ახლდა. არც ბადრაგი, არც კუდი, სუსი, ჩემი ინფორმაციით, დაზვერვის თანამშრომელი იყო სამეგრელოდან. აუდიენციის შემდეგ მ.ჯ. მომიყვა: დამინახა თუ არა, ტირილი დაიწყო, შველას მთხოვდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ისიც უთხრა, გამაუპატიურესო. ულვაშამ ორივე დაგვამშვიდა და გვითხრა: თუ კარგად მოიქცევა შენი შვილი, შენ და შენს უფროს შვილს ერთ კვირაში „უდოზე“ გაგიშვებთ და ამასაც აღიარების გამო, მინიმუმ, სასჯელს მივცემთო. კითხვაზე – რატომ ენდობი ვიღაც გარეწრის სიტყვას - მეთქი, მიპასუხა: სხვა რა გზა მაქვს? თან შემპირდა, პატარა სახლსაც გიყიდითო. – ვინ, ულვაშამ?– ისეთი გაოცება გამოვხატე, ჩემს ირგვლივ უამრავმა კამერამ დამაფიქსირა. ვერც ვერაფერი ვურჩიე, არც ერთი ოჯახის წევრი არ იყო არც ტერაქტის მომწყობი, არც დამგეგმავი. ეტყობა, გონებაჩამორჩენილ ადამიანებს უფრო იოლად „აბოლებდნენ“ ნაცხროვას არც ღმერთის ეშინოდა და არც ეშმაკის. ჩვენს რამდენიმეწუთიან დიალოგს, სანნაწილის ეზოში, უშედეგოდ არ ჩამკურნალობდა. მოვასწარი მეთქვა, სასწრაფოდ გაეგზავნა განცხადება, რომ შიმშილობას იწყებდა, შევპირდი: თუ სანნაწილში არ დაგაბრუნებენ, ჟურნალისტებს ინფორმაციას მივაწოდებ-მეთქი. მეორე დღეს დააბრუნეს და მესამე დღეს “უდოთი“ გაუშვეს. არ ვიცი, უყიდეს თუ არა სახლი, ერთი ვიცი, რომ ტელეფონი 2 წელია გამორთული აქვს. მას შემდეგ კი იუთუბზე 2013 წელს ვნახე აღნიშნული ჩანაწერი, შემდეგ მითხრეს, რომ აიღეს. 17 ოქტომბერს ჩანაწერი ისევ გამოჩნდა და გაქრა. იქნებ ადამიანების ჯგუფი უკრაინიდან თუ საქართველოდან გამიზნულად თამაშობს ხალხის ნერვებზე, გვიმტკიცებს, რა უსუსურები ვართ იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც უხილავიცაა და ხილულიც. ჩვენი სისხლით და ემოციით იკვებება და მისი მომრევი მხოლოდ დროა. თუმცა არც ის დროა უკვე მთებს იქით. ასე რომ, მიშმადიდებლები ჯოჯოხეთში, კუპრიან ქვაბში სალივლივოდ მოემზადონ, ვერც ერთი წყალი მათ სისხლიან, ბინძურ სულს ვერ გარეცხავს. მ.ჯ კი თავის ავადმყოფ და ნაწამებ შვილებთან ერთად, შეიძლება, სადმე ტყეშიც ცხოვრობს და ბედნიერია ორფეხა მხეცებს რომ ვეღარ ხედავს.

ფირზე, რომელიც გავრცელდა, გამომძიებელი „ეჭვმიტანილს“ ეკითხება: რას აკეთებ, რას საქმიანობ, რა გაგიკეთებია, ან რას აპირებდი.

ეჭვმიტანილი: – ყველაფერს ცუდს ვაკეთებდი, აფეთქებას ვაპირებდი.

გამომძიებელი: – ვინ შემოგთავაზა აფეთქება?

ეჭვმიტანილი: – თემურიმ.

გამომძიებელი: – იქით უყურე კამერას...

ჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ძალიან ცუდი „რეჟისორი“ ჰყავს ამ სპექტაკლსაც...

რაც შეეხება კითხვას, რომელიც ადამიანების მცირე ნაწილს აწუხებს, ვინ გაავრცელა ამაზრზენი კადრები გოგა ხაინდრავას განცხადებას მოვიშველიებ რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა და, რომელსაც სრულიად ვეთანხმები: „ვინც ეს მასალა შექმნა და შეინახა, ზუსტად მისგან არის მიწოდებული უკრაინული საიტისთვის. არაერთხელ მითქვამს, ეს მასალა სპეციალურად დატოვეს, ამის ასლები ბევრია და ეს არის სააკაშვილის შანტაჟი და აშანტაჟებენ თავისი ძველი მეხიდეები, ისინი ვინც ამას სჩადიოდნენ. ეუბნებიან,- შენ რომ კარგად მოკალათდი უკრაინაში და ცხოვრება გაქვს აწყობილი, ჩვენ აქ მძიმე დღეში ვართ და მოგვხედე, თორე ეს ყველაფერი გამოაშკარავდებაო... ეს ისევ სააკაშვილის პრობლემაა, თორე კიდევ ვიმეორებ ამაში არაფერია ახალი. ქართული საზოგადოება მათ სისხლიან რეჟიმს კარგად იცნობს“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

პაატა სალია:

ჩვენ ვთვლით, რომ ქიბარ ხალვაშის შემდეგ, „რუსთავი-2“-ში ერთი „მოწილე“ იყო და ეს „მოწილე“ მიხეილ სააკაშვილია!

გვესაუბრება ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ინტერესების დამცველი, ადვოკატი პაატა სალია.

– სრული სიცრუეა ის განცხადება, რომ თითქოს ხალვაშმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იშოვა ფული, ყველამ კარგად იცის, რომ იგი მანამდეც საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენი იყო, კავკასიაში უდიდეს ბიზნესს ფლობდა და არაფერი სჭირდა საიმისო, რომ რევოლუციიდან 7 თუ 8 თვის თავზე ვიღაცისთვის ფული გამოერთმია. ტელევიზიის წართმევაზე საუბარი სრული აბსურდია, ხალვაშს არავისთვის არაფერი წაურთმევია. არ არის დასამალი, ამას თვითონ ბატონი ქიბარიც ამბობს, რომ ოქრუაშვილმა გადასცა ხელისუფლების, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის თხოვნა, ეროსი კიწმარიშვილი ტელევიზიას ყიდის და შენ თუ არ იყიდი, შეიძლება ქვეყნის მტრებზე გაიყიდოსო, იგულისხმებოდა რუსეთი, მტრებში კიდევ ვის გულისხმობდნენ დაზუსტებით ვერ გეტყვით, შეიძლება ეს ბადრი პატარკაციშვილიც იყო. რატომ იყო ბატონი ბადრი მტერი, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ამათი პოლიტიკით, თუ ხალვაში ამ ტელევიზიას არ იყიდდა, მტერს შეუწყობდა ხელს, რომ იტყვიან, დაანამუსეს ეს ადამიანი და შეძენაზე დაითანხმეს. გარიგება 2004 წლის ზაფხულში შედგა, ქიბარ ხალვაში ბიზნესმენია და ტელეკომპანიასაც ორი წლის განმავლობაში, როგორც ბიზნესს ისე მართავდა, არ ერეოდა სარედაქციო პოლიტიკაში და ა.შ. 2006 წლის შემოდგომაზე მას ამ ტელეკომპანიის წილები იძულებით დაათმობინეს, თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. 2007 წლის შემოდგომაზე, ტელეიმედზე თავისი ცნობილი გამოსვლიდან და ოპოზიციაში გადასვლიდან მოკლე ხანში ირაკლი ოქრუაშვილი დაიჭირეს, ათმილიონიანი გირაო შეუფარდეს და გამოუშვეს, ხოლო გირაოს გადახდა ქიბარ ხალვაშს მოსთხოვეს, თუმცა მანამდე კითხეს, ხომ არ აპირებდა ოქრუაშვილის ოპოზიციური საქმიანობის დაფინანსებას, რაზეც მან უარი თქვა, არც მანამდე დამიფინანსებია პოლიტიკაში ვინმე და არც ახლა ვაპირებო. ცხადია, ნაციონალები სიტყვაზე არ დაუჯერებდნენ, განახლდა მის წინააღმდეგ მოქმედება, რაც მის სხვა კომპანიებზე გავრცელდა. ხალვაშმა ოქრუაშვილის გირაოს გადახდაზეც კატეგორიული უარი განაცხადა, რის შემდეგაც მისი ძმა და მეგობრები დაიჭირეს, ძმას ციხიდან არეკინებდნენ ათი მილიონი შეაგროვეთო. ცხადია, ბატონი ქიბარი ძმას განსაცდელში ვერ მიატოვებდა, მან ხელისუფალთ შესთავაზა, ჩემი ერთ-ერთი კომპანია, რომელსაც სახელმწიფოსგან ათი მილიონი აქვს მისაღები, წაიღეთ და თავი დაგვანებეთო. ამ უკანასკნელთ კომპანიის თავიანთ ახლობლებზე გადაფორმება უნდოდათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ეს თეთრი ძაფით იქნებოდა ნაკერი, ამიტომ ხალვაშს მოსთხოვეს, კომპანია მისივე თანამშრომელზე გადაფორმებულიყო, რომელსაც უკვე თვითონ გააკონტროლებდნენ. ნოტარიუსთან ამ გადაფორმებას მეც ვესწრებოდი, ჩამოიყვანეს ხალვაშის თურქი პარტნიორი, რომელიც შიშისგან კანკალებდა და შუაღამისას მოხდა წილების გადაფორმება ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ნომინალურ პირებზე. ეს ყველაფერი ხალვაშის სახელის ოქრუაშვილთან დაკავშირების მოტივით მოხდა. უნდა გაემართლებინათ ის ბარბაროსობა, რაც ხალვაშის წინააღმდეგ განახორციელეს, როცა ლამის ტანკებით შევარდნენ მის კომპანიაში, რომლის ანგარიშებიც უკვე დაყადაღებული იყო, როგორც პროკურატურის, ისე საგადასახადო სამსახურის მიერ. ხელისუფლებამ წარმოუდგენელი რამ გააკეთა, როგორც კი შეიცვალა კომპანიის დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორად დაინიშნა პიროვნება (ოსაძე), რომელსაც შიშის ქვეშ აკონტროლებდნენ (მუდმივად ვიღაცები დაყვებოდნენ), მას ბანკში მისვლა მოსთხოვეს, სადაც მთელი დღე აყურყუტეს. ამ პერიოდში პროკურატურის წარმომადგენელმა სასამართლოს კომპანიის ანგარიშებზე ყადაღა მოახსნევინა, დირექტორს შვიდი მილიონი ლარი ოქრუაშვილის გირაოს „ეგიდით“ გადაარიცხვინეს ბიუჯეტში და ანგარიშები ისევ დააყადაღეს, არ დაგავიწყდეთ, რომ ერთ დღეში ხდება ეს ყველაფრი. ეს ფარსი იმისთვის მოაწყვეს, რომ ეთქვათ, ხალვაშმა გადაიხადა ოქროუაშვილის გირაოს თანხაო. ამ საქმის მასალები ევროსასამართლოში გვაქვს წარდგენილი. ანალოგიურ სტილში შეთხზული ისტორიაა „რუსთავი-2“-ის წილებთან დაკავშირებული ეს ე.წ. ხელშეკრულებაც, რომელიც ხან თვითონ აქვთ ნანახი, ხან ვიღაცას.

მოსამართლე ურთმელიძის დედის თემით სპეკულირებაც, სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია, ვთვლი, რომ ეს მოსამართლეზე ზეწოლაა. როგორც, „რუსთავი-2“-ის მესვეურები აცხადებენ, თურმე კანონიერად მოახდენენ ზეწოლას, ამ დროს სასამართლოზე ყველანაირი ზეწოლა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით იკრძალება, შესაბამისად არამართლზომიერი ქმედებებია, რასაც „რუსთავი-2“, ნაციონალები და კიდევ სხვანი ახორციელებენ. მათი განცხადებები ავიღოთ, ჯერ თქვეს, რომ თითქოს ჩვენი სურვილი იყო ხსენებულ მოსამართლეს დაწეროდა ჩვენი საქმე, თუმცა რა ბერკეტებით უნდა მეკონტროლებინა ეს პროცესი, ამაზე არავინ საუბრობს. მერე თურმე მიზანმიმართულად აკეთებდნენ მოსამართლის წინააღმდეგ განცხადებებს, რომ ის მიკერძოებული ვეღარ ყოფილიყო. ასე შეიძლება ნებისმიერ მოსამართლეზე თქვა რაღაც, გამოდის ვეღარ განხორციელებულა სამართალწარმოება. ყადაღის დადებასთან დაკავშირებითაც ერთი ამბავი რომ ატეხეს, მოსამართლის უფლება კი არა, ხშირ შემთხვევაში ვალდებულებაა, რომ დაიცვას მოსარჩელე თუ არსებობს სადაო ქონების გასხვისების ალბათობა. ან ყბადაღებული ტელეკომპანია „საქართველოს“ წილების გასხვისების თემა ავიღოთ, როცა ყარამანაშვილების წილები უნდა გასხვისებულიყო და ექვსი მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა ჩადებულიყო, რაც ისევე აბსურდია, როგორც სხვა დანარჩენი, რომელთა საფუძველზეც ითხოვდნენ მოსამართლე ურთმელიძის აცილებას. 19 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე ამ მოთხოვნის ახალი საფუძველი იქნება დედამისის საქმე, რომლითაც თითქოს პროკურატურა აკონტროლებს მოსამართლეს. მე ამ საქმის მასალებს პრესის მეშვეობით გავეცანი, საიდაც პროკურატურის განცხადება გამოქვეყნდა. ამ ქალბატონს ისეთი ბრალი აქვს წაყენებული, დანაშაული რომც დაუდგინდეს, 75 წლის ქალს საპატიმრო სასჯელს არავინ შეუფარდებს. ბრალდება 18 თვიან გამასწორებელ სამუშაოს, მაქსიმუმ კი 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ანუ არ არის ისეთი სანქცია, რომ ხელისუფლებამ ზეწოლისთვის გამოიყენოს. ერთადერთი პირობითი მსჯავრი შეიძლება მისცენ, ისიც ბრალის დადასტურების შემთხვევაში. ძალზე ხელოვნურად გამოიყურება ის ვერსია, რომელსაც ამ საქმეში სავარაუდო დაზარალებული ამბობს, ეს ყველაფერი „რუსთავი-2“-ს უკავშირდებაო. ჩემი აზრით, ყოვლად მიუღებელია მოსამართლეზე ასეთი ზეწოლა, მაგრამ თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ ამის გამო ის კონკრეტულ დავაში ვერ იქნება მიუკერძოებელი, არ იმჯელებს მხოლოდ და მხოლოდ საქმის მასალებიდან გამომდინარე, რაღაც გავლენების ქვეშ ექცევა და უარს იტყვის საქმის განხილვაზე, მაშინ საერთოდ აღარ უნდა იყოს მოსამართლე. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება მოსამართლე, რადგან ვთვლი, რომ გარკვეული სამართლებრივი და ფაქტობრივი არგუმენტები მაქვს, რითაც შეიძლება ეს საქმე მოვიგო.

- ბატონო პაატა, „გვარამია და კომპანიას“ თუ დავუჯერებთ „რუსთავი-2“-ს ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი ებრძვის ქიბარ ხალვაშის ხელით, რაღა არჩევნების წინა წელს გაუჩნდა ხალვაშს ტელეკომპანიის დაბრუნების სურვილიო. თქვენს მარწმუნებელს თურმე ფულიც არ გადაუხდია წინა მეწილეებისთვის და არც ინვესტიცია ჩაუდია. თქვენს მარწმუნებელს ამ ტელევიზიის და ზემოხსენებული კომპანიის გარდა სხვა უამრავი ქონებაც ჩამოართვა ნაცრეჟიმმა. ამ თემებზე იქნებ უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.

- ქიბარ ხალვაში იმ პერიოდშიც კი, როცა არანაირი გარანტია არ არსებობდა, რომ მართლმსაჯულება მიუკერძოებელი იქნებოდა, სამართლებრივი გზით ცდილობდა დავას. „რუსთავი-2“-ის წილების დაბრუნებასთან დაკავშირებით 2008 წელს მივმართეთ პროკურატურას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის მოხსენებაში, ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში, რომელიც 2008 წლის პერიოდს ეხება, პირდაპირ წერია, რომ „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი მეპატრონე ქიბარ ხალვაში აცხადებს, რომ მას წილები უკანონოდ, ზეწოლით ჩამოერთვა, რომ მან ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურასა და პარლამენტს მიმართა, მაგრამ ხელისუფლება არანაირ მოქმედებას არ ახორციელებს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წელსვე ხელახლა მიმართა ხალვაშმა პროკურატურას, რომ თაროდან ჩამოეღოთ ეს საქმე, რომლის გამოძიების ალბათობაც წინა ხელისუფლების პირობებში არ არსებობდა, მაგრამ... რაც შეეხება „რუსთავი-2“-ის შეძენას, ეროსი კიწმარიშვილისთვის ექვსი მილიონი დოლარია გადახდილი, მან ეს თანხა მოითხოვა. ბატონმა ქიბარმა მათ უთხრა კიდეც, რომ სულაც არ უნდოდა ტელეკომპანიის შეძენა, მაგრამ ხელისუფლებას უარი ვერ უთხრა. ვფიქრობ ეროსის თვითონ უნდოდა ტელევიზიის თავიდან მოშორება, დაიწყო ტელეკომპანიის გაკოტრების საქმეც, ოღონდ ვისი მოთხოვნით და რატომ, ნამ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დვილად არ ვიცი, მაგრამ გენდირექტორმა კიწმარიშვილმა გაკოტრებაზე შეიტანა საქმე. აქიმიძე, დვალი და სხვა პარტნიორები ფაქტობრივად იძულებული გახდნენ 150-150 ათასი მიეღოთ, რადგან თუ ტელევიზია გაკოტრდებოდა, ყველაფერს კარგავდნენ. ქიბარ ხალვაშმა დაახლოებით 1.200.000 დოლარის ვალდებულებაც გადმოიწერა, ამას გარდა კიდევ შეჰქონდა ფინანსები, იყიდა ახალი სტუდია, გადამცემები, რომლებიც თურმე ახლა აღარ ჭირდებათ, 2006 წლიდან 2015 წლის ივლისამდე ჭირდებოდათ, ახლა აღარ ყოფილა აქტივი, წაიღეთ და თავი დაგვანებეთო გვეუბნებიან. ბატონმა ქიბარმა მაშინ ათ მილიონ დოლარზე მეტი ხარჯი გასწია, მაგრამ 2006 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილის მუქარების შემდეგ, თავი დაანებე ამ ტელევიზიას, თორემ სხვა ბიზნესებსაც დაკარგავო, იძულებული გახდა წილები დაეთმო, ხელშეკრულება რაღაც 200.000 დოლარზე გაფორმდა, არავინ დაიჯერებს, რომ მაში ტელევიზია ეს ფასი ღირდა. მან წილები პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის კომპანიაზე და კომპანია „გეოტრანსზე“ გადააფორმა, რომლის ხელმძღვანელიც დიმიტრი ქიტოშვილის მეგობარი ბიძინა ნიჟარაძე იყო. ეს ადამიანი „ჯეოსელის“ რიგითი თანამშრომელი იყო, რომელსაც იმ რამდენიმე ათეული ათასი დოლარის გადახდის საშუალება არც ექნებოდა. ქიბარ ხალვაშმა ამ ხელშეკრულებას 2006 წლის 16 ნოემბერს მოაწერა ხელი, ცოტა მოგვიანებით მისთვის ისევ დაურეკავთ, დაგვავიწყდა, ტელეკომპანია „მზის“ წილებიც გადმოგვიფორმეო. იძულებული გახდა ამაზეც დათანხმებულიყო, რომ სხვა ბიზნესი დაეცვა. აი, ასეთი შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა. დაახლოებით ერთი წელი შედარებით სიმშვიდე იყო, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი რომ გააქტიურდა, საბოლოო დარტყმა მიაყენეს. ნაციონალებს რომ ჰკითხო, ის ერთი წელი ხალვაშის კომპანიები მშვენივრად მუშაობდნენ და ტელეომპანიებიც თვითონ გაყიდა მიზერულ თანხად. 2007 წლის მიწურულს მას კომპანია „არტის“ საწყობები გადაუწვეს. ეს კომპანია 90-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა, იგი ამერიკული კომპანია „პროქტერ ენდ გემბელის“ წარმომადგენელი იყო საქართველოში, პამპერსიდან დაწყებული ყველა საყოფაცხოვრებო საქონელი ამ კომპანიის პროდუქციაა, რასაც „არტი“ ადგილობრივ ბაზარზე ყიდდა, ასე რომ 2003 წლის მიწურულს ხალვაშს კავკასიაში უდიდესი ბიზნესი ჰქონდა.

ახლა იმითაც სპეკულირებენ, წინა ხელისუფლების დროს ხალვაში ტენდერებში მონაწილეობდა და სახელმწიფო დაკვეთებს იღებდაო. აქაც იგივე მოხდა, სააკაშვილმა დაავალა ოქრუაშვილს, ქიბარმა თურქები მოძებნოს, რომლებიც სწრაფად და ხარისხიანად აშენებენო. ხალვაშმა მართლაც ჩამოიყვანა თურქული კომპანია, არანაირად არ ჩარეულა მათ ბიზნესში, ისინი აშენებდნენ, მაგრამ, როგორც თვითონ იხსენებს ყველა ობიექტის დასრულების შემდეგ, ყველაფერზე მაინც მას სთხოვდნენ პასუხს. უფრო მეტიც, დაახლოებით 400.000 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები თვითონ დააფინანსა და ფაქტობრივად აჩუქა სახელმწიფოს, საუბარია სენაკის სამხედრო ბაზაზე, შემდეგ გორის ბაზის მშენებლობა დაიწყო, შემდეგ ციხეების და ა.შ. ხალვაში ბიზნესმენია და გამოხატა თავისი პოზიცია, თუ ყველაფერზე მე ვარ პასუხისმგებელი, მაშინ ამ თურქებისგან გამოვისყიდი რაღაცა წილს და ჩავერთვები ამ ბიზნესშიო. სწორედ ამ თურქ პარტნიორზე გითხარით წილების გადაფორმებასთან დაკავშირებით. ეს კომპანია აშენებდა სახელმწიფოს დაკვეთით მსხვილ ობიექტებს. მას მერე, რაც იქ ფორმალური საფუძვლის გარეშე, ზეპირი ბრძანებით შეცვივდნენ შეიარაღებული პირები, სხვა ტელევიზიებთან ერთად „რუსთავი-2“-მაც გააკეთა სიუჟეტი, კომპანიას აბრალებდნენ, რომ თითქოს ბეტონის ბლოკები მცირე ზომის იყო, თენგიზ გოგოტიშვილმა თვითონ გაზომა და თქვა, ყველა ბლოკი სტანდარტული ზომისაა. რეალურად ყველაფერი საგადასახადო შემოწმებით იყო შენიღბული, ფინანსური პოლიცია ატარებდა შემოწმებას, ისეთ აბსურდულ დარღვევებზე საუბრობდნენ, გაგეცინებათ, მაგრამ ამ კომპანიას 14-მილიონიანი ჯარიმა დააკისრეს, ათეულ მილიონიანი ჯარიმა დააკისრეს „არტსაც“, მაგრამ ერთი ფურცელი ვერ წარმოადგინეს. ჩემი არაერთი მოთხოვნის შემდეგ სასამართლოზე 1783 ფურცელი წარმოადგინეს, რაც პროდუქციის ჩამონათვალი იყო, ამას როგორ შეიძლება შავი ჩანაწერი დაარქვა, სიყალბეზე ისაუბრო და დაჯარიმო. ეს საქმე მაშინ იმით დასრულდა, რომ 24-მილიონიანი ჯარიმა დაგვეკისრა, სასამართლომ იმ მოტივით გვითხრა უარი ჯარიმის გაუქმებაზე, რომ თურმე ფინანსური პოლიციის რევიზიის აქტში მითითებული გარემოებები მოწმეთა ჩვენებებით მტკიცდებოდა. მოწმეებად კი ის რევიზორები დაკითხეს, რომლებიც ხსენებულ აქტს ხელს აწერდნენ, სასამართლომაც უპრობლემოდ გაიზიარა მათი პოზიცია. ახლა სასამართლოს მიმართ პრეტენზია რომ უჩნდებათ ამათ, როგორ შეიძლება მაშინდელი და დღევანდელი სასამართლო ერთმანეთს შევადაროთ. საქართველოში ყველა ინსტანციის სასამართლო რომ გავიარეთ, სარჩელით სტრასბურგს მივმართეთ, რადგან დაირღვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის შესაბამისი მუხლი სამართლიანი სასამართლოს თაობაზე, ვითხოვთ ამ მუხლის დარღვევის დადასტურებას, ასევე საკუთრების უფლების ხელყოფის დადასტურებას და შესაბამისად კომპენსაციას.



2007 წლის დეკემბერში გადაწვეს „არტის“ საწყობი, სადაც დაახლოებით ხუთი მილიონის ღირებულების საქონელი დაიწვა, ეს იყო ბიზნესის პირდაპირი დაშინება, რა თქმა უნდა ეს საქმეც გამოუძიებელი დარჩა. სადაზღვევო კომპანიამ („ალდაგი ბისიაი“), რომელსაც ზარალი უნდა აენაზღაურებინა, იმდენი ხანი გაჭიმა ეს პროცესი, სანამ სახელმწიფოს არ გაუჩნდა კანონიერი მოთხოვნა ჩვენს მიმართ და თვითონ არ წაიღო ეს თანხა. კომპანიის წარმომადგენელმა სასამართლოში (2008-2009 წლები) თქვა, რომ მათ საგადასახადო სამსახურიდან ჰქონდათ პირდაპირი მითითება, რომ ქიბარ ხალვაშისთვის ზარალი არ აენაზღაურებინათ, ამის დამადასტურებელი წერილებიც გვაქვსო. ჩაითვალა, რომ „ალდაგი ბისიაიმ“ ეს თანხა გადაიხადა, მაგრამ, როგორც გითხარით ეს თანხა სახელმწიფომ წაიღო. ასე ხელოვნურად შექმნილმა დავალიანებებმა 50 მილიონ ლარს მიაღწია, ფაქტობრივად სრულად იქნა ხალვაშისთვის ქონების ჩამორთმევა. ყველა სასამართლო დავა 2009 წლის გაზაფხულზე დასრულდა, მერე ხელისუფლებისგან იყო მცდელობა, რომ ხალვაშის კუთვნილი სამშენებლო ტექნიკა, მიწის ფართობები და ა.შ. აუქციონით გაეყიდათ, საკმაოდ აქტიური კამპანია ჩავატარეთ, საზოგადოებას ტელევიზიით მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ უკანონოდ წართმეული ქონება იყო და არ ეყიდათ, აუქციონზე არავინ მივიდა, ასე რომ, ვერ გაყიდეს. ხელისუფლება ფაქტობრივად ჩიხში შევიდა, არ იცოდნენ რა ექნათ ქონებისთვის, რომელიც ვერ მიჰქონდათ და ისევ ხალვაშის დაყადაღებული კომპანიების საკუთრებაში რჩებოდა. 2009 წლის, თუ არ ვცდები აგვისტოში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც თუ ორჯერ გაიყიდებოდა აუქციონზე გატანილი ქონება, სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, ფაქტობრივად ამ კონკრეტული შემთხვევისთვის მიიღეს ეს კანონი. მერე აუქციონის ჩატარებით თავი აღარ შეუწუხებიათ, ესეც გასაჩივრებული გვაქვს, მაგრამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი გვითხრეს იმ მოტივით, რომ თურმე აუქციონის ჩატარებას მნიშვნელობა არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ კანონში პირდაპირ ეწერა, რადგან ვერ წარვადგინეთ მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ თუ აუქციონი ჩატარდებოდა, ამ ქონებას ვინმე იყიდდა.

- რომელმა მოსამართლემ მიიღო ასე „ბრძნული“ გადაწყვეტილება?

- არ გვინდა მისი ვინაობის დასახელება, მე მაინც იმის მომხრე ვარ, რომ ადამიანები, რომლებიც არნახული წნეხის ქვეშ იყვნენ, იგივე მოსამართლეები შეიძლება რეჟიმის მსხვერპლნიც იყვნენ და შანსი უნდა მიეცეთ, რომ ასეთი უკანონობა მეორედ აღარ ჩაიდინონ, ანუ სასამართლო მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს ზეწოლისგან, მნიშვნელობა არ აქვს ვინ ახორციელებს ამ ზეწოლას. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემა იყო ადვოკატებისთვის. როდესაც სასამართლო დამოუკიდებელია ხელისუფლებაც ვეღარ ბედავს უკანონობის ჩადენას. როგორც გითხარით ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება „რუსთავი-2“-ის საქმეზე მოსამართლე, შეიძლება მეორე მხარეს აქვს ინტერესი, რომ კონკრეტულმა მოსამართლემ განიხილოს ეს დავა, მათი მხრიდან ხელოვნურადაა შექმნილი აჟიოტაჟი, რომ სამართლებრივი საკითხებიდან ყურადღების გადატანა მოხდეს, ამ ისტერიით ყველასთვის ცნობილი მოვლენების გადაფარვა მოხდეს, უნდათ ხალხს გარკვეული დროით გადაავიწყდეთ ის უბედურება, რაც ნაციონალების მმართველობისას ხდებოდა. მოპასუხე მხარე და მათი მხარდამჭერები „დანაშაულად“ რომ უთვლიან მოსამართლეს ასე სწრაფად რატომ მიიღო ქონების დაყადაღების გადაწყვეტილებაო, პირდაპირ ვამბობ, მას რომც არ მიეღო ეს გადაწყვეტილება და მომხდარიყო ჩიქოვანზე (ძალიან საინტერესოა საიდან აქვს ჩიქოვანს ექვსი მილიონი ლარი, შემთხვევით სიძის დავით კეზერაშვილის ფული ხომ არ არის – მ.ს.) წილების გადაფორმება და იმ დღეს ვერ მომესწრო სასამართლოსთვის მიმართვა, მეორე დღეს შემქონდა სარჩელი ხსენებული გარიგების, როგორც თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე და მოვითხოვდი წილების დაყადაღებას. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ეს თვალთმაქცური გარიგება იყო. როდესაც გარიგების ბათილად ცნობას ითხოვ, გამორიცხულია მოსამართლემ წილებს ყადაღა არ დაადოს, ვერ მოიტანენ სასამართლოდან ვერცერთ გადაწყვეტილებას, რომ ეს საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი. სანამ სასამართლო დავა არ დასრულდება, ქონება დაყადაღებულია. ასე რომ, არაფერი იცვლებოდა. არც ის არგუმენტია გამართლებული, რომ თითქოს საქმე ხანდაზმულია, ჩვენი მოთხოვნა ისეთი სახით გვაქვს დაყენებული, რომ ეს მექანიზმი არ ვრცელდება. ჩვენ ვითხოვთ ტელეკომპანიის წილების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ საფუძვლით, რომ დადებული იყო ამორალური გარიგება იძულებით დადებულ გარიგებასთან ერთად. ამორალური გარიგება არარა გარიგებად ითვლება, ანუ ისეთ გარიგებად, რომელიც არც დადებულა და მის შემდგომ განხორციელებული ყველა მოქმედება უკანონოდ მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, „რუსთავი-2“-ს დღევანდელი მოწილეები კეთილსინდისიერი მყიდველებიც რომ იყვნენ, თუმცა მათ კეთილსილსინდისიერ შემძენებად არ მივიჩნევ, ამ შემთხვევაშიც ვრცელდება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა. ეს ვადა არ ამოწურულა, ამიტომ ქიბარ ხალვაშმა თავის გერმანელ ადვოკატებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ პროკურატურისგან ქმედით ზომებს არ ველოდით, სასამართლოსთვის მიგვემართა. არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს დავა არ არის თავისუფალ მედიაზე შეტევა, არავინ ამბობს, რომ განსხვავებული აზრი არ უნდა არსებობდეს. თავისუფალი მედია უნდა არსებობდეს და არამარტო ერთი მედიასაშუალება, სხვათა შორის, ძალიან მიკვირს სხვა მედიასაშუალებების, როცა ურეაქციოდ ხვდებიან იმ განცხადებებს, რომ „რუსთავი-2“ თურმე ფაქტობრივად ერთადერთი დამოუკიდებელი მედიასაშუალება ყოფილა 2006 წლის მიწურულიდან დღემდე. ჩვენ ვთვლით, რომ ქიბარ ხალვაშის შემდეგ, სულ ერთი მოწილე იყო, რომელიც უბრალოდ ნომინალურ წარმომადგენლებს ცვლიდა. ბატონი ქიბარი პირდაპირ ასახელებს, რომ ეს მოწილე მიხეილ სააკაშვილია.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გამოფიქრიავებულ-გამოჩიხრიავებული

აქამდე, პატივცემული პრეზიდენტი ხან გამოკოჟორიძევებული იყო (ანუ „გამორესპუბლიკელებული"), ხან გამონაცებული, ხან გამოდემოკრატებული, ხან გამოცისფერებული, ახლა მთლად გამოფიქრიავდ-ჩიხრიავდა... მოკლედ, ამ კაცმა ყველანაირი „გამო-ება" მოიხადა სახადივით და სანამ მთლად „გამო-ებული" არ გახდება, ასე უნდა იშტერაოს?

გასაგებია, რომ შესაძლოა, პრეზიდენტი ამ მრავალმხრივი „გამო-ევებებით" რაღაც მომავალს იქმნიდა (პრილეპალებივით), ხალხისა და მისი მფარველ-წარმომჩენის წინაშე ამდენი პოლიტ-ტლინკაობის შემდეგ რომელიმე „მოზრდილი პოლიტ-თევზის" მუცელზე აპირებდა მიკვრას, მაგრამ ყველა — ყველა და, „ახალი მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე ვინ და რა შინაარსის სიზმარში ნახა პოლიტიკურ მრჩევლად რომ მიაზმანა ისედაც თავ-გზა აბნეულ კაცს?

არავინ თქვას, რა დააშავა ფიქრიამ, რას ერჩით, ერთი პოლიტგადაჩეხილი ღვინიას პარტიიდან არისო — გადაჩეხილი პარტია თუ იყო, როგორ ამიფრინდა ფიქრია, ვინ, რატომ და როგორ ამოაფრინა პოლიტხრამიდან?

აბა, მოვიძიოთ, ბიძინა ივანიშვილის „ღია წერილი ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს მოქალაქეებს" (2011წ 12 ოქტომბერი), რომლის ე.წ ქვეთავში „ვისთან ვერ ვითანამშრომლებ?" რას ამბობს (ამონარიდი):

— „ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან, მათი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ... ეს ძალები უქმნიან სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიულობის ფონს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე და ფაქტობრივად ერთპარტიულ ქართულ პარლამენტს მრავალპარტიული პარლამენტის იმიჯს უქმნიან. სწორედ მათ შეაქვთ განხეთქილება და არეულობა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალების ნებისმიერ წამოწყებაში, ისინი ახშობენ, ანეიტრალებენ და კალაპოტს უცვლიან ხალხის საპროტესტო განწყობას. მე არ მოვერიდები მათ დასახელებას და ღიად ვაცხადებ: ვერ ვითანამშრომლებ „ქრისტიან-დემოკრატებთან", „ლეიბორისტებთან", „ახალ მემარჯვენეებთან", „ედპ-სთან", „ქართულ პარტიასთან" თორთლაძის, დავითაიას პარტიებთან... თანამშრომლობაზე უარს ვაცხადებ ზემოთ დასახელებულ ოპოზიციურ პარტიებთან და არა ამ პარტიების ცალკეულ კეთილსინდისიერ წევრებთან".

„ცალკეული კეთილსინდისიერი წევრები" ვინ აღმოჩნდნენ აღნიშნული ან „აღუნიშნავი პარტიებიდან" და ვინ რა ქნა, ცალკე საკითხებია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ, ფიქრია ჩიხრაძეზე ვიკითხოთ, რომელ პარტიას ეკუთვნოდა და „გავიდა" თუ არა „კეთილსინდისიერ წევრებში"?

რამდენადაც გვახსოვს, ფიქრია ჩიხრაძე თან გადაჰყვა ხრამში პარტიის ლიდერს, პარტიის ასევე ერთ-ერთი ლიდერი, „ახალი მემარჯვენეების" ყოფილი თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე, რომელსაც ყოველ შემთხვევაში „კეთილსინდისიერ წევრობაზე" პრეტენზია არ ჰქონია და შესაბამისად, დღეს პრეზიდენტის პოლიტმრჩევლობა იშოვა...

კაცმა რომ თქვას, ბიძინა ივანიშვილის „დაწუნებული" ერთ-ერთი პარტიის, „ახალი მემარჯვენეების" უმთავრესი ლიდერი, დავით გამყრელიძე უფრო მეტად კეთილსინდისიერი ყოფილა, ვიდრე ფიქრია ჩიხრაძე. ის კაცი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების (მფარველებისგან „გადაგდების" და ახალი „ბატონისგან" უარყოფის) შემდეგ პოლიტიკიდან წავიდა — თქვა მანამდე „სეფე-სიტყვა" თქვა თუ ვერ გავიმარჯვეთ (ანუ თუ „გადამაგდეთ") პოლიტიკიდან წავალო და წავიდა...

პრეზიდენტმა, რაო, რა ბრძანა ბრიფინგზე? — ახალი მრჩეველი, ანუ ფიქრია ჩიხრაძის კანდიდატურა ხანგრძლივი პოლიტიკური წარსულის, გამოცდილებისა და კონტაქტების გამო შევარჩიეო.

კი, ხანგრძლივი წარსული ნამდვილად აქვს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, კომკავშირი და პარტია მთლად გაფარჩაკებული რომ არ იყო, მაგრამ „პოლიტიკური წარსული" რა სიტყვათამაშია, ვის აშტერებენ, რა კავშირშია ერთ ვინმე ფიქრიასთან, რომელიც ისეთივე რიგითი სტუდენტ ახალგაზრდა იყო როგორც ათასობით სხვა, გაუგებარია... გამოცდილებაც ნამდვილად აქვს — აწ პოლიტარენიდან წაგებულად გაქცეულმა მისი პარტიის ლიდერმა იმდენი და იმდენ რამეზე ხტუნვა ასწავლა, მწვანე კალიას შეშურდება... აი, კონტაქტები კი — ნეტავ, ვისთან კონტაქტები მოეჩვენა ბატონ მარგველაშვილს ესოდენ მნიშვნელოვნად, სააკაშვილის კრიმინალურ ხელისუფლებასთან?

მთლად გადაირევი ადამიანი, როცა სადღაც გადააწყდები ფრაზას, რომ ფიქრია ჩიხრაძე პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ყოფილა იმ პერიოდიდან, როცა საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩამოყალიბდა და ბოლოს „ახალი მემარჯვენეების" წევრი გამხდარა. („ბოლო" როდის იყო, ნეტავ?) ამის დამწერ-გამავრცელებელს, სულ მცირე, თითები უნდა მოაყოლო კარებში, პარალელურად კი მის ტვინში ჩაიხედო — ანუ ფიქრია ჩიხრაძე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობიდან მოვიდა?

თავის მხრივ, ფიქრიამაც დაახეთქა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რისთვისაც ჩვენ 30 წლის წინ მოვედით პოლიტიკურ ასპარეზზე. ძალიან ახალგაზრდები და სავსე ვიყავით იდეალებით, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობასო.

„აი, ეს მართლაც გამოჩნდა, თანაც ტელევიზიით, როგორც ერთი ვინმე აქტიური სტუდენტი, „ვიღაც" ბიძია-ბაბუაზე გატირებული, მაგრამ ის მეორე რომელ „ტუმბოჩკაშიღა" იყო ამ დროს და ვის მისტიროდა, ნეტავ? — რას მიედ-მოედებიან ჩვეულ სტილში? და საერთოდ, ბოლო წამამდე კომკავშირულ-პარტიული (კომუნისტური) ორგანიზაციის წევრი „სავლეები", შედგომში როგორ იქცნენ „პავლეებად", არც ერთ მათგანს არ აქვს სურვილი განმარტოს?

მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი ახალი მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთო, — ჩაუღიმილა ხალხს პრეზიდენტმა. კარგად რომ იცნობენ, იმიტომ გაიხადა კიდევ ერთხელ სალაყბოდ თავი ამ ე.წ პრეზიდენტმა და კიდევ იქით „ეგლახავება" ხალხს...

საზიზღრობამდე საზიზღარი ხდება ყველა და ყველაფერი!

თურმე, პრეზიდენტის გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი ის ყოფილა, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე მისი პოზიციები ემთხვევა ფიქრიასას. რაღა ბევრი გავაჩმახოთ, როცა „ნაციონალური მოძრაობა" თვლის, რომ ამ საკადრო გადაწყვეტილების შემდეგ პრეზიდენტის პოზიციები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე უფრო მკაფიო და პრინციპული გახდება. (ამ ვითარებაში ისიც საინტერესოდ მოჩანს, რომ გამრჩევლებულმა ფიქრიამ პარტიის ყრილობის ჩატარებამდე თავმჯდომარედ მამუკა კაციტაძე დატოვა, ის კაციტაძე, რომელმაც „რაღაცის" გამო 2 მლნ-მდე ამომრჩეველი 3 600 000-ად წარბშეუტოკებლად გადააქცია „ნაციონალების" შეკვეთით...

ჯერ მხოლოდ პრეზიდენტის ეს სიტყვები რად ღირს, ქალბატონი ფიქრია დაიკავებს ძალიან მნიშვნელოვან როლს ჩვენს ადმინისტრაციაში და იმ პროცესებში, რომელშიც აქტიურად ჩართულია პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაციაო. მტრისას, რაშიც ჩართულია, ვისთან ერთადაც და რატომაც — ჯოჯოხეთს ერთი მაშხალა აკლდაო, ისეა მათი ამბავი...

ანუ, რა სურათი მივიღეთ, რომ ბიძინა ივანიშვილისგან (კოალიცია „ქართული ოცნებისგან"), ფაქტობრივად, ღიად გამდგარი საქართველოს პრეზიდენტი ყველას უამხანაგდება ვინც კი ოდნავ მაინც მოიაზრება ერთი კაცის მოწინააღმდეგედ?

ხალხი ჯერ მხოლოდ ხუმრობს, პრეზიდენტი კი არ ფიქრობს, ფიქრიობს; პრეზიდენტი ჩხირებით კი არ ქსოვს, არამედ ჩიხრიებითო...

ასეა თუ ისე, პრეზიდენტი ამჯერად გამოფიქრიავებულ-გამოჩხიხრიავების სტადიაშია და მომდევნო „გამო-ვება" რა იქნება, მხოლოდ მათ იციან, ვის ჭკუაზეც ამჟამად დალაყუნობს ამოდენა კაცი, აღნაგობითაც და სტატუსითაც...

„ჩიხრია ფიქრია" კი გამტკნარებული სახით იდგა საკუთარი პერსონის პრეზიდენტის მრჩევლად წარდგენის ბრიფინგზე და ალბათ, ფიქრობდა, სიყვარულში არ მიმართლებს, თორემ პოლიტიკურ ცხოვრებაში რა მიჭირსო...

გიორგი ჩხეიძე

როგორ უნდა დაუბრუნდეს დედა უნივერსიტეტს განსაკუთრებული სტატუსი?

***ბატონ ჯემალ მებონიას** კონცეფციას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შესახებ, მკითხველთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ვფიქრობთ, საკითხი ძალიან აქტუალურია და საზოგადოებრივი აზრის შექმნა მის გარშემო აუცილებელია. ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე პროფესორის მოსაზრებას საკითხთან დაკავშირებით.*

ნოდარ ელიზბარაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:

– ბატონ ჯემალ მებონიას კონცეფცია არის მართლაც მნიშვნელოვანი, რომელსაც სრულიად ვეთანხმები. ასევე, არის საკითხები, რომელიც განხილვას ექვემდებარება.

პირველ რიგში, მინდა ვთქვა ის, რომ უნივერსიტეტს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც მას ადრე ჰქონდა და სააკაშვილის დროს გაუუქმეს. ის იმსახურებს იმას, რომ იყოს ლიდერი უმაღლესი სასწავლებელი არა მხოლოდ

კავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამდენად, მისი, როგორც უმაღლესი სასწავლებლის პირდაპირი საბაზო დაფინანსება აუცილებელია, რაც მისცემს მას უფლებას, ჰქონდეს ლავირების საშუალება და არ იყოს დამოკიდებული სტუდენტების მიერ მოპოვებულ გრანტებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულება უნივერსიტეტში იყო, მაგრამ ბოლოს უკვე არ განხორციელდა იმიტომ, რომ ცალკე შექმნეს მასწავლებელთა სერტიფიცირების ცენტრი, რომელმაც, ფაქტობრივად, არ გაამართლა. ასევე, მიმაჩნია, რომ თითოეულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა შესამცირებელია, იმიტომ, რომ პრაქტიკული სამუშაოს დროს ეს პრობლემებს ქმნის.

ფაკულტეტების დაშლა და თემატურად მათი გაერთიანება აუცილებელია, ამაზე საუბარი რექტორთანაც მქონდა და ის დამეთანხმა ამაში. ჩემი ფაკულტეტის, გეოგრაფიის შემთხვევაში, ფაკულტეტი შუაზე გახლიჩეს, რაც მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს და ორი სპეციალობა სხვადასხვა ფაკულტეტზეა დღეს – საბუნებისმეტყველო გეოგრაფია და ერთიანი გეოგრაფია საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეა კარტოგრაფიასთან ერთად, ხოლო საზოგადოებრივი გეოგრაფია სოციოლოგიურ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე, ეს დაუშვებელია!

აიძულებენ დოქტორანტებსა თუ პროფესორებს იმას, რომ სტატიები გამოაქვეყნონ. იმ ფაქტორში, ანუ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელთა უმეტესობა არის ფასიანი, 1000 დოლარი და ზემოთ, რის გამოც ერთიანდებიან პროფესორები

და დოქტორანტები, ვითომ ერთ სტატიას წერს რამდენიმე, სინამდვილეში წერს ერთი და მერე ამ გადასახდელ თანხას ინაწილებენ, ამ ყველაფერმა მიიღო უკვე სასაცილო სახე.

რაც შეეხება სადისერტაციო საბჭოს, მეგონა, რომ ის უნდა იყოს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები. რაც იმას ნიშნავს, რომ, როდესაც იქნება სადისერტაციო განხილვა, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ამ უნივერსიტეტში და დარგის სპეციალისტები მოვიწვიოთ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან: თელავიდან, ქუთაისიდან და ა.შ. ამას მაფიქრებინებს ის ფაქტები, როდესაც ჩვენ რომელიმე დისერტანტს უარს ვეუბნებით გარკვეული მიზეზის გამო, ისინი გარბიან სხვა უმაღლეს სასწავლებელში და იქ იცავენ ორ თვეში დისერტაციას, ეს დაუშვებელია. ამის შესახებ მე, პირადად, ვესაუბრე განათლების მინისტრს და ის საქმის კურსშია. ვფიქრობ, ეს სიმახინჯე უნდა მოისპოს. განათლების სამინისტრო თანახმაა, ეს ცვლილებები შევიდეს ამ სისტემაში.

ჩემს ფაკულტეტზე, გეოგრაფიის მიმართულება არის გამონაკლისი იმაში, რომ საველე პრაქტიკები, მაგისტრანტთან ან დოქტორანტთან მუშაობა, ფიქსირებულია საათობრივ ბადეში, ანუ ამ სამუშაოში პროფესორი არანაირ ანაზღაურებას არ იღებს. ამ საკითხზე ფაკულტეტის დეკანსაც მივმართე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

იმასაც ვფიქრობ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთათვის სპეციალობების ჩამონათვალი უნდა შემცირდეს, 20 მიმართულებას რომ დაწერს ის, სადღაც, ცხადია, მოხვდება, მაგრამ სწავლით როგორ სწავლობენ, იცით? თეატრალურისთვის რომ ემზადება აბიტურიენტი და გეოგრაფიაზე ჩაირიცხება, როგორ ისწავლის? სრულიად მიუღებელია ეს წესი, რომელშიც იყრება სახელმწიფო ფული. მიმაჩნია, რომ სტუდენტი უმაღლე სასწავლებელში უნდა მიდიოდეს მიზანმიმართულად და არა შემთხვევით შერჩეულ ფაკულტეტზე. აქედან გამომდინარე, თუ უნივერსიტეტს ექნება საბაზო დაფინანსება, ვფიქრობ, ამ პრობლემასაც მოევლება, რადგანაც უნივერსიტეტს ექნება განსაზღვრული ადგილები მიზანმიმართულად მისაღები სტუდენტებისთვის. დღეს ვაუჩერზეა დამოკიდებული ყველაფერი, ამიტომ ღებულობენ ყველას. პირადად ჩემს ფაკულტეტზე სტუდენტთა უმეტესობას წარმოდგენა არ აქვს საგანზე იმიტომ, რომ შემთხვევითობის პრინციპით მოხვდა აქ, ეს საგანი საერთოდ არ ჩაუბარებია.

ასევე, საჭიროდ მიმაჩნია, უნივერსიტეტებიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გატანა და სამეცნიერო ცენტრების შექმნა. მაქვს კონცეფცია ამის შესახებ დაწერილი, სადაც მივუთითებ, რომ საჭიროა შეიქმნას 10 დარგობრივი სამეცნიერო ცენტრი, სადაც გაერთიანდებიან კვლევითი ინსტიტუტები.

პროფესორი
ავთო არაბული:

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ქვეყნისათვის და ის, რომ შემდგომში ყველა სამეცნიერო მიმართულება თუ სამეცნიერო ცენტრი საქართველოში მის საფუძველზე განვითარდა.

ახალი რეფორმის შემქმნელებმა მთლიანად მოწყვიტეს სკოლა უმაღლეს სასწავლებელს, არადა, ეს ურთიერთკავშირი აუცილებელი იყო. მართალია, მისაღები გამოცდები გაიტანეს უმაღლესი სასწავლებლებიდან, მაგრამ ამის შემდეგ სკოლა აღმოჩნდა აბსოლუტურად იზოლირებული. ასევე შეცდომა იყო იმის აღიარება, რომ უმაღლესი სკოლა შეიძლებოდა განვითარებულიყო მეცნიერების გარეშე. ეს დაუშვებელია. როგორ შეიძლება სტუდენტი არ იყოს თანამონაწილე იმ სიახლეებისა, რაც თანამედროვე მსოფლიო მეცნიერებაში მიიღწევა? რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მას უნდა დაუბრუნდეს ლიდერი უნივერსიტეტის სტატუსი, რომელიც ყოველთვის ჰქონდა, ეს ყველა ქვეყანაშია და მას სახელმწიფო ბაზური დაფინანსება უნდა ჰქონდეს. ჩვენთან, სამწუხაროდ, სხვანაირად მოხდა ყველაფერი, მას გაუთანაბრეს არა მხოლოდ სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ დამოუკიდებელი ინსტიტუტებიც.

იმისათვის, რომ დედა უნივერსიტეტს დაუბრუნდეს ლიდერი უნივერსიტეტის სტატუსი, სახელმწიფომ მასში უნდა ჩადოს თავისი სტრატეგიული და ეროვნული ინტერესები. ამ სასწავლებლების სხვებთან გათანაბრებამ გამოიწვია სწორედ ის, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ სათანადო ცოდნის მქონე ბაკალავრები თუ მაგისტრანტები, სწავლის ხარისხი დაეცა.

რაც შეეხება სკოლებს, სამწუხაროდ, დღემდე არა გვაქვს ეროვნული სკოლის განვითარების კონცეფცია, რომ ვიცოდეთ, რაზე ვაფუძნებთ ეროვნულ სკოლას. ჩვენ უნდა დავუბრუნოთ მას ის ფასეულობები, რომელიც გააჩნდა. დღეს რა გვაქვს სკოლაში, რას ეფუძნება მათი სწავლების მეთოდი? რა უნარ-ჩვევებს უვითარებენ მოსწავლეებს? იციან მხოლოდ ორი-სამი რამ, კერძოდ, ანგარიში, წერა-კითხვა და მეტი არაფერი, მე ამ საკითხს უტრირებას არ ვუკეთებ, ეს გახლავთ ფაქტი! მთავარი კი ის არის, რომ სკოლას არ უვარგა საგნის პროგრამები. ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას და ისტორიის შესწავლას აბსოლუტურად არ ექცევა ყურადღება. სამოქალაქო ცნობიერება სხვა რა არის, თუ არა ამის შესწავლა? სად ვეძებთ ფასეულობებს ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისას? უნდა ვეძებოთ იქ, სადაც ის გვაქვს, ეს გახლავთ ერის ისტორია და ლიტერატურა. შეუძლებელია სკოლებში ცუდად გადმოთარგმნილი პროგრამების მიხედვით სწავლება. მე ბევრი სკოლის სახელმძღვანელოს ვიცნობ, ხშირად ჩივიან მათი უვარგისობის გამო. თუმცა, აქ მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ სკოლის სახელმძღვანელოები ემყარება სასწავლო პროგრამებს, ამიტომ, პირველ რიგში, ეს პროგრამებია შესაცვლელი, რომელსაც შემდგომში უნდა შეესაბამებოდეს სახელმძღვანელოს სტანდარტი. პროგრამული დატვირთვა არ არის შესაბამისად განაწილებული. ახალ სასწავლო რეფორმაში ასევე არ იყო გათვალისწინებული მასწავლებლის შრომა, ფაქტობრივად, ისინი დარჩნენ სასწავლო პროცესის გარეთ და ყურადღების გარეშე. აქვე ვიტყვი, რომ პედაგოგთა სერტიფიცირების პროგრამამ არავითარი შედეგი არ მოგვცა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მათი გადამზადება. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა გახდეს ფლაგმანი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განხორციელდება სწორედ ამ პედაგოგთა კვალიფიციური გადამზადება. ეს ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს.

პროფესორი
გრანი ქავთარია:

– უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით ბევრი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, სადაც ჩამოყალიბებული მაქვს, თუ რა დღეშია დღეს ქართული განათლება. უნივერსიტეტში დღეს ყველაფერზე შეიძლება ილაპარაკო, განათლების გარდა. რაც შეეხება საშუალო სკოლას, მიმაჩნია, რომ ის საერთოდ არ არსებობს: **პირადად მე სავსებით ვეთანხმები ბატონ ჯემალ მებონიას კონცეფციას.** პირველ რიგში, იქ უნდა აღდგეს ის, რაც იყო. უნივერსიტეტი არის სტუდენტისა და პროფესორის, სხვა ფუნქცია მას არა აქვს, სადაც უნდა მიმდინარეობდეს ჩამოყალიბებული სასწავლო პროცესი – რაც დღეს არ არის! ისმება კითხვა, რატომ არ არის ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ შეადგინეს სასწავლო პროგრამა ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც არავიფარი კავშირი ამ საგანთან არ ჰქონია, ანუ განათლების სამინისტრომ. სწორედ ამ სამინისტრომ გაყარა უნივერსიტეტიდან ის პროფესორები, რომელნიც ხელს უშლიდნენ ახალი სასწავლო რე-

ფორმის გატარებაში. ამაშია მთავარი **უბედურება. კარგით, მოიშორეს, მაგრამ თავად რა გააკეთეს? არც არაფერი!**

ის, რაც ჯემალ მებონიას უწერია თავის კონცეფციაში, თუ განხორციელდა, აბსოლუტურად მისაღებია ჩემთვის, ყველაფერია იქ თქმული, მას მხოლოდ განხორციელება სჭირდება. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ახალ წამოწყებას და მის განხორციელებას ისევ ძველი პროფესურა თუ შეძლებს, თორემ ახლებს მისი შესრულება გაუჭირდებათ, რაიმეს გაკეთება რომ შესძლებოდათ, აქამდე გააკეთებდნენ. ორიენტაცია აღებული აქვთ უცხოური მიმართულებით. ეს დამღუპველია, ჯერ უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდებს ის, რაც გვაქვს საკუთარი და ეროვნული.

ჩვენმა უნივერსიტეტმა მთელ საქართველოს უნდა მოუმზადოს კადრები. განათლება ხდება წიგნით, არა აქვს მნიშვნელობა, უცხოურია ის თუ ეროვნული, კითხვა კი ამათ უარყვეს – როგორ უნდა გახდნენ განათლებულები? კომუნისტების დროს განათლების სამინისტროში, როცა მინდოდა, მაშინ მივდიოდი, ახლა შესასვლელში არ მიშვებენ, საქმე თუ გაქვთ, წერილობით დატოვეთო, ეს არის საქმე? ასეთი ხალხი ჩაატარებს რეფორმებს?

ბოლოს და ბოლოს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უნივერსიტეტისა და ქვეყნის განვითარების ამ ახალ კონცეფციას, ეროვნულმა მეცნიერებმა დაუჭირონ მხარი, თორემ მოჯადოებულ წრეში ვართ მოქცეული, რაც სახელმწიფოს ანგრევს.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200



ბეგლარ სიორიძე დაიბადა 1965 წლის 18 იანვარს, ქალაქ ოზურგეთში.
1987 წელს დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.
1991-1997 წწ. იყო შპს „ტელეკომპანია გურიას" კომერციული და შემდეგ გენერალური დირექტორი.
1997-2005 წწ. შპს „ევროცენტრის" გენერალური დირექტორი.
2000-2008 წწ. შპს „ქართული თხილი სიო 2000"-ის დამფუძნებელი და დირექტორი.
2005 წლიდან 2014 წლამდე შპს „თხილის საექსპორტო კომპანიის" დამფუძნებელი და დირექტორი, შპს „ელეგანტის" და შპს „პრიმა დილომის" დამფუძნებელი.
2014 წლიდან გახლავთ ოზურგეთის მერი.
ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.

ბეგლარ სიორიძე: ვპირდები ჩემი ქალაქის მაცხოვრებლებს, რომ 2016 წლის ბოლოსთვის ოზურგეთი იქნება ქალაქი, სადაც ცხოვრება ყველა ოზურგეთელს გაუხარდება

- მოგესალმებით ბატონო ბეგლარ, ოზურგეთში ამბობენ, რომ ქალაქს კარგი მერი ჰყავს, რომელმაც იცის, როგორ აკეთოს საქმე.

- სანამ მერი გავხდებოდი, ბიზნესში გახლდით აქტიურად ჩართული, უკვე ერთი წელია ქალაქის მერი გახლავართ და ვფიქრობ, ამ მცირე დროში ოზურგეთში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. მინდა გითხრათ, რომ ამდენი პროექტი ერთდროულად არასდროს განხორციელებულა ჩვენს ქალაქში, კომუნისტების დროსაც კი. სწორედ ამაზე მიუთითებს NDI-ს კვლევის შედეგები, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაიდო. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 56% დადებითად აფასებს ქალაქის მერის მუშაობას.

- მოგვიყევით ოზურგეთის მერის მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ...

- ჩვენს ქალაქში დღეისთვის 70 პროექტი ხორციელდება, აქედან 56 (ნაწილი დასრულდა და ნაწილი მიმდინარეობს) ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით. რეგიონალური ფონდებიდან ფინანსდება 6 პროექტი. სტიქიისგან მიყენებული ზარალის პრევენციული ზომების განსაცორციელებლად 6 პროექტი უკვე დასრულდა, 6 მიმდინარე პროცესშია, 2 პროექტი კი გარდამავალია, ანუ მომავალი წლისთვის განხორციელდება. 70-ვე პროექტის შესახებ, რა თქმა უნდა, დაწვრილებით ვერ ვისაუბრებ, თუმცა შემიძლია გამოვყო რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პროექტი. დასრულების პროცესშია ქალაქის 16 ქუჩის მოასფალტება, გადაიხურა 23 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთი თვის ვადაში უკვე დასრულდება უსახლკაროთა თავშესაფრის მშენებლობა და 60 ოჯახს გადავცემთ გარემონტებულ ფართს. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ქალაქში ფასადებისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.

- ჩემთვის ცნობილია, რომ შარშან ძლიერი წვიმების შედეგად აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლები განსაკუთრებით დაზარალდნენ. ისიც ვიცი, რომ უკვე წელს მათ მსგავსი პრეობლემა აღარ შეჰქმნიათ.

- დიახ, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო აღნიშნულ ქუჩაზე მდინარე ეზოებში და შუა ქუჩაში მოედინებოდა. 700 000-ლარიანი პროექტის განხორციელების შედეგ სრულად მოგვარდა აღმაშენებლის, და არა მარტო ამ ქუჩის, პრობლემა. დღეისთვის უკვე ჩვენს ქალაქში ძლიერი წვიმების დროს ქუჩებისა და ეზოების დატბორვის საშიშროება აღარ არსებობს.

აქვე მინდა აღვნიშნო, კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. მალე დასრულდება ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ბჟუჟის ორივე სანაპიროზე, მდინარე მთლიანად ჯებირებში მოექცევა და მოიხსნება პრობლემა, რომელიც ამ მდინარის ადიდების შედეგად ექმნებოდა მოსახლეობას.

- პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ხშირად მოითხოვს მოსახლეობა თქვენგან...

- მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის ერთობლივად ამდენი პროექტი მიმდინარეობს, პრობლემებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით, მოსახლეობაც ხშირად მოგვმართავს სხვადასხვა პრობლემის მოგვარების თხოვნით, მინდა გითხრათ, რომ ქალაქის მერისთვის არ მოუმართავს არც ერთ მოქალაქეს, რომელსაც მისგან შესაბამისი დახმარება არ მიუღია. 300 000 ლარზე მეტი გვაქვს გაცემული ერთჯერადი დახმარების სახით. მიუხედავად ამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახების უმრავლესობას საცხოვრებელი სახლების სახურავების პრობლემა აქვთ. 187 განცხადებაა შემოსული სახურავების რეაბილიტაციის თხოვნით. თუმცა აქვე მინდა გითხრათ, რომ ეს ის სახურავებია, რომლებიც სტიქიისგან არ დაზიანებულა, ძირითადი მიზეზი არის სიძველე, თუმცა წელს ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ, როგორც უკვე გითხარით, მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა. მიუხედავად იმისა, რომ მერიის პრეროგატივა არ არის კერძო სახლების გადახურვა, ჩვენ აქაც დავუშვით პრეცედენტი და მომავალ წელს ქალაქის მერია 34 სოციალურად დაუცელ ოჯახს გადაუხურავს სახლს.

- სხვა მნიშვნელოვანი სამომავლო პროექტების შესახებ რას გვეტყვით?

- 2016 წლისთვის ოზურგეთს ელოდება ბევრი ინფრასრტუქტურული და სოციალური პროექტი. ვპირდები ჩემი ქალაქის მცხოვრებლებს, რომ 2016 წლის ბოლოსთვის ოზურგეთი იქნება ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ულამაზესი ქალაქი და მათ სულ სხვა გარემოში მოუწევთ ცხოვრება.

- ბატონო ბეგლარ, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა გურიის რეგიონში და საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ნათია შარაშენიძემ, ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ დაგადანაშაულათ, რომ თქვენს ბიძაშვილს შეასყიდინეთ ოზურგეთის აგრარული ბაზარი, რომ გააუქმეთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ა.შ...

- ქალბატონი ნათია შარაშენიძის განცხადებები არის სრული ბოდვა და არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ისედაც კარგად იცის ამ ქალბატონმა, მაგრამ არ ვიცი, რისთვის სჭირდება, ან რას აძლევს მას ამ ჭორების გავრცელება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქალაქ ოზურგეთში არც ერთი შენობა და მიწის ნაკვეთი არ გასხვისებულა, წესისა და კანონის გარეშე. არც ბაზარი გაყიდულა და მით უმეტეს, არც ჩემს ბიძაშვილს, თუ ბიძაშვილის მეუღლეს არ მოუგია ეს აუქციონი. ხათუნა სიორიძე არ არის ჩემი ნათესავი, შეგიძლიათ შეამოწმოთ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ამის ძალიან მარტივად გადამოწმება. რაც შეეხება ოზურგეთის აგრარულ ბაზარს, თავისი არსებობის მანძილზე გახლდათ წამგებიანი. ჩვენ ვიმუშავეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, დავსახეთ გეგმები, რომ ოზურგეთის აგრარული ბაზარი გახდეს მომგებიანი. ეს არ გახლავთ 1000 ან 2000 ლარის მოგება, ეს თანხა მინიმუმ 40 000 ლარი იქნება. ბაზარი არ გაყიდულა, ის იჯარით გაიცა. იყო გამოცხადებული აუქციონი, ნებისმიერ მსურველს შეეძლო შემოეტანა განაცხადი, მონაწილეობა მიეღო და თვითონ გამხდარიყო აუქციონში გამარჯვებული.

რაც შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან დაკავშირებულ ბრალდებას, როგორც სხვა ბრალდებები, ესეც სიცრუეა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არ დაგვიხურავს, იგი გავაერთიანეთ კულტურის ცენტრთან, რის შედეგადაც ბიუჯეტმა 80 000 ლარი დაზოგა. წინა ხელისუფლების დროს ზედმეტად გაბერილი შტატები ამ გაერთიანების შედეგად შემცირდა და დარჩენილ თანამშრომლებს 24%-ით გაეზარდათ ხელფასი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ჩვეულებრივად ფუნქციონირებს კულტურის ცენტრის შემადგენლობაში.

კიდევ ვიმეორებ, ამდენი კარგი პროექტი ერთროულად, რაც დღეს ოზურგეთში ხორციელდება, არც ერთ დროში არ განხორციელებულა.

ელენე გურგენაძე
557 71 55 68

რა მზაკვრული გეგმა ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს აფხაზეთის ომში „ზვიადისტების“ თავიდან მოსაცილებლად და რა საფრთხე ემუქრება საქართველოს „ნატოს“ სამხედრო ბაზების მის ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში?

გვესაუბრება ეროვნული გვარდიის მთავარი და გაერთიანებული შტაბის უფროსი ГУРАМ ЛАКИА გვესაუბრა:

გურამ ლაკია

— როგორც ჩემს წინა ინტერვიუში გითხარით, ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბის უფროსად 1991 წლის 16 სექტემბერს დავინიშნე. ჩემთვის სტატუსი არავის მოუხსნია, ამიტომ გაუგებარია, რატომ ვერ ვსარგებლობ შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსით და შესაბამისი პენსიით. ამჟამად პენსიას ვიღებ, როგორც საბჭოთა პერიოდის ოფიცერი და არა როგორც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი. შესაძლოა, ამ თემაზე არც მესაუბრა, მაგრამ როცა ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამართლიანობას და კანონს ემსახურა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობისთვის აფხაზეთში იბრძოლა, იგნორირებულია და შეიარაღებული გადატრიალების მომწყობი ბანდფორმირებების წევრები ხაზინიდან სოლიდური პენსიებით ფინანსდებიან, გაჩუმება შეუძლებელია. როგორ შეიძლება, გენერლები ერქვათ, ყველა პრივილეგიებით სარგებლობდნენ და სოლიდურ პენსიებს იღებდნენ ადამიანები, რომლებიც თბილისს ან ზუგდიდს ან გასცდენიან? ასეთ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს რა უნდა ეშველოს?

— აფხაზეთში ბრძოლა ახსენეთ.. როგორ ფიქრობთ, ქართველებს ერთიანობა რომ გვქონოდა, აფხაზეთს დავკარგავდით?

— რადგან მკითხეთ, გეტყვით.. ჩემი ჯარით კოდორთან ვიდექი. ჩემს გვერდით იდგა ყურაშვილი, რომელიც ე.წ. სამთავრობო ჯარებს ხელმძღვანელობდა. 25 სექტემბრის დილისთვის სოხუმში შესვლის ოპერაცია დავგეგმეთ, მაგრამ წინა დღეს გია ყარყარაშვილი გადმოვიდა. სოხუმს უჭირს, საჩქაროდ ტანკები გვჭირდება და ხვალ დილით შეტევას ვიწყებთო – ყურაშვილს 300 ჯარისკაცი და 5 ტანკი წაართვა და წავიდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ამით შევარდნაძემ განგებ დაასუსტა გენერალი ყურაშვილი, რომ კოდორი ვერ გადაელახა. მე მარტო გადავლახავდი, ალყაში მოვხვდებოდი და ჩემი მებრძოლებიანად თავიდან მომიცილებდნენ. ამ დროს, ოჩამჩირეში იმ დროისთვის პოლკოვნიკი თოხაძე 1500 კაცით და კარგი არტილერიით იდგა და ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ. 25 სექტემბერს გადავედი შეტევაზე, თან ვიცი, რომ მდინარეზე ყურაშვილთან ერთად თუ არ გადავედით, დაუცველი გვერდებიდან დამარტყამენ. გუჯარს ვეკითხები, სად ხარ თქო და ცოტაც და გაგისწორდებიო. 5 საათამდე ასე მაყურყუტა და მერე ვკითხე, რუკაზე მაჩვენე, სად ხარ თქო. აღმოჩნდა, რომ კილომეტრნახევარით იმაზე უკან იდგა, ვიდრე მანამდე. „ავაზას“ ბიჭები დაიჭრნენ და ისინი გამოუყვანია. ის უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო. ასეთ პირობებში, მე ჩემს ხალხს ვერ და არ გავწირავდი. გენერალ ყურაშვილს არ ვადანაშაულებ იმაში, რომ რაღაცეები ვერ გათვალა. მას შეუძლია ჯარისკაცს პოლიგონზე ასწავლოს ბრძოლა, მაგრამ მას არ შეუძლია საბრძოლო სტრატეგია აწარმოოს და გათვალოს, ვინ რა მზაკვრობა ჩაიფიქრა. სხვათა შორის, მისი მებრძილების მიერ მიტოვებული დაჭრილი ყურაშვილი ბრძოლის ველიდან ლოთი ქობალიას ხალხმა გამოიყვანა..

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხდება 1992 წლის შეიარაღებული სამხედრო გადატრიალების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება და დამნაშავეების დასჯა?

— იმიტომ, რომ ის ხალხი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება დაამხო, მშვენივრად მოერგო ყველა მომდევნო ხელისუფლებას. მათ შორის ბევრი თანამდებობებზეა და ასეთ საკითხებს „ბლოკავს“. ქვეყანა კი ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს: ძალამ, რომელმაც დამხობილი ხელისუფლების ადგილზე შევარდნაძე მოიყვანა, ის საჭირო დროს ისევ თითდაუკარებელი გაიყვანა და მოიყვანა უარესი, ბოროტი ძალა. როცა ეს ძალა საქართველოსთვის მიუღებელი გახდა, ისიც მშვიდობიანად გაიყვანეს. გამოიყენეს რა საქართველოში ივანიშვილის პოპულარობა, ახალ ხელისუფლებას დაუტოვეს ნაციონალები, ჩაუსვეს რესპუბლიკელები და დაიწყეს ალასანიას მომზადება სააკაშვილის შემცვლელად. თავის დროზე, რევოლუციისთვის რომ ემზადებოდა, ლენინმა გათვლა გააკეთა პროლეტარიატზე, იმიტომ, რომ მას დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ბიძინა ივანიშვილს კი ძალიან ბევრი აქვს დასაკარგი. აქედან გამომდინარე, ის რაღაც პროცესებს ბოლომდე ვერ მიყვება და ეს უნდა გავიგოთ. კაცმა გააკეთა ის, რაც გააკეთა.. დავუფასოთ და მეტს ნუ ვთხოვთ. აქედან გამომდინარე, ახლაც შეიძლება ხელისუფლების ჩანაცვლება მოხდეს. მოიყვანენ დროებითს, გაიყვანენ და ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე. როგორც პროფესიონალი სამხედრო და პოლიტიკაში ასე თუ ისე გარკვეული ადამიანი გეტყვით, რომ მარტო საქართველო კი არა, მსოფლიო არასოდეს ყოფილა ისეთი დაძაბული, როგორც ახლაა. ჩვენ არ გვესმის ან არ გვინდა გავიგოთ, რომ რუსეთი ვერ დაუშვებს საქართველოში „ნატოს“ ჯარის დგომას, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში თვითონ დაიშლება ძალიან სწრაფად. არც ისლამისტური სახელმწიფოები უნდა დაგვავიწყდეს, რომლებიც ომს არაკლასიკური მეთოდით აწარმოებენ.

— არაკლასიკური მეთოდით ომი რას ნიშნავს?

— კლასიკური ომია, როცა ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული არმია მეორეს უპირისპირდება და ეუფლება ან კარგავს ტერიტორიას. ისლამისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ასეთ ომს ვერ გაუძლებენ, სხვა ტაქტიკა აირჩიეს. გაიყვანეს პანკისიდან რამდენიმე ასეული კაცი, მოამზადეს და სპეციალური დავალებით უკან გამოაგზავნეს. საჭირო დროს, ომს კი არ გამოგიცხადებს, თავზე დაგამხობს ხალხის მასობრივი თავშეყრის ადგილებს მეტროს, ბაზრებს, სტადიონებს და ამით ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს. საქართველოდან თუ რამდენიმე ასეული კაცია გაყვანილი, რუსეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ათასები გაიყვანეს. ეს ხალხი რომ დესტაბილიზაციის მოწყობის დავალებით უკან დაბრუნდება და ტერორისტულ აქტებს მოაწყობს, რუსეთს კარგი დღე არ დაადგება. მეორე და მთავარი მიზეზი, როს გამოც რუსეთი საქართველოში „ნატოს“ ბაზების განთავსებას არ დაუშვებს ისაა, რომ როცა ორი ბუმბერაზი სახელმწიფო ერთმანეთს საომარი მდგომარეობით უპირისპირდება, იქ განსაზღვრულია ბირთვული დარტყმა. ამერიკის ტერიტორიიდან რუსეთის ცენტრამდე რომ მიაღწიოს და პირიქით, რაკეტას 35 წუთი ჭირდებადა. რა თქმა უნდა, სამიზნე ტაიგა და დაუსახლებელი მინდვრები კი არა, ხალხმრავალი ადგილებია. ბირთვული დარტყმის შემთხვევაში, რუსეთიდან ამერიკის მიმართულებით საშუალოდ, 200 რაკეტა გაფრინდება, რომელთაგან თითოეულს რვა საბრძოლო თავი აქვს. დაახლოებით, 5-7 წუთში იმ ქვეყნის სამეთაურო ცენტრმა, საითაც რაკეტები მიფრინავს, უკვე იცის მათი მიმართულება, სიმაღლე და სიჩქარე. შესაბამისად, მის ჩამოსაგდებად, უშვებენ საზენიტო რაკეტას, რომელიც თუ მიზანს პირდაპირ ვერ მოხვდა, აფეთქდება მაინც და მიმართულებას შეუცვლის. ამიტომ საომარ პროცესებში ჩართული ქვეყნებისთვის თითოეული წამი და სამიზნესთან თითო მეტრით მიახლოვებაც კი მნიშვნელოვანია. მიზნამდე 35 წუთის ნაცვლად, 5 წუთში რომ მივიდეს, ამიტომაა საჭირო წყალქვეშა ნავები და მიზანში ამოღებული სახელმწიფოს მეზობლად მდებარე ტერიტორიები. ამისთვის ჭირდებოდა რუსეთს კუბა და ამიტომ ჭირდება ამერიკას საქართველო, მაგრამ მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ერი კი არა, ქართველის ჩანასახიც განადგურდება. საქართველოდან მოსკოვამდე რაკეტას სამი წუთი უნდა, მაგრამ როგორც კი საქართველოში დადგება ნატოს რაკეტა, იმავე წამს რუსეთი დაგიყენებს „ისკანდერს“, რომელსაც ცდომილება ერთი მეტრი აქვს და სანამ ამერიკა რუსეთს დაარტყამს, რუსეთი მიწასთან გაგასწორებს. ამერიკა დაკარგავს რაკეტას და რამდენიმე სამხედროს, რომელიც ამ რაკეტას ამზადებდა და ჩვენ როგორც ერი გავქრებით. აი, რა დევს სასწორის პინაზე. აი, ამაზე მიდის ბრძოლა. საქართველო რუსეთს ყველაზე „რბილ წერტილში“, მუცელთან ჰყავს და აქ ნატოს რაკეტების განთავსებას არ დაუშვებს.

— როგორ ფიქრობთ, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსი გაერთიანების მომხრეები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ?

—მე არ ვიცი, ვინ რას აცნობიერებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებელია სრული ნეიტრალიტეტის გამოცხადება. ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის ნოემბერში გამომიძახა და მითხრა, გურამ რას იტყვი, ვის მივეკედლოთო. მე ვუთხარი ელჩიბეისთან ერთად გაეროში უნდა წავიდეთ და განვაცხადოთ, რომ ნეიტრალური ქვეყანა ვართ თქო. ჩვენ არც ვილაცეებისგან თავსმოხვეული სინგაპურიზაცია და ტურისტულ ქვეყნად ქცევა გვაწყობს. ერთ ტურისტს მინიმუმ სამი კაცი უნდა ემსახურებოდეს. მილიონი ტურისტი რომ შემოგივა, სამი მილიონი მომსახურე აქ უნდა დაახვედრო, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარც მწერალი გვეყოლება, აღარც კომპოზიტორი და აღარც აკადემიკოსი. რვა მილიონიან კუბაში თითქმის ყველა ამერიკის მოსამსახურე იყო – ტაქსისტები, მზარეულები, პროსტიტუტკები და ასეთ პერსპექტივას ტაში როგორ უნდა დავუკრა? ჩვენი ერთადერთი ხსნა ნეიტრალიტეტშია. ფინეთი, რომელსაც ცივი ზღვა აქვს და მიწა არაფერს შობს, ნეიტრალური ქვეყანაა. ფინეთი, შვედეთი, ისლანდია რუსეთის მეზობლად მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნებია, რომლებმაც სწორი დიპლომატიით რუსეთთან ურთიერთობებიც დაალაგეს, ნეიტრალიტეტსაც მიაღწიეს და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგშიც ჩადგნენ. ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

ნაცრეჟიმის მსხვერპლი მოსამართლეები სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში

„ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანმა რეჟიმმა, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ადამიანის უფლებებს დაღი ხანგრძლივად დაასვა... ის, რაც თუნდაც ციხეებში ხდებოდა, ნელ-ნელა სააშკარაოზე გამოდის, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის რა სახით მოუხდება საქართველოს იმ ზარალის გასტუმრება, რომელიც საკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეებს მიაყენა და მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობაც რომ სტრასბურგის სასამართლოში იყრიდა საბოლოოდ თავს, არც ეს არის ახალი ამბავი.

როგორ ექცეოდა სააკაშვილის რეჟიმი არა რიგით მოქალაქეებს, არამედ მოსამართლეებს, რომლებიც მათ სიმღერაზე ბუქნაობას არ დაუშვებდნენ?!.. როგორ და, უბრალოდ... მათ ან აპატიმრებდნენ, აშანტაჟებდნენ, ანდა კიდევ, ათასი მუქარისა და მორალური ტერორის საფუძველზე აიძულებდნენ განცხადებები დაეწერათ და სამსახურებიდან „თავიანთი ნებით“ წასულიყვნენ...

„საერთო გაზეთი“ დღეს სწორედ ასეთ შემთხვევაზე მოგითხრობთ და მინდა ისიც გაუწყოთ, რომ ეს სკანდალური საქმე ქართული მედიის ყურადღების ქვეშ ჯერ არ მოქცეულა თუნდაც იმიტომ, რომ საკაშვილის ხელისუფლება ამ ყველაფერს საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ ჭირი რომ თავს ვერ მალავს, ეს ხომ ყველამ ვიცით?!..

ამ დღეებში „საერთო გაზეთს“ მოაწოდეს მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომელიც სააკაშვილის ჯალათური რეჟიმის ერთ-ერთი და საკმაოდ სკანდალური დადასტურებაა. საქმე ეხება 2004 წლის 30 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის და მოსამართლის ავთანდილ აბაშიძის ისტორიას... და აი, რას ვკითხულობთ დოკუმენტებში: „2004 წლის 30 ივნისს ტელეფონით დამიკავშირდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომელმაც მაცნობა, რომ სასწრაფოდ უნდა ჩამოვსულიყავი თბილისში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამ დროს ვიმყოფებოდი კუთვნილ შვებულებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე ჩამოვედი თბილისში და გამოვცხადდი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სადაც შევხვდი იუსტიციის საბჭოს მდივანს პავლე კუბლაშვილს. მან კატეგორიულად მომთხოვა განცხადების დაწერა თანამდებობიდან წასვლის შესახებ. ამის მიზეზად დასახელებული იქნა ის ფაქტი, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლებული იყვნენ 5 ეჭვმიტანილი პირი, რომელთაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ შეუფარდა 3-თვიანი პატიმრობა, რაც გასაჩივრდა უმაღლეს სასამართლოში. უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იყო უკანონო, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა არავითარი მტკიცებულებები და შესაბამისად, მათი დაპატიმრების საფუძველი არ არსებობდა!.. ამიტომ უმაღლესმა სასამართლომ გაათავისუფლა ეს პირები სხდომათა დარბაზიდან. იუსტიციის საბჭოს მდივანმა კუბლაშვილმა განმიმარტა, რომ თუ მე არ დავტოვებდი თანამდებობას, მე და ჩემი ოჯახის წევრებს სერიოზული პრობლემები შეგვექმნებოდა. კერძოდ, არა მინიშნებით, არამედ პირდაპირ, საუბარი ეხებოდა ჩემს არასრულწლოვან შვილებს, რომლებიც მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები იყვნენ. კუბლაშვილმა ასევე ჩემი დაპატიმრების გარდაუვალობასაც გაუსვა ხაზი. აგრეთვე, პავლე კუბლაშვილმა შემახსენა 1998 წლის ნოემბრის მოვლენები, როდესაც მე, ავთანდილ აბაშიძე გახლდით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. იმ პერიოდში ჩემი მონაწილეობით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა მოსამართლეთა კონსტიტუციური ვადით დანიშვნასა და გათავისუფლების წესის დარღვევის ფაქტის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არასამთავრობები, კერძოდ, „თავისუფლების ინსტიტუტი“ გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით აწყობდნენ აქციებს მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის წინ. აღნიშნული აქციებით ისინი გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს, მოსამართლეების ფიტულების დაწვითა და სხვაგვარი მოქმედებით. გარდა ამისა, იმ პერიოდში ჩემი და ჩემი ოჯახის წევრებზე ხორციელდებოდა მორალური ზეწოლაც და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის საპატიო დაფიდან ჩემი შვილების სურათებიც კი ჩამოხსნეს როგორც დამნაშავე მამის შვილებისა. იუსტიციის საბჭოში შეხვედრისას ადგილი ჰქონდა სერიოზულ მუქარას საქართველოს პრეზიდენტის სახელით, რომელსაც გიგა ბოკერიას პირით ახმოვანებდა პავლე კუბლაშვილი. ამ დროს ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ჩემი მოადგილე ვაჟა ხახუტაიშვილი, რომელიც აგრეთვე ჩემი შვებულებაში ყოფნის პერიოდში ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას. ასევე ჩემთან იმყოფებოდა სასამართლოს ორი წევრი და მათაც ემუქრებოდნენ დაეწერათ განცხადებები თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

2004 წლის 6 მაისის მოვლენების შემდეგ, აჭარაში შექმნილი იყო დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია. ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მუდმივი მუქარისა და ზეწოლის პირობებში 2004 წლის 1 ივლისს მაინც მომიწია, ვიმეორებ, ზეწოლისა და მუქარის ქვეშ, მაინც მომიწია დამეწერა განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მაგრამ ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ამ განცხადების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს მდივანმა იმავე დღეს, ანუ 2004 წლის 1 ივლისს №54 წარდგინებით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. 2004 წლის 2 ივლისს დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს №96-ე დადგენილებით პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ გამათავისუფლა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლის თანამდებობიდან, რაც მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს, რომ აღარაფერი ვთქვა უმაღლესი თანამდებობის პირის მხრიდან დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც უფლებამოსილების აშკარა გადამეტებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიუთითებს!!!

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე კი, მიმაჩნია, რომ ჩემი, როგორც აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლოს წევრის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან მოხდა კანონის უხეში დარღვევით და ახლა მოგახსენებთ, რატომ...

1. ჩემს განცხადებაში, რომელიც მე ზეწოლის შედეგად 2004 წლის 1 ივლისს დავწერე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, აღნიშნულია, რომ თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ! ამის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი რ. გუნთაიშვილი თავისი 2004 წლის 1 ივლისის (იმავე დღეს) №54-ე წარდგინებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ლევან ვარშალომიძეს და სთხოვს განიხილოს ჩემი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეობიდან და მოსამართლეობიდან გათავისუფლების შესახებ. ვიმეორებ, არც ვარშალომიძეს და მით უმეტეს, არც გუნთაიშვილს, ამის უფლება კანონით არ ჰქონდათ, რადგან ჩემი სამსახურიდან დათხოვნა შეეძლო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს!..

2. მეორე დღეს, 2004 წლის 2 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს №96-ე დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ლევან ვარშალომიძე, მე გავთავისუფლდი დაკავებული თანამდებობიდან.

3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლის თანახმად (2004 წლის 30 ივნისის კანონის რედაქცია), რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობებიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, რაც ჩემ

შემთხვევაში, ასე არ მოხდა!..

აბა მოიძიონ, სად არის მაშინდელი პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტი და რა უფლება ჰქონდა რწმუნებულ ლევან ვარშალომიძეს თანამდებობიდან გადაეყენებინა მოსამართლე?!.. ანდა, რა უფლება ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მიემართა წარდგინებით არა პრეზიდენტისათვის, არამედ პრეზიდენტის რწმუნებულისათვის?!.. მინდა განვმარტო, რომ აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის სრული უგულვებელყოფა და კანონის უხეში დარღვევა!..

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეებზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, — აკრძალულია და ისჯება კანონით!.!! მოსამართლის თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება, ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა/დანიშვნა, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაიშვება და არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე!!! აქედან გამომდინარე, ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.“

ძვირფასო მკითხველებო, როგორც ვხედავთ, სახეზეა კონსტიტუციით განსაზღვრული პრინციპებისა და დებულებების უხეში დარღვევა. გარდა ამისა, ბატონი ავთანდილ აბაშიძისა და ბატონი ვაჟა ხახუტაიშვილის გათავისუფლება მოხდა არა უფლებამოსილი პირის მიერ (ლევან ვარშალომიძის მიერ) და როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათ ადგილას სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიყვანა ის ადამიანები, ვისაც ადვილად მართავდა ყველა უკანონობაზე, ხელს მოაწერინებდა, გამოატანინებდა იმ ვერდიქტებს, რომელიც მხოლოდ ფაშისტურ ბანდას აწყობდა და ამიტომაც არის, რომ დღეს სააკაშვილის მიერ ჩადენილი უკანონობის მსხვერპლთა საჩივრები სტრასბურგის სასამართლოში ასე უხვადაა წარმოდგენილი და საქართველოს მოქალაქეები წლების განმავლობაში ელოდებიან სამართალის აღსრულებას!..

ვკითხულობ და ვინმემ მიპასუხოს, — სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მიერ ასობით და ათასობით ჩადენილი დანაშაულის გამო დაზარალებული მოსახლეობის გამამართლებელ განაჩენებში, როდესაც როგორც მორალურ, ისე მატერიალურ ანაზღაურებაზე იქნება საუბარი (და იყო კიდეც), საქართველოს მოსახლეობა და ბიუჯეტი რა შუაშია?!.. რატომ არ შეიძლება სახელმწიფომ დაზარალებული პირების მატერიალური კომპენსაცია იგივე „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ჩინოვნიკების სახლების კონფისკაციისგან მიღებული თანხებით მიიღოს?!.. რა დააშავა საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც ბიუჯეტს პატიოსნად ავსებს და ამ ბიუჯეტის ფული კი, სააკაშვილის ხროვის მიერ ჩადენილი დანაშაულის კომპესირებაში უნდა წავიდეს?!..

დიახ, ძვირფასო მკითხველო, როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარისა და მოსამართლის ავთანდილ აბაშიძის საქმე სტრასბურგის სასამართლომ მიიღო და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს წერილიც გამოუგზავნა სარჩელის მიღების შესახებ. უდიდესი ალბათობით, რადგან საქმე სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლის უკანონო განთავისუფლებას ეხება, სტრასბურგის სასამართლო შეუვალი იქნება ამ კუთხით და უდიდესი ალბათობით, რეკომენდაციას გარემო, რომ — უკანონოდ გათავისუფლებული თავმჯდომარის და მოსამართლეების საქმე კანონის ფარგლებში განიხილოს ქართულმა მხარემ და რადგან საქმე მოსამართლის საქმიანობაში უხეშ ჩარევასა და მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვას ეხება, დაიცვან მოსამართლის მაღალი სტატუსი!!! აქედან გამომდინარე კი, სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე რეკომენდაციას მისცემს შესაბამის სტრუქტურებს შესწავლილ იქნას სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერება, მოხდეს შესაბამისი რეაგირება იმ აშკარა ხასიათის პოლიტიკურ დევნაზე, რომელიც არ შეეფერება საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებულ მოსამართლის გარანტიებსა და სტატუსს!!!



http://kancelaria.justice.gov.ge/nom_2_0/2/nomfileserver/GetFile/file...

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის პროკურატურა

010110212374013

KA010110212374013

ბათუმი, 6000, ზუბერ ხიმშიაშვილის 7, ტელ: (04 222) 7 43 01, (0222) 40 56 13

№ 13/07-50325 15 / მაისი / 2013 წ. ქ. ბათუმი

მოქალაქე ავთანდილ აბაშიძეს
მის: ქ.თბილისი ბერიძის ქუჩის N6, ბინა 1 სოფლისმოსწრე
ტელ: 599 51 00 07

ბატონო ავთანდილ,

გიგზავნით დადგენილებას სისხლის სამართლის N170211212801 საქმეზე გამომძიების შეწყვეტის შესახებ.

დანართი: დადგენილება 03 ფურცელზე.

პატივისცემით,

გიორგი ეკრანიძე

საგამოძიებო ნაწილის უფროსი, ეფროსი გამომძიებელი



დამოუკიდებელი შტოს ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიების არსებითი დარღვევა გამოიწვია და ქმედება უდაოდ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად ითვალისწინებდა 05 (ხუთი) წლამდე თავისუფლების აღკვეთას (2004 წლის 02 ივლისს მოქმედი რედაქცია).

საქართველოს სსკ მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას (2004 წლის 02 ივლისს მოქმედი რედაქცია).

საქართველოს სსკ 71-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად (2004 წლის 02 ივლისის მოქმედი რედაქცია) პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ გავიდა ექვსი წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

მართალია სსკ-ის 71-ე მუხლის პირველ ნაწილს 2006 წლის 25 აგვისტოს კანონით დაემატა "გ" ქვეპუნქტი რომლის თანახმად სსკ-ის 332-ე _ 3421 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უათავისუფლების ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრა ოხუთმეტი წელი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სსკ მე-2 მუხლის თანახმად გამოყენებული უნდა იქნეს 2004 წლის 02 ივლისს მოქმედი რედაქცია, რადგანაც დასახელებული მუხლის თანახმად ქმედების დანაშაულებრივობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას უკუძალა არა აქვს, ამდენად დღეისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დაწესებული ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა გასულია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გასულია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით

დავადგინე

1.სისხლის სამართლის N170211212801 საქმეზე შეწყდეს გამომძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;

2. დადგენილების შესახებ ეცნობოს ზემდგომ პროკურორს.

დადგენილების შემდგენი პირის ხელმოწერა:

გიორგი თორდია

ჟა ხახუტაიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში 2013 წელს საჩივარიც შეიტანეს, ზემოთ აღნიშნული უკანონო ქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ყველას გასაკვირად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამომძიებო ნაწილის უფროსმა გამომძიებელმა გიორგი პერანიძემ სრულიად აბსურდული და საღ აზრს მოკლებული პასუხი მოსწერა სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებულ მოსამართლეებს: „გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები: ამდენად, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უდაოდ დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 7 მაისის №151-ე ბრძანებულება აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილებას არ იძლეოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეების — ავთანდილ აბაშიძისა და ვაჟა ხახუტაიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, რამაც ფიზიკური პირის უფლებების და თავისუფლების, სასამართლო ხელისუფლების, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიების არსებითი დარღვევა გამოიწვია და ქმედება უდაოდ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 333-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელის ზომად ითვალისწინებდა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას (2004 წლის 02 ივლისის მოქმედი რედაქცია). საქართველოს კანონის №47-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას ძალა არა აქვს. ამდენად, დღეისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დაწესებული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გასულია!.. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ან უნდა შეწყდეს, თუ გასულია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.



დავადგინე:

1. სისხლის სამართლის №170211212801 საქმეზე შეწყდეს გამომძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

2. დადგენილების შესახებ ეცნობოს ზემდგომ პროკურორს.

გიორგი თორდია
2013 წელი, ქ. ბათუმი,
15 მაისი

აი, ძვირფასო მკითხველო, როგორი სამართალია საქართველოში და რატომ უკვირს ხოლმე ხელისუფლებას ის, რომ, როცა მათი მოქალაქე აქ, სამშობლოში ვერ პოულობს სამართალს, ევროპულ სასამართლოებს რომ შეჰყურებს იმედის თვალით?.. როგორ, განა შეიძლება ასეთ დანაშაულობებს ადამიანებზე მორალურ და სამსახურებრივ ზეწოლას ხანდაზმულობის ვადა ჰქონდეს?!.. თუნდაც, ეს ფაქტი რად კმარა იმად, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას დღევანდელებმა ხელისუფლებამ ყველა ეს დოკუმენტი თვალებზე ააფაროს და ერთხელ და სამუდამოდ ადგილი იქ მიუჩინოს, სადაც მათი ადგილია?!..

იმედს გამოვთქვამთ, რომ იუსტიციის სამინისტრო ამ ფაქტზე დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის, ხოლო სააკაშვილის რეჟიმს კიდევ ერთხელ სახალხოდ შეახსენებს იმას, რაც საზოგადოებისათვის დღემდე დაფარული გახლდათ!

ირინე გოგოსაშვილი

რატომ იკარგება სისტემატიურად მგზავრების ბარგი „თურქიშ ეარლაინსის“ რეისებზე და რატომ ეპყრობიან დაზარალებულებს უდიერად?

საქართველოში ბევრმა იცის, რომ თურქული ავიაკომპანია „თურქიშ ეარლაინსით“ მგზავრობა რისკებს შეიცავს... არა, განა მათი თვითმფრინავების გაუმართაობას და ჩამოვარდნის საფრთხის გამო, არამედ, იმ რისკების გამო, რომელიც ჩვენი მოქალაქეების სატვირთო ტერმინალში ჩაბარებულ ბარგს ეხება...

დღე არ გავა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოფრენილი „თურქიშ ეარლაინსის“ მგზავრები უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი ბარგი, ჩემოდნები (რომლებიც სხვათა შორის, არცთუ მცირე თანხა ღირს) დაზიანებულია, გახსნილია, ანდა სულაც, უკვალოდ იკარგება ისე, რომ ვერც თურქეთში მოქმედი ორი აეროპორტი — ათათურქის სახელობის და „გიოქჩენის“ თანამშრომლები მათ გზა-კვალს ვერ პოულობენ... მგზავრებს ხელში მხოლოდ ე.წ. „ბირკები“ რჩებათ, რაც იმას ადასტურებს, რომ მათ ჩემოდანი ნამდვილად ჩააბარეს საბარგო ტერმინალში, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ იძვრის...

„თურქიშ ეარლაინსის“ თანამშრომლები ყველანაირად ცდილობენ დაზარალებული საქართველოს მოქალაქეები უფრო მეტად დააზარალონ და ცინიკური პასუხებით იქამდეც კი მიჰყავთ მგზავრები, რომ მათ ოფისებში სამართლიანი ისტერიკები მოაწყონ, რაც შემდეგ იმით მთავრდება, რომ დაზარალებული მტყუანი გამოჰყავთ, ხოლო თვითონ, თითქოსდა კანონის დამცველები, რომლებიც თავიანთი ავიაკომპანიის ღირსებას ყველა გზებით იცავენ და თითქოს, მგზავრთა კეთილდღეობაზეც დღედაღამ ფიქრობენ...

საკუთარი თვალით რომ არ მქონდეს ნანახი რა ხდება „თურქიშ ეარლაინსის“ რეისებზე, არ დავიჯერებდი იმ ამბებს, რომელიც ჩვენმა დაზარალებულმა მოქალაქეებმა მიამბეს. კერძოდ, შარშან გერმანიის რესპუბლიკიდან საქართველოს მოქალაქეებს კუბოთი ცხედარი მოჰქონდათ, მაგრამ ათათურქის აეროპორტში კუბო, რომელიც თბილისში უნდა ჩამოესვენებინათ, პოლონეთში, კერძოდ ვარშავაში მოხვდა და აქ ჩამოფრენილი ჭირისუფალი დიდხანს ვერ დააწყნარეს იმის გამო, რომ მათი მიცვალებულის კუბო „სახელგანთქმულმა“ „თურქიშ ეარლაინსმა“ შეცდომით სხვა ქვეყანაში გადაიტანა... ეს ამბავი ყველამ იცის და ამ ავიაკომპანიას მარტო ეს შემთხვევა ეყოფოდა დიდ სირცხვილად, რომ არა დანარჩენი შემთხვევები...

როგორც უკვე მოგახსენეთ, დამტვრეული ჩემოდნები, გახსნილი ჩემოდნები და უდიერი დამოკიდებულება საქართველოს მგზავრების ბარგის მიმართ, არახალია, მაგრამ ახალია ის, რომ „თურქიშ ეარლაინსის“ დირექტორატი, მათი პიარმენეჯერები, ისევე როგორც მათი რიგითი თანამშრომლები, ყოველგვარ პასუხისმგებლობას გაურბიან მაშინ, როცა კი საქმე დაკარგული ბარგის მატერიალურ ანაზღაურებაზე მიდგება ხოლმე და თუკი ანაზღაურებას დასთანხმდებიან, იმდენად დამამცირებელ თანხას სთავაზობენ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ამას სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ნამდვილად ვერ შებედავდნენ და ვერც შეჰკადრებდნენ.

მოქალაქე ანანო ფაღავა, რომელიც ზაფხულში „თურქიშ ეარლაინსის“ მომსახურებით სარგებლობდა, ზუსტად ისევე დაზარალდა, როგორც სხვა დანარჩენი მოქალაქეები დაზარალებულან, მაგრამ ანანო ფაღავას მუქარამ და მისმა კავშირებმა სხვადასხვა მედიასაშუალებებთან — საქვეყნოდ თავს მოგჭრით, ყველას გავაგებინებთ, რომ ყაჩაღები ხართო, გაჭრა და მას ჩაბარებული ჩემოდნის შიგთავსის საფასურის ნახევარი, მაგრამ მაინც აუნაზღაურეს და ეს თანხა შეადგენდა 1500 დოლარს.

რა კომპენსაციით დააღწია თავი „თურქიშ ეარლაინსმა“ იმ სკანდალს, რომელიც მიცვალებულის შეცდომით პოლონეთში გადასვენებას ეხებოდა, დაზუსტებული ინფორმაცია ვერ მოვიპოვე, მაგრამ მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, დოკუმენტურად დადასტურებული საქართველოს მოქალაქე, ქობულეთში მცხოვრები სოფიო ხაბაძისგან და მის მიერ „თურქიშ ეარლაინსის“ მიერ წარდგენილი „ბირკები“ თქვენთვისაც თვალსათელია, ძვირფასო მკითხველო!..

აი, რას ჰყვება სოფიო ხაბაძე „საერთო გაზეთთან“:

— რამდენი წელია საქართველოდან გადავიხვეწე იმიტომ, რომ ჩემი შვილებისთვის ლუკმაპურის ფული გამომეგზავნა. ნელ-ნელა ვაგროვებდი ყველაფერს, რათა მათი გული გამეხარებინა. რამდენიმე ჩემოდანი ჩავბარე ბარგში და მათგან ყველაზე დიდი, რომელიც დაახლოებით 10-15 კგ-მდე იწონიდა, სწორედ ის დაიკარგა. ჩემოდანიც ძვირფასი იყო და რაც იმ ჩემოდანში მელაგა, ის ყველაფერიც ძალიან ძვირი და ძვირფასი. ჩემი შვილებისთვის ათასნაირი საჩუქარი მომქონდა და ეს ყველაფერი ხომ კარგად იცის „თურქიშ ეარლაინსის“ წარმომადგენელმა, რა ფასიც ღირს ევროპაში?!.. ხელში ჩვილი ბავშვი მეკავა, ხელბარგიც მქონდა, მაგრამ იმას ვიფიქრებდი, რომ ბარგის დაკარგვის შემდეგ „თურქიშ ეარლაინსის“ აჭარის ოფისში ასეთ შეურაცხყოფას მომაყენებდნენ?!.. როდესაც მკითხეს, რა თანხის ბარგი იყო დაკარგულ ჩემოდანში, დაახლოებით ვუთხარი, რომ ეს იყო 5000 ევრომდე. ჩემი შვილებისთვის (ბიჭები არიან) მაჯის საათები მქონდა ნაყიდი, რომელიც ბრენდული წარმოებისაა, მქონდა ტანსაცმელი, რომელსაც ფასიც ზედ ეწერა, ყველაფერი ახლები იყო, მჭიდროდ დაკეცილი და ჩალაგებული. ესენი მეუბნებიან, ეს ყველაფერი ძვირფასი შენთვის იყო, თორემ აბა, გვაჩვენე ნაყიდი ნივთების დამადასტურებელი ქვითრებიო... მდგომარეობიდან გამომიყვანეს, ყვირილი და ტირილი ერთად დავიწყე. ვუთხარი, — არ მინდა თქვენი ფული, ჩემოდანი დამიბრუნეთ-მეთქი. მითხრეს, 3 თვე უნდა გავიდეს და ამ პერიოდში თუ არ გამოჩნდა, მაშინ კომპენსაციას მოგცემთო. გავიდა ბატონო სამი თვე და აღარ დამთავრდა ამათი მაიმუნობა. ახლა, საერთოდაც 500 დოლარს მთავაზობენ. კი მაგრამ, ამ ქვეყანას პატრონი ჰყავს?!.. როგორ უნდა მაშანტაჟებდეს ის ავიაკომპანია, რომელიც ჩემს ქვეყანაში ლამისაა მონოპოლისტია, რომლის ბილეთებიც ძალიან ძვირია და რომელმაც ჩემი ნაწვალები ფულით ნაყიდი ნივთები დამიკარგა!.. ამ მდგომარეობაში მხოლოდ მე რომ ვიყო, რაღა გვიჭირდა... იცით, რამდენი მომჩივარი ჰყავთ, მაგრამ ამ ქვეყანაში, ჩვენს უფლებებს არავინ იცავს, იმიტომ, რომ არ უნდათ მეზობელი ქვეყნის განაწყენება, მაგრამ მაინტერესებს, საქართველოს რომელიმე ავიაკომპანიამ, თუნდაც თურქეთის მოქალაქის ბარგი რომ დაკარგოს, ზარალს ასეთი სასაცილო თანხით აუნაზღაურებს?!.. აღარ დამთავრდა ამათი პარპაში... ახალი ამბავია, რომ უპატრონო, მაწანწალა ძაღლებივით გვექცევიან?!..

საერთო გაზეთი სოფიო ხაბაძესთან საუბრის შემდეგ დაუკავშირდა აჭარაში მოქმედი „თურქიშ ეარლაინსის“ ოფისს ნომერზე: 0422223222, სადაც პიარ-მენეჯერმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენ ჩვენი მგზავრების კომფორტზე და უსაფრთხოებაზე რასაკვირველია ვზრუნავთ, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ფაქტები ხდება ხოლმე...

— თქვენ ადასტურებთ იმ ამბავს, რომ თქვენს ოფისებში ბარგდაკარგული მოქალაქეების რაოდენობა არცთუ მცირეა?...

— დიახ, გიდასტურებთ, მაგრამ ეგ ხომ ჩვენი ბრალი არ არის?.. ეს არის თურქეთის აეროპორტის თანამშრომლების ბრალი, რომელიც ჩვენი მგზავრების ბარგს ან უყურადღებოდ, ან უდიერად ეპყრობიან...

— ორიოდე თვის წინ იტალიიდან ჩამოვფრინდი და უნდა გენახათ, ყველა ჩემოდნის სახელურები აქეთ-იქით მიმოფანტული ცალ-ცალკე როგორ მოდიოდა ბარგის განყოფილებაში. ეს არის თქვენი სერვისი?

კი ბატონო, თვითმფრინავში ძალიან კარგი სერვისია, არაჩვეულებრივი სტუარდესები და პილოტები გყავთ, მაგრამ ის, რომ „თურქიშ ეარლაინსმა“ საქართველოს მოქალაქის ცხედარი საქართველოს ნაცვლად, პოლონეთში გადააფრინა, ეს რაზე მეტყველებს?

— სამწუხაროდ, ეს ფაქტი მართლაც მოხდა...

— კი მაგრამ, ამ ჩემოდნებს რომ უკარგავთ ხალხს, კომპენსაცია ვიღაცამ ხომ უნდა გადაიხადოს?.. ჩვენ დაგვიკავშირდა მოქალაქე სოფიო ხაბაძე, რომელმაც გვიამბო თუ როგორი აგდებით ეკონტაქტებით მას და როგორ სთავაზობთ საკომპენსაციო თანხას, რომელიც თურმე 500 დოლარამდეა...

— დიახ, ეს ქალბატონი ჩვენთან ბრძანდებოდა და ჩვენ ვუთხარით, რომ 3 თვის ვადაში მოვუძებნიდით ჩემოდანს, მაგრამ სამწუხაროდ ჩემოდანი ვერ მოიძებნა და რა თქმა უნდა ავიაკომპანია ზარალს აუნაზღაურებს. იცით, რა? ჩვენ კონპენსაციის ფასებს არ ვადგენთ, ფასებს გვიგზავნის „თურქიშ ეარლაინსის“ სათაო ოფისის დირექტორატი და ჩვენც მის დირექტივებს ვახორციელებთ... რამდენსაც იტყვიან, იმდენს გადავუხდით, ამ შემთხვევაში ჩვენ არაფერ შუაში ვართ... ვიმეორებ, ავიაკომპანია „თურქიშ ეარლაინსი“ დაზარალებული მოქალაქეების შემთხვევაში არაფერ შუაშია, აქ სტამბულში მოქმედი ორი აეროპორტის ათათურქისა და „გიოქჩენის“ აეროპორტის მტვირთავები არიან და დაზარალებული მოქალაქეების კომპენსირება კი ჩვენ გვიწევს.

როდესაც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ავიაკომპანიის მიერ მათი მგზავრი ზარალდება, საკომპენსაციო თანხაზე უკან არავინ იხევს იმიტომ, რომ ეს მათი კომპანიის პრესტიჟია, რასაც ვერ ვიტყვი „თურქიშ ეარლაინსის“ შემთხვევაში და ეს წერილი გნებავთ, განგაშის ზარად მიიღეთ და, გნებავთ, იმ რეალობად, რაც რეალურად დაუცველ საქართველოს მოქალაქეების თავს ხდება...

ირინე გოგოსაშვილი

P.S. „საერთო გაზეთის“ რედაქცია აღნიშნულ პრობლემას კვლავ დაუბრუნდება...

„ნაცპედარასტიის“ გამთეთრებლები

NDI – ნ-აცმოძრაობის დ-აცვის ი-ნსტიტუტი

NDI-ის ბოლო კვლევების მიხედვით პარტიების რეიტინგი როგორია, ან ამომრჩევლის ხმების რამდენი პროცენტი შეხვდათ 4448 გამოკითხულიდან, გამეორებაც კი არ ღირს, მითუმეტეს, რომ გადაღეჭა ყველა სახის მედიამ. საკითხავი მხოლოდ ერთია, ისეთი რა დონის კვლევით აღვირახსნილობასთან გვაქვს საქმე, მითუმეტეს, რომ აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (შიდა) და ატარებს CRRC-საქართველო.

როგორც ჩანს NDI–ს ძალზე ვნებს საქართველოში პოლიტიკური ინტერესების გატარებასთან დაკავშირებული საქმიანობა. კარგად გვახსოვს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტისა და სააკაშვილის შეხმატკბილებული თანამშრომლობა, ბოლო-ბოლო, ამხელა პერსონა ყურძნის კრეფაში ეხმარებოდა, მაგრამ „ცოტა“ ის ვერ გავიგეთ, ასე რამ ააღებინათ თავზე ხელი ახლა მაინც? გასაგებია, რომ ყველანაირად ცდილობენ არა ერთ დანაშაულში ეჭვმიტანილი ექს-პრეზიდენტ საакაშვილის პირადი პარტიის პოლიტსანაგვიდან ამოთრევას, მაგრამ ასეთი ბრმა-ყრუობაც კი გაუგონარი ამბავია – როგორც უნდა მოისურვოს გულმოდგინე ადამიანმა და უკირკიტოს ბოლო კვლევის შედეგების პროცენტებსა და შეკითხვებს, ვერაფრით დაალაგებს ისე, რომ ლოგიკასთან ახლოს მიცოცდეს.

გამოდის ვინმე **ლორა ტორნტონი** (NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი) და ბოდიალობს, ჩვენ ისეთ კვლევებს ვატარებთ, ზუსტ ინფორმაციას რომ იძლევა, რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები; ჩვენ აპოლიტიკური, დამოუკიდებელი ორგანიზაცია ვართ, ჩვენი მიზანია დავეხმაროთ პოლიტიკოსებს და სხვადასხვა ინსტიტუტებს, რომ მოქალაქეებზე მორგებული პოლიტიკა შეიმუშავონო. ამ ქალს, როგორც ჩანს, ან საქართველოს მოსახლეობა ჰგონია სკლეროზიანი, ან თვითონ აქვს ეს პრობლემა – ქართველებს ასწავლის ვინმე NDI-ის მადას და მათი უკვალოდ გამქრალი შუბლის გაწყვეტილი ძარღვის ადგილსამყოფელს?

NDI-ის უტიფრობა აღარც მათი მორიგი ფარსია და აღარც კომედია, ესაა მცდელობა, „ნაცმოძრაობის“ ფაფხურს (რაც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა ფორმით გამოხატული საბოტაჟი, პროვოკაციები, ცრუ ინფორმაციების გავრცელება, დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობები და ა.შ მავნე ქმედებები), ანუ ცრუ გააქტიურებას გარს შემოახვიოს მათი ვითომდა მზარდი რეიტინგის მანტია. ეს ერთგვარი გათვლაა იმ „შუაშისტების“ მისაკრავად, რომლებიც აბსოლუტურად ჩამოუყალიბებელი კონტინგენტია, მისკენ წავა, საიდანაც ძალას დაინახავს; მათთვის, ვისაც რაიმე ხეირი ჰქონდა და იმ ხეირს მისტირის; მათთვის, ვინც იმდენდაა დაშინებული საკუთარი მწარე წარსულით, რომ მზადაა იმავე წარსულში დასაბრუნებლად, ოღონდ ნაკლებად მწარე იყოს...

ჩემს ბავშვობაში კომკავშირის სამკერდე ნიშანს ÂËÊÑÌ ეწერა. ვიღაცამ მოიფიქრა და ასე გაშიფრა ვ-ირმა ლ-ენინი კ-რემლში ს-ირბილით მ-იიყვანაო – ვიცინოდით. ახლა ვიღაცამ მოიფიქრა NDI ნიშნავს ნ-აცმოძრაობის დ-აცვის ი-ნსტიტუტსო, მაგრამ ახლა არავის ეცინება – როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი, ბევრად საძაგელი ორგანიზაცია ყოფილა, ვიდრე კომკავშირი, სხვა რა უნდა იფიქრო?

საინტერესოა, რატომ ჰგონიათ ამ გადამთიელებს, რომ საქართველოს მოსახლეობამ მათზე კარგად და ყოველგვარი კვლევის გარეშე უკეთ არ იცის ვის რა რეიტინგი აქვს? ან რატომ ჰგონიათ, რომ ილია ვეკუას მშობელ ქვეყანაში ელემენტარული არითმეტიკა არავინ იცის?

ვთქვათ, „ქართული ოცნების“ რეიტინგი მართლაც 11%-ია, ხოლო „ნაცმოძრაობის – 13% მაშასადამე, „ოცნება“ სულაც საარჩევნო ბარიერსმიღმა დარჩენილა? ასე გამოდის, რადგან „ნაცმოძრაობა“ ერთი მთლიანია, „ოცნება“ კი პარტიების კოალიცია. ანუ NDI რას ამბობს, რომ „ნაცმოძრაობას“ სამჯერ მეტი რეიტინგი მაინც აქვს ამომრჩეველში ვიდრე „ოცნებას“? მაშასადამე, „ოცნება“, „თავისუფალი დემოკრატები“, „პატრიოტთა ალიანსი“ და თვით „ლეიბორისტებიც“ კი, თანაბარი რეიტინგისანი ყოფილან, კოალიციაში შემავალი პარტიები კიდევ ცალკე საწყლები.... ამხელა იდიოტობა რომ გააფორმო და თან უმწიკვლო სახით ამტკიცო, აპოლიტიკური ორგანიზაცია ვართო, სინდის-ნამუსისგან ხომ მთლად გარეცხილი უნდა იყო?

არა, გენაცვალეთ, სანამ აქციები დაწყებულა საძულველი ნავაროს დაბრუნების მოთხოვნით, დაბრუნონ – ის ბევრად პატიოსანი გამყალბებელი ყოფილა, ეს ვინ არის, მთლად დაფშტვენილი?

ინგასი არ იყოს („კუკარაჩა“), სასამართლო დარბაზში შვიდი ტყვია რომ ესროლა „მურტალოს“ და მთელი თბილისი ამაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მეორე დღეს აღარავის ახსოვდა, რადგან ომი დაიწყო, ისე მომივიდა მეც – შუა წერისას უკრაინულმა საიტმა სავარაუდოდ ე.წ „სამეგრელოს კასრებში“ აღმოჩენილი გაუპატიურების ვიდეო-ჩანაწერი გაასაჯაროვა და აღარავის ახსოვდა NDI და მისი ვითომ კვლევის მორიგი უზნეო შედეგი...

ყველაზე დიდ ჭირს წაუღია ყველა კვლევა და ყველა გამოკვლევებული, ვინც „ნაცპედერასტიის“ გათეთრებას შეეცდება.

გიორგი ჩხეიძე

დააბრუნეთ ძვირფასი ნავარო!

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი ***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

- რა არის გაფიცვა და ლოკაუტი შრომის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით?

- „შრომის კანონთა კოდექსის“ 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს.

მე-2 ნაწილი: ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

მე-3 ნაწილი: მხარეები გაფიცვის ან ლოკაუტის უფლების გამოყენებამდე ვალდებული არიან მოაწყონ გამაფრთხილებელი გაფიცვა ან გამაფრთხილებელი ლოკაუტი.

მე-4 ნაწილი: გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის დაწყებამდე მხარეებმა არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ დავის საგნის და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე გაფიცვის ან ლოკაუტის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ.

მე-5 ნაწილი: გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან ამ კანონით დადგენილი წესით კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში.

მე-6 ნაწილი: გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

მე-7 ნაწილი: გაფიცვის ან ლოკაუტის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები.

მე-8 ნაწილი: გაფიცვა ან ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

მე-9 ნაწილი: გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.

მე-10 ნაწილი: გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 50. გაფიცვისა და ლოკაუტის გადადება ან შეჩერება თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით.

მუხლი 51. უკანონო გაფიცვა და ლოკაუტი

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

2. დაუშვებელია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება.

3. თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება.

4. უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე.

5. თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ ჩაითვლება.

6. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 52. დასაქმებულთა გარანტიები

1. დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის

დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა.

2. თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

3. დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

4. ამ კანონის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დროის განმავლობაში დამსაქმებელს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა გამაფრთხილებელ გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებთან.

აღარ გვყავს... ვაჟი, მტრის გამჯავრებელი!

ნატყვიარი მიუხვედ შენს სიყრმიშვილს, თავადაც ნატყვიარი შემოგეგება სამარის კართან. ორნივ ნატყვიარ-ნაჭრევიანი განისვენებთ ზეციურ საუფლოში.

ბატონო გურამ, შენი სამშობლოს შეჭირვება მძიმე ლოდივით შემოიდგი მხრებზე, მთელი ცხოვრება მხნედ, წელში მოუხრელად ატარე, ერთხელაც არ დაგიკვნესია, დავიღალეო, ერთხელაც არ გითქვამს.

თავქვე დაგორებული მამულის გადარჩენას თავგამოდებით ცდილობდი. გინდოდა, ო, როგორ გინდოდა, ქვეყანა როგორმე გზაწვრილზე გაგეყვანა.

ცალუღელა ხარივით ეწეოდი მამულის საკეთილდღეო ჭაპანს. გუთნისდედა იყავ უბადლო, მეხრედ მთელი ოჯახი გყავდა. შენს გავლებულ ხნულზე დღესაც ია და ვარდნი ჰყვავიან, ღვთიურ სურნელებას აკმევენ გურამ შარაძის თანამებრძოლთა და თანამზრახველთა გუთნეულს.

ღმერთმა დალოცოს ყველა.

ჩემი სიცოცხლე სამშობლოსთვის შემიწირავსო, — მალიმალ იტყოდი ხოლმე, როცა შენი ქვეყნის ჭირსა და ვარამზე საუბრობდი.

ვაი, რომ არმოსახდენი ძალიან მალე მოხდა. ფოთოლცვენაში დაბადებულს მტრის ტყვიამ ვარდობისთვეში დაგიყენა აღსასრული, მაგრამ ვერ მოჰკლა ქვეყნისათვის თავდადებული სული ჭეშმარიტი, შეწირული, როგორც რამ ზვარაკი უბიწო.

ფეხად მოკვდი, ლოგინში სიკვდილი თურმე არც გეწერა.

ბატონო გურამ, გვენატრები! სანუგეშოდ შენი დიდი კაცობის დიდი სახელი დაგვრჩა. დააკლდი, ვაი, როგორ დააკლდი შენს მამულს, შენს ქართველობას, ადამიანურ სიყვარულზე აღმოცენებულ ლამაზ ოჯახს დააკლდი.

ახლა სულეთის მკვიდრი ხარ!

როცა სათბილისო გზას დავადგები და ცივ-გომბორის გადასასვლელზე ველის ლილო-ჭრელო ყვავილები: კესანე, მთის ლილიები, გვირილები, სასუტელები, თეთრი მაჩიტები, გულყვითელები, ლურჯი ღიღილოები მგზავრებს თავდახრით ეგებებიან და გზამშვიდობისას უსურვებენ. გული ვერ მითმენს, მანქანის მძღოლს ვთხოვ, წუთშესვენება გააკეთოს და მე მაშინ ვკრეფ ველის ყვავილებს, დედამიწის ეს თვალწარმტაცი თავსამკაულები იმ ადგილზე უნდა მივიტანო, სადაც შენი ლამაზი სული მარადისობას შეერწყა. სილამაზისა და მშვენიერების ტრფიალი იყავ. დაე, ეს ყვავილები იყოს შენი სულის საოხი!

უკაცოთ კაცობა გვმართებსო! — თითქმის საუკუნის წინ დაგვმოძღვრა დიდმა ვაჟამ სანათას პირით. ამ ნაანდერძევის თვითმხილველი თავად მე გახლდით, როცა 20 მაისს, იმ ავადმოსაგონარ დღეს შარაძეთა ძვალთშესალაგს ვერის სასაფლაოზე თავს დასტრიალებდა შენი რუსუდანი. ყველაფერს ქართული, ქრისტიანული წესით აკეთებდა. სადაგი პატივით მოიწვია მოძღვარი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის გადასახდელად, ღვინიანი სმურებიც ჩამოარიგა შესანდობარის სათქმელად. დედ-მამისა და ძმების — ლაშასა და გიორგის საფლავებზე წმინდა კელაპტრებიც თვითონ აანთო, ვარდ-ყვავილებით შეამკო იქაურობა.

უკაცოთ, კაცობა გვმართებს! უკაცოთ კაცობა გვმართებს! მარტუამ დავკალ საკლავი, მარტომ ვადიდე ხატია! — ვიმეორებდი გული-გულში ერთთავად. ნაძვები თავჩაჩქანიანი მეომრებივით რტოებდაშვებულნი იდგნენ, თითქოს ისინიც დიდ ტკივილს განიცდიდნენ, გრძნობდნენ, რომ ქვეყანას აღარ ჰყავდა... ვაჟი მტრის გამჯავრებელი! უნებურად გამახსენდა ბარათაშვილის ბრძნული ნათქვამი: **მწამს, რომ არს ენა საიდუმლო უასაკოთა და უსულოთ შორის!** უამრავი შენი მეგობარი, ახლობელი, შენი კაცურ კაცობის თაყვანისმცემელი მოჯარებულიყვნენ შარაძეთა ოჯახის საუკუნო განსასვენებელთან.

იმ დღეს ნამდვილი საქართველო ვნახე!

უფალო, ნათელში ამყოფე გურამის და მისი ოჯახიდან გარდასულთა წმინდა სულები!

მიეც დიდი დღე გურამ შარაძის ასულს — ქალბატონ რუსუდანს, 21-ე საუკუნის ვაჟასეულ სანათას!

ამინ!

17 ოქტომბერია, გურამ შარაძის დაბადების დღე.

ფოთოლცვენაა თბილისში...

ლამარა იანვარაშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ქ. თელავი

პაატა ლომსაძის გახსენება

22 წლის წინ 1992-93 წლებში აფხაზეთში ომი მძვინვარებდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის არაერთი სიცოცხლე ჩამქრალა, მაგრამ რატომღაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველას ავიწყდება საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მაშინდელი თანამშრომლების თავდადება და ერთგულება, რომლებმაც არა მხოლოდ ჯანმრთელობა, არამედ სიცოცხლეც კი გაწირეს სამშობლოსთვის...

საქართველომ არ იცის იმ ადამიანების ვინაობა, რომელიც კადრსმიღმა მუშაობდნენ და ასეთები იყვნენ ოპერატორები, ხმის ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა გარეშეც როგორც მაყურებელი, ასევე მსმენელი, ომიდან ახალ-ახალ და სარისკო სიუჟეტებს ვერც ნახავდა და ვერც მოისმენდა.

15-16 მარტის შემოტევა საქართველოს საბრძოლო ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება იმიტომ, რომ იმ დღეს ქართულმა მხარემ შეუდარებელი პროფესიონალიზმით შეუტია მოწინააღმდეგეს და მდინარე გუმისთა საქართველოს მტერთა გვამებით გაავსო. რასაკვირველია ვიყავით ჩვენც ტელევიზიის თანამშრომლები, რომლებიც ამ ყველაფერს ვიღებდით და შემდეგ, მთელ საქართველოს ვაუწყებდით ამ ყოველივეს. ასეთი დღეები ბევრი იყო, ტელევიზიის თანამშრომელს დაჭრილიც გადაუყვანია, მიცვალებულისთვის თვალიც დაუხუჭავს და ბევრი ისეთი რამ გაუკეთებიათ, რაც მათ მოვალეობაში არ შედიოდა... ხშირად გვითქვამს, ხელებზე ჩვენი ბიჭების სისხლის სუნი გვიდისო. ეს ყველაფერი იყო, იყო შიმშილი, იყო სიცივე, იყო გამოუვალი მდგომარეობა, როცა ჩასაფრებული მტრის ალყიდან ვერ გამოვსულვართ და ვიმეორებ, — ტელევიზიის თანამშრომლები ყოველთვის ვიყავით იქ, სადაც გული მიგვიწევდა, სადაც სამშობლო იყო და სადამდეც საქართველო ერქვა!..

პაატა ლომსაძე წყნარი და მორიდებული ბიჭი იყო, თავის საქმეს ჩუმად და უპრეტენზიოდ აკეთებდა. მას ყველა პატივს სცემდა თავისი ერუდიციის და მოკრძალების გამო... და კიდევ იმ სიყვარულის გამო, რომელსაც დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს ჩვენთვის არ იშურებდა...

სოხუმში, ე.წ. „გოსდაჩაზე“ პატარა ტელევიზია გვქონდა მოწყობილი, პაატაც ჩვენთან იყო და როდესაც აქ, თბილისში, ფრონტიდან ცხელ-ცხელ ამბებს ვაწვდიდით, პაატა ხმის პულტთან მიმჯდარი ყოველთვის დაუზარებლად გვემსახურებოდა.

მაშინ, საქართველოს ტელევიზია თავის თანამშრომლებს რაღაც განსაზღვრული სამივლინებო ვადით უშვებდა ფრონტის ხაზზე, პაატამ კი რამდენჯერმე გააგრძელებინა ტელევიზიის ხელმძღვანელობას ეს ვადა. როცა ჰკითხეს, — კი მაგრამ, იქ რა გინდა, ომი ხომ საშიშიაო, ასე პასუხობდა, — ყველა იქ არის და აქ რა გამაჩერებსო?!..

პაატა ლომსაძე გარდა იმისა, რომ იყო „მოამბის“ ხმის რეჟისორი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანიც გახლდათ,. 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლების დროს ინჟინერ-ტექნიკოსთა და ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად მივლინებული იყო სოხუმის ტელევიზიის ასამუშავებლად. მან 7 თვე დაჰყო აფხაზეთში, მაგრამ იმავდროულად, სამხედრო მომსახურე პირებთან ერთად იარაღი აიღო ხელში და ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა კიდეც. ექიმებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ფეხი არ დაეკარგა.

16 ოქტომბერს ჩვენი პაატა 60 წლის უნდა გამხდარიყო. წავიდა ამქვეყნიდან ისევე წყნარად, როგორიც თავად იყო. დატოვა დედა და დიდი ტკივილი ჩვენს გულებში.

ნათელში იყოს მისი სული და უფალს ებარებოდეს.

მეგობრების ჯგუფი

ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის მრევლი სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარა

13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურებიდან ოთხი თვე გავიდა. ეს დღე განსაკუთრებით მძაფრად გივი სვანიძის ქუჩის მაცხოვრებლებს ახსოვთ, რომელთა დიდი ნაწილის საცხოვრებელი სახლები წვიმის დროს ადიდებულმა მდინარე ვერემ მთლიანად წალეკა. დაზარალებული ორმოცი ოჯახიდან უმეტესობა, სახელმწიფომ, საცხოვრებლად ქირით გაიყვანა. სტიქიით დაზარალებულებისთვის თანხა ნიუ-იორკის ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიის დეკანოზმა და მისმა მრევლმაც შეაგროვა, რაც ამერიკაში საინფორმაციო სააგენტო „ნიუს-პრესის“ კორესპონდენტის ლელა მჭედლიძის დახმარებით მოხერხდა. შეჭირვებულ ოც ოჯახს სასურველი საყოფაცხოვრებო ტექნი-

კა გადაეცათ. მათ შორის, მამაკაცს, რომელმაც სტიქიის დროს მეუღლე და შვილი დაკარგა. დეკანოზი ალექსანდრე ამ დღეებში საქართველოში იმყოფებოდა. იგი თავად შეხვდა სვანიძის ქუჩაზე მცხოვრებ დაზარალებულებს და მისი მრევლის მიერ შეგროვებული თანხით შეძენილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა.

დეკანოზი
ალექსანდრე თანდილაშვილი:

ჩვენი ეკლესიის მრევლი, სხვადასხვა საჭიროებისათვის, საქართველოში გამოსაგზავნად თანხას ხშირად აგროვებს. მოგეხსენებათ, ქართული, მართლმადიდებლური ეკლკესია ნიუ-იორკში ოც წელზე მეტია არსებობს და ამ ხნის მანძილძე ათობით ათასი დოლარი გვაქვს შეგროვებული და საქართველოში გადმოგზავნილი. ეკლესიაში კედელზე სპეციალური ყუთი გვქონდა და რთულ პერიოდში ეკლესია-მონასტრებისთვის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად და ა.შ. თანხებს ვაგროვებდით. მონაწილეობა მივიღეთ სამების ტაძრის მშენებლობაში — შევაგროვეთ 6 ათასი დოლარი. ამ ეტაპზეც არავინ დაგვკავშირებია, როგორც კი სტიქიის შესახებ შევიტყვეთ, მრევლმა ეკლესიაში თანხის შეგროვება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მრევლი ასეთი საჭიროებისათვის თანხის შესაგროვებლად უკან არასოდეს იხევს. სულ, დაახლოებით, 7 ათას 400 დოლარი შეგროვდა, რომელიც საქართველოში გადმოვაგზავნეთ, გადავიყვანეთ ლარებში და დაზარალებულებისთვის, მათივე არჩევანით, საყოფაცხოვრებო ტექნიკა შევიძინეთ. როგორც ვიცი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქსელმა „სმაილმა“ საქონელზე ფასდაკლება გაგვიკეთა, რამაც ხელი შეგვიწყო ბევრად მეტ ადამიანს დავხმარებოდით. მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა საინფორმაციო სააგენტო „ნიუს-პრესის“ ხელმძღვანელს ალეკო ჩუბინიძეს, რომელმაც ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით ძალიან დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. ბუნებრივია, მარტო გამიჭირდებოდა, დიდი მადლობა.

ნინო შონია, სვანიძის ქუჩის მცხოვრები, დაზარებული: დიდი მადლობა ნიუ-იორკის ქართულ ეკლესიაში მოღვაწე მამა ალექსანდრეს და ქართველ ემიგრანტებს, რომლებმაც შემოწირულობა გაიღეს და დაგვეხმარნენ. ჩემთვის ამ ნივთის ჩუქება ორმხრივად სასიხარულოა, რადგან დღეს დაბადების დღე მაქვს და საჩუქრად სარეცხი მანქანა მივიღე. ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს პირველი დახმარებაა, რაც ამ ოთხი თვის მანძილზე ავიღე. სხვა არანაირი დახმარება არ მიმიღია.